სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეწკარა ქაღალდს ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის მირები,
სიცოცხლეს ვერსად დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

მარადი შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე – მისი მშვენების იქით –
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!



აჟღერდეს მისთვის პოეტის ენა
და ტკბილი სიტყვის გამართულობა.
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა,
ჩემი თქმულება, ლექსქართულობა!

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო – ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო – ჩემი ლექსის სახელი!

გიორგი ლეონიძე



რედაქტორის გვერდი

## სასოწარკვეთილი იერიშები

ჟამი არს...

## რა იმალება თამარის ფრესკის მიღმა?



# მამული

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * აგვისტო, 2009 N53 * გამოცემის მე-6 წელი * ასავალ-დასავალის პარტნიორობით

მალიან ხშირად ახალგაზრდებს აგზავნიან მშობლები უცხოეთში იმ დროს, როცა განმტკიცებულნი არ არიან თავის ფასეულობაში.

არ იციან რა არის ეროვნული ფასეულობა,

არ იციან რამ გადაარჩინა საქართველო,

რომის იმპერია დაეცა, ბიზანტია დაეცა, მრავალი სხვანიც, საქართველო არსებობს!

რატომ?

რა, ჩვენ ძლიერები ვიყავით სხვებზე მეტად?

როცა ადამიანი მტკიცედ არა დგას თავის ფუძეზე, თავის წინაპრების ფასეულობებზე და ის ხვდება უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურაში, უცხო წეს-ჩვეულებაში, ხდება მისი გადაგვარება.

ის ღებულობს იმ კულტურასა თუ ფსევდოკულტურას, რომელიც იქ არის.

მაცხოვარი ამბობს: ,,მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“.

გზა, სად არის ჩვენი გზა, ეს უნდა ვიცოდეთ!



ნაწყვეტი პატრიარქის ქადაგებიდან:





## ქართველები ემიგრანტულ პარადზე ნიუ იორკში

27 ივნისს ნიუ იორკში, მანჰეტენზე ჩატარდა ყოველწლიური ემიგრანტთა საერთაშორისო აღლუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტი ეროვნების დიასპორის წარმომადგენელმა. აღლუმის ორგანიზატორი გახლდათ ,,ემიგრანტთა საერთაშორისო ფონდი“, რომელიც აშშ-ში არსებულ მრავალ ეთნიკურ დიასპორასა და სათვისტომო ორგანიზაციებს აერთიანებს. უკვე მეორე წელია ქართულ დიასპორას ამ ორგანიზაციაში წარმოადგენს ასოციაცია ,,თვისტომი“.

წელს ამ აღლუმში ქართული დიასპორის მონაწილეობის მიღება სწორედ ასოციაცია ,,თვისტომის“ ძალისხმევით მოხდა. ეს გახლდათ პირველი, საცდელი, მოკრძალებული ღონისძიება და იგეგმება ამ ინიციატივაში ქართული დიასპორა აქტიურად ჩაერთოს, იმისთვის რომ უფრო მჭიდროდ დავუკავშირდეთ სხვადასხვა ეროვნების დიასპორას, ეფექტურად წარმოვაჩინოთ ამერიკის ქართული დიასპორა, კულტურა და ტრადიციები.

წლეულს საქართველო წარმოდგენილი იყო ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლით ,,ფესვები“, (ხელმძღვანელი - შორენა ბარბაქაძე). აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ქართული ემიგრაციის უხუცესმა წევრებმაც.

სწორედ ამ დღეზე მოგვითხრობს **ეკა ანდრიაშვილის** სახელდახელო ფოტო-რეპორტაჟი.





აგვისტო, 2009, №53
WWW.MAMULI.COM
მამული



# საცხრააპრილო იერიშები

## დუღილი იმ ამბებისა, საქართველოში რომ მოხდა

„ჩვენ ვართ მზეთა შვილები და გვიყვარს მეტად მზეოსანი ლალებით მოთენთილობა. ჩვენი სამოს წყაროსთვალი მუქი ზურმუხტია და სიამით ვეფინებით მწვანილოვან მდელოს. მოტრფიალენი ვართ „უსაქმო“ სილამაზის და გამუდმებით ვიწვით მშვენიერებისთვის. ვაღმერთებთ სიცოცხლეს, როგორც ცეცხლის მოთაყვანე წარმართები და ყველაზე მეტად უდარდელობას ვაფასებთ. გვიყვარს ლაგამახსნილი ქეიფი და გვათრობს ალესილი ხმლის სისხლიანი სიმღერა.

ჩვენ სიფიცხეს გვწამებენ და უთმენელობას. დიახ, ჩვენ ფიცხელნი ვართ და უთმენელობა ჩვენი რკინეული ნების შურისძიებაა მხოლოდ“.

**გრიგოლ რობაქიძე (1916წ.)**

### ძველებურად ცხოვრება, წერილი V

### I. პოლიტიკური სამარე, რომელიც ელოდება პატრონს

ჯერ არ დამთავრებულა პოლიტიკური სიკვდილი, რადგან ჯერ კიდევ ინერციით მიექანება ერთი პოლიტიკური კასტა სიცოცხლის ენერგიისკენ, რათა არ მოკვდეს, ასევე მათ საპირისპიროდ მიექანება მეორე პარტიაც, რათა მასაც პოლიტიკურ კოლაპსში ჩავარდნას არ წამოეწიოს ნაადრევი სიკვდილი. ისინი საბოლოოდ ერთმანეთს შეეჯახებიან და მოკვდებიან, თუ გზიდან არ გადაუხვიეს ორივემ ერთად, ან ერთ-ერთმა მათგანმა მაინც. აი, სწორედ გზიდან გადახვევას აღიქვამენ ისინი სიკვდილად - ერთი მხარეც და მეორეც. საითაც მიდიან, ის ერთი სანუკვარი წერტილია ყველა მათგანისთვის - ესაა საპრეზიდენტო სავარძელი. მართალია, ერთი მხარეთაგანი ამ სავარძელს ფლობს, მაგრამ ვაი ასეთ ფლობას. ასტეროიდებისა და კომეტების შეჯახებასავით დაიმსხვრევა ყველაფერი ირგვლივ და წამოვა ასტრალური წვიმა, ესე იგი ჩვენი ქვეყნისაგან არაფერი დარჩება, თუ ეს შეჯახება მაინც მოხდება. ორივე მხარე ხომ განადგურდება, მთავრობა არ იარსებებს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე პასუხისმგებელია თავისი მოქალაქეების სიცოცხლისთვის, დამანგრეველი ძალით წამოვა ღორების პედერაციული რესპუბლიკა და მიწასთან გაასწორებს ჩვენს მიწა-წყალს, ასე არ ჰქნა მისმა წინაპარმა გეორგიევსკის ტრაქტატით მოყოლებული საქართველოს ანექსიამდე?!

მაგრამ ვიმედოვნებ უფალი არ დაუშვებს ივერიის პირისაგან მიწისა აღგავას. დღეს სრულ პარანოიას მოუცავს ქართული შიდაპოლიტიკური ისტებლიშმენტი. ყველანი ცდილობენ მოეჭიდონ ხავსს, გადარჩენის ხავსს, ამ ხავსს სავარძელი ჰქვია, ისიც ეჭიდება მას, ვინც ზედ ზის, ისიც, ვინც იჯდა და წამოაგდეს და ისევ უნდა რომ დაჯდეს, და ისიც, ვინც არასოდეს არ მჯდარა მასზე, მაგრამ იცის გადარჩენის გემო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვინც დათმობს, ის დაიღუპება პრინციპით „ან ყველაფერი, ან არაფერი“. ვისაც არაფერი ჰქონია, მას, ბუნებრივია, დასაღუპავი არაფერი აქვს, მაგრამ მაინც დაღუპულია იმ „არაფრით“. ვისაც ყველაფერი ჰქონდა და წაართვეს, ის ყველაზე მეტადაა გააფთრებული, რათა „არაფერს“ ვერშეგუებულმა ისევ იმ „ყველაფერში“ ჰპოვოს სიცოცხლისუნარიანობა. აი, იმისთვის, ვისაც „ყველაფერი“ გააჩნია, მისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ამ „ყველაფერზე“ ჩაჭიდება, რათა არ დაკარგოს ის, რაც მოეპოვება. ერთი ნაბიჯით უკან დახევა პოლიტიკურ სამარეში ჩავარდნის ტოლფასია. ეს სამარეა, დაპირისპირებულთა ზურგს უკან რომაა და ამიტომ ყველა იმას ცდილობს, წინ წავიდეს. წინსვლა შეტაკებას ნიშნავს.

... და რატომაა ეს სამარე მაინცა და მაინც ყველა მოქმედი პირის ზურგს უკან?

და რას წარმოადგენს ეს სამარე თავისი არსით?

და რა მიზანს ემსახურება ამ სამარის არსებობა?

და რა მიზეზით არსებობს ეს სამარე საერთოდ?

და ვინ არის შემოქმედი ამ სამარისა?

სამარეს ვამბობ და სამარესვე ვგულისხმობ, არავითარი გადატანითი მნი- [illegible]

[illegible]

... პოლიტიკური წყობის ავტორები და მათი ოპონენტები არიან. ზოგი ნებით თხრის მას, ზოგი უნებლიედ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ „ომში“ სხვა სხვის სამარეს ვერ თხრის. აქ ყველა ინდივიდუალურად, თუ კოლექტიურად საკუთარ სამარეს თხრის. სხვისთვის ირჯებიან, თავად კი გამოადგებათ, რადგან ამას სახელად ჰქვია „ავტოსამარე“, რადგან პოლიტიკური ისტებლიშმენტი ისეთია ჩამოყალიბებული, რომ ყველა საკუთარი თავის წარმოჩენაშია გამეცადინებული, შედეგადაც საკუთარ ნამოქმედარს თვითვე იმკიან. სწორედ იმიტომ, რომ ესაა პოლიტიკური წრებრუნვის კანონით გამოწვეული მიზეზშედეგობრიობა.

მაგალითისთვის, რუსთაველის პროსპექტზე ბევრჯერ გვისეირნია, ანაზდად ლადო ასათიანის სიტყვებიც გაგვხსენებია ამ სეირნობისას („რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმაო!“). რა თქმა უნდა, ასეთი უამრავი სეირნობა დიდ ხეირს ვერ მოგვიტანს. საკმარისია რუსთაველზე გახვიდე მაშინ, როცა უამრავი დასარბევი და ცხელი თუ რეზინის ტყვიების კაკანია, ან გალიებია ჩამწკრივებული, მინიმუმ - რომელიღაც ტყვიის მსხვერპლი თუ არა, უშიშროების სამსახურის აღრიცხვაზე იქნები აყვანილი; მაქსიმუმ კი - თუ ტრიბუნაზე აზვალ და სიტყვას შეაწევ გაფიცულშეფიცულებს, თანაც ისეთს, სტვენას რომ არ დაგიწყებენ, ან ერთი, იქნებ რამდენიმე გაზაფხულ-ზაფხულის თბილ ღამეს გალიაში ნებაყოფლობით თუ გაატარებ, ჯილდო გარანტირებული გექნება - მინიმუმ: ყოველ გათეულ ღამეზე დაწესებული ნიხრის შესაბამისად ჯამაგირს მოგცემენ; მაქსიმუმ კი: თუ შენმა ღამისთევამ შედეგი გამოიღო და პოლიტიკურ სამარეში გადაუძახეს სააკაშვილი და მისი მთავრობა, სამსახური დაწყებული გექნება, თუ მეტი ამბიცია გაქვს და ზედაც წაამატებ საკუთარ ნააქტივისტალს, კანონების კანტორაში შეგიძლვებიან და გეტყვიან: მობრძანდით, დაბრძანდით... ჩაგაბარებენ ერთ პულტს (ალბათ სამღილაკიანს) და ოთხი წლით გამწყემსინებენ მას. მერე თუ პენსიაში გასვლა დაგაცალა ხალხმა, დაინიშნავ ვადამდელ პენსიას, გადაიდებ ფეხს ფეხზე და იცხოვრებ არხეინად ხელფასისოდენა პენსიით. ფეხებზე მოიკიდებ ცხოვრებას. მოყაყანე ხალხზე იტყვი - „თავი ქვას უხლია და მუცელი სამართებელსო“. გადაბრუნდები მეორე გვერდზე, მუთაქას ამოიდებ თავქვეშ და ამოუშვებ არხეინად ხვრინვას.

აი, რას ნიშნავს აღმოჩნდე იქ, სადაც საჭიროა და მაშინ, როცა საჭიროა.

ეს ჩვენდა საუბედუროდ წრეა, მაგიური წრე, რომლის გარშემოც ვტრიალებთ და ვტრიალებთ კარგა ხანს, და ესეც მანამ, სანამ ქვეყნის მესვეურთა, ან პატრონობაზე პრეტენდენტთა ცნობიერებაში არ ჩამოყალიბდება ის საკვანძო აზრი, რომ პირად კეთილდღეობას ერის ინტერესები არ უნდა შეეწიროს. ეს, მართალია ლოზუნგია, მაგრამ ლოზუნგად და სიტყვის მასალად სწორედ პოლიტიკოს-ავანტიურისტებმა აქციეს. ჩვენ ვტრიალებთ ამ მოჯადოებულ წრეზე და გვიყვარს არათუ ამ წრის გარშემო დგომა, არამედ ზუსტად იმის საპირისპირო წერტილში, სადაც დგას მთავრობა, ან მთავრობას უყვარს იმის საპირისპიროდ დგომა (და ქმედება), სადაც დგას ხალხი (და რაც უნდა ხალხს). ამიტომაა ეს მარადიული უკმაყოფილება, მითიურ მუდმივმოქმედებაში რომ გადაიზარდა (მიდიხარ, ეძლევი განცხრომას, არ მოწონთ, გაგაგდებენ, თვითონ დგებიან შენს ადგილას, ისინიც ეძლევიან განცხრომას, ისევ უკმაყოფილება, ისევ და ისევ და ისევ გაძევება და გამაძევებელი მიდის და ა.შ.), ასე ყოფილა ოდით და ასე იქნება ამის იქითაც, თუ ვინმემ უარი არ თქვა ამ წრეში ტრიალზე, არადა, თვით ცნობიერებაშია გამჯდარი ასეთი ყოფა. ვსწავლობდით და აჰა, ვისწავლეთ: „хорошо в царя вогнать обойму“ (ვ. მაიაკოვსკი. პოემა „ვლადიმირ ილიჩ ლენინ“. სწორედ ამ ნაწარმოების ციტატებს დავიმოწმებ ამჟამად, რადგან ჩვენი სოციალური ყოფა გასაოცრად ეხმიანება მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე რუსეთის იმპერიების ცვალებადო- [illegible]

... საკუთარ სამარეს თხრის.

### II. VOILA VOTR MORT, MONSIEURE!*

ყველა გაირინდა არჩევნების შემდეგ, თითქოსდა პოლიტიკური ორთაბრძოლა გაიყინა ერთ წერტილში. დაქადნება იმისა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მოვახდენთ სახალხო აჯანყებას, აორთქლდა. მთავრობაც უჩუმრად შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. თითქოს ყველა რაღაცას მოელოდა და მართლაც მოსალოდნელი მოხდა:

შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოებისათვის რუსეთის გააქტიურება აფხაზეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში (ერთგან რკინიგზა შეაკეთებინეს, მეორეგან გაიმართა სამხედრო წვრთნები) ზღურბლთან ომი იდგა - ომი და ოლიმპიადა. სწორედ ომმა შეაჩერა ქართული ოპოზიციის ახალი საპროტესტო ტალღა, სააკაშვილის მოწინააღმდეგებმა გამოაცხადეს მემორანდუმი, ომის პირობებში და მისი მსვლელობის პერიოდში წყვეტდნენ პოლიტიკურ აქტიურობას.

მაიაკოვსკი კი მთელი ოთხმოციოდე წლის წინ იმას გაჰყვიროდა, რაც სინამდვილეში გასული წლის ომის შემდეგ ჩამოვარდა საქართველოსა და რუსეთს შორის, რუსეთს ეს გამოვლილი ჰქონდა და ამით ის ურცხვად შეხვდა ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას და ადეკვატურად აღიქვა საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს СНГ (დსთ)-დან გასვლის შესახებ. აი, რას გაჰკიოდა მაიაკოვსკი: „Глоткой орудий шипевших и вывших, друг другу страны орут - на колени! Додрались, и вот никаких победивших...“ ქართული საზოგადოება ელოდა ევროპისაგან და ამერიკისაგან ქმედით დახმარებას, ყველაფერმა ისე ჩაინავლა, რომ რუსეთს მიეცა საშუალება უგულებელეყო მსოფლიო და თავს მოეხვია კაცობრიობისათვის ახალი თამაშის წესები.

იქვე ევრო-ამერიკამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი წამოიწყო, თავდაპირველად ნელი ნაბიჯებით, წლის ბოლოსთვის კი რაღაც მომენტში სიტუაცია უკონტროლო გახდა და არნახულ მასშტაბებს მიაღწია. სიონისტური ოქმების დანაქადნები რეალობად გადაიქცა („ჩვენ ხელში არსებული ოქროს საშუალებით შევქმნით საერთო ეკონომიკურ კრიზისს, უმუშევრად დავტოვებთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მუშებს. ეს ბრბო სიამოვნებით დაერევა დასახოცად იმათ, ვისაც თავისი უგუნურობის გამო ბავშვობიდან ვერ იტანდა, ისინი ჩვენებს ხელს ვერ ახლებენ, რადგან თავდასხმის მომენტი ადრევე იქნება გარკვეული და ჩვენ ყოველგვარ ღონეს ვიხმართ მათ დასაცავად... ჩვენს დესპოტიზმს შეუძლია მიზანდასახული სიმკაცრით (აი, ეს სიტყვათშეთანხმება კარგად დავიმახსოვროთ, „მიზანდასახული სიმკაცრე“, მ.კ.) დააშოშმინოს ყველა ამბოხება, ამოძირკვოს ლიბერალიზმი ყველა დაწესებულებიდან. როცა ხალხმა და-

* (ფრანგულად) „ინებეთ თქვენი სიკვდილი, ბატონო!“, ფრაზა რაინერ-მარია როკლეს რომანიდან

... ბამდე დაპირისპირებული მხარეები ემზადებოდნენ სრული დუმილით, ზამთრის მიწურულს კი თანდათან გააქტიურდა ოპოზიცია, შესაბამისად ხელისუფლებამაც გააქტიურა თავისი ბრძოლა - კომპრომატების ომის სამიზნე ამჯერად ოპოზიციურ ბანაკში გადაბარგებული ბურჯანაძე და მისი ქმარი გახდა. წინარესაცხრააპრილო სამზადისის პროცესში მყოფ ბურჯანაძის პარტიას თავს დაატეხეს კომპრომატების ომი, სადაც მისი თანაპარტიელები იარაღის შეძენით და სახელმწიფო გადატრიალების სამზადისით იყვნენ დაკავებულნი. ასე იყო მაშინაც, მაიაკოვსკის დროსაც - „Не защита - нападение стать должно лозунгом масс“. უკვე შეტევისთვის ყველა მზად იყო ცხრა აპრილისთვის - მთავრობაც და ოპოზიციაც, შეტევისთვის, რომელიც ერთი ხელის მოსმით დაასამარებდა თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ ერთმანეთის მისწრაფებაში ორივე შეცდა (მთავრობას არ ეგონა, ოპოზიცია თუ ასეთი მიზანდასახული და მითუმეტეს აგრესიული თუ იქნებოდა, არც ოპოზიციას ეგონა, მთავრობა თუ ასეთი აზარტული მოთამაშე იქნებოდა დემოკრატიულობანასი). ერთმანეთს არ აკლებდნენ პროვოკაციებს, რათა შეცდომა დაეშვათ - ერთს მეორე დაერბია და ამით გაგულისებულ ოპოზიციას ეყვირა საქვეყნოდ, ეს რა დესპოტი და ტირანი მთავრობა გვყავსო; მთავრობაც ვითომ თავად არაფერ შუაში იყო, აიძულებდა მოწინააღმდეგეს, აგრესიულ შეტევაზე გადასულიყო და აეწიოკებინა სახელმწიფო დაწესებულებები, რათა მას არ დაერბია მოწინააღმდეგეები და თუ დაარბევდა, ეთქვა, სხვა გზა არ დაგვიტოვესო, ძალაშიც თუ გადააჭარბებდა, ამის გამო არავინ უსაყვედურებდა, რადგან ეს ისე იქნებოდა შეფუთული, რომ ბრბო გამოვიდოდა ყველა უბედურების სათავე.

მიზნის მისაღწევად ხელისუფლებამ კიდევ ერთი კოზირი გამოიყენა - მუხროვანის სამხედრო ამბოხი, ხოლო ეს ამბოხი რეალური საფრთხე იყო ქვეყნისთვის, თუ ამბოხების ინსპირირება, ამისი ცოდნა ძალიან შორს წაგვიყვანს, არასასურველად შორს.

აი, ამას ჰქვია მიზანდასახული სიმკაცრე, რის შესახებაც სიონისტურ ოქმებშია ნათქვამი და ჩვენს რეალობებში განხორციელებული. ორივე მხარე ერთსა და იმავეს გაიძახის - ჩვენ ხალხისგან გვაქვს „დაკვეთა“ ვაკეთოთ ესა და ესო. მაიაკოვსკიც იგივეს ამბობდა - „Мы голос воли низа, рабочего низа всего света“. გამართლება თავიანთი ექსცენტრული ქმედებებისა იმით, რომ ეს ხალხის მოთხოვნააო, მთლად მართალი ვერ იქნება სულ უბრალო მიზეზის გამო - ხალხი ჭრელია, და მიტომ. ორივე მხარე კი სწორედ ხალხის „მოთხოვნას“ იყენებს ფარად,

ესაოდა, ხალხისთვის უნდა გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი პირობებიო;

ესაოდა, ხალხის დასაქმებას უშლის ხელს მანიფესტაციებიო;

ესაოდა, ხალხისთვის გვინდა სააკაშვილისა და მისი მთავრობის დამხობაო;

ესაოდა, ხალხის დაკვეთითაა განუწყვეტელი დემონსტრაციებიო და ა.შ.

სურვილთა გულწრფელობაში, მართალია, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, მაგრამ ორთავე მხარისათვის ჭეშმარიტება და სიმართლე ძალიან შორსაა, თვით თავიანთ გულწრფელობაში არც ერთი არაა მართალი, და მიტომ.

კიდევ ერთი, ამ ორთაბრძოლაში ინდივიდები და ბელადები იმთავითვე გამორიცხულია ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც. ოპოზიციური გაერთიანება თუ გამოსვლების პირველი ტალღის დროს ჭრელი იყო, ახლა უფრო ჭრელი გახდა ბურჯანაძისა და ნოღაიდელის დართვის შემდეგ, უფრო თვალსაჩინო კი ყველაფერი ეს ალასანიას პოლიტიკური ბრძოლის [illegible]

... აქ ორომტრიალის ეპიცენტრში ისინი არიან უმთავრესად, ვინც სადღეისოდ იმ სკამებისთვის იბრძვიან, რომლებზედაც სულ რაღაც თვეების წინ თავად ისხდნენ. ვერ შეედრება ამათ რევანშისტულ სწრაფვას იმათი ბრძოლა, ვისთვისაც არ არსებობდა სკამით მინიჭებული კომფორტი. ასეთები კი ამ ბრძოლაში ცოტანი არიან და მათ სიტყვას დიდი გამავლობა არ გააჩნია. ამიტომ ბრძოლის ამა თუ იმ ეტაპზე ამა თუ იმ საშუალებით ისინი ჩამოსცილდნენ ამ საპროტესტო ტალღას და შეასუსტეს ისედაც სუსტი პოზიციები ოპოზიციისა. არადა, აქ მესმის, ახლა მაიაკოვსკის პათოსი, უბედურად შემოტრიალებული ხალხისთვის - „Единица! кому она нужна?! Голос единицы тоньше писка. Кто его услышит? - Разве жена! И то если не на базаре, а близко. Партия - это единый ураган, и голосов спресованный тихих и тонких. От него лопаются укрепления врага, как в канонаду от пушек перепонки. Горе одному, один не воин - каждый дюжий ему господин и даже слабые, если двое“. ამ პათოსს მთავრობისტები პირნათლად ასრულებენ. უბრალოდ, პრეზიდენტის სავარძელი მეტი ყურადღებით იმზირება, თორემ არც ერთი რიგითი მთავრობისტი სააკაშვილზე ნაკლებად არ იბრძვის (ყველა მეთოდებით). მაიაკოვსკის გაკვეთილი, საუკეთესოდ აითვისა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ სიჭრელის მიუხედავად, ოპოზიციამაც არანაკლებად აითვისა ეს გაკვეთილი, მცირეოდენის გამოკლებით. მაგალითისთვის ნათელაშვილმა და მისმა პარტიამ აქციების დაწყებამდე განაცხადა, რომ საპროტესტო აქციაზე ბურჯანაძის გვერდით არ დავდგებითო, არ დადგნენ, და სამომავლოდ გარანტირებულად დაიჯავშნენ პოლიტიკური სამარე, თუ ამ ბრძოლაში სააკაშვილი დამარცხდება. ვინც არ იბრძვის, ბუნებრივია, იგი არც გამარჯვებულია და არც დამარცხებული, იგი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება ისევ ისე, როგორც ყოფილა აქამომდე. მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა ნათელაშვილი და მისი თანამებრძოლები ამ აქციებზე - ერთხელ ცხრა აპრილს (აქციების დაწყებისას) და მეორეჯერ 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე გამართული თავყრილობისას. ამით მან თავისი თანადგომა გამოუცხადა „მის უდიდებულესობა ხალხს...“

განსხვავებულ, და შეიძლება ითქვას, უფრო მძიმე ვითარებაში ჩავარდნენ, ვიდრე ნათელაშვილია, ისინი, ვინც ამ საპროტესტო მღელვარების დღეებში ერთად იყვნენ და შემდეგ განერიდნენ ამ ტალღას. ეს ისინი არიან, ვისთვისაც არ არსებობდა აქამომდე პოლიტიკური კეთილდღეობა. ისინი მარადი ოპოზიციონერები არიან ყოველ მთავრობაში და ყოველი ხელისუფლების დროს, ხოლო ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, ამისი არანაირი შანსი არ გააჩნიათ. ამას მსოფლიო პოლიტიკური თამაშების „დიდი მოთამაშეები“ არ დაუშვებენ, რადგან ასეთ შემთხვევაში მათი გავლენის სფერო (რეგიონად წოდებული) უმართავი გახდება. ეს კი არც ერთ იმ „დიდ მოთამაშეს“ არ აწყობს, რანაირი ინტერესებიც არ უნდა ამოძრავებდეს ამ რეგიონებზე მათ. ამიტომაა განწირული ყოველთვის ასეთი ხასიათის პოლიტიკოსების პირადი ბედ-იღბალი.

### III. მიზანდასახული სიმკაცრით მიტანილი და მოგერიებული პირველი იერიშები

მთავრობამ თავისი პირველი შეტევა ოპოზიციაზე მიიტანა საყოველთაო დემონსტრაციების დაწყებამდე, იქნებ პირველი ტალღის ძალა შევასუსტოო. ეს ირიბად ეხებოდა დაგეგმილ აქციებს, სინამდვილეში კი ბურჯანაძის და მისი მეუღლის გაუვნებელყოფა იგეგმებოდა იმ იარაღების შესყიდვის ინციდენტით. მოულოდნელობის ეფექტმა რამდენიმე დღის განმავლობაში თავისი როლი შეასრულა და ეს ჭრელა-ჭრულა ოპოზიცია დაიფანტა, მაგრამ სულ მცირე ხნით - კვირის ბოლოსთვის ისინი მაინც ერთად დადგნენ, მაგრამ თავისი ნეგატიური შედეგი მაინც იქონია იარაღის შესყიდვის კომპრომატებმა. ეს ყველაფერი საუკეთესოდ შეისრუტა ბრბომ და ის ძალა, რისიც ესოდენ ეშინოდა მთავრობას, გახლიჩა. ამას ზედ მოაყოლა მუხროვანის ამბოხი და ამით განამტკიცა ბრბოზე ზეგავლენა სააკაშვილმა. თუ თავდაპირველად სააკაშვილისტები დამფრთხლები ლაპარაკობდნენ, ამ საიდუმლო კადრების გამჟღავნების შემდეგ, ისინი ისეთივე რიხით გამოდიოდნენ, როგორც თავიანთი მეფობის საუკეთესო, უშფოთველობისა და ზეობის ჟამს.

ტელეშეჯიბრების პროპაგანდისტულმა გადაცემებმაც „მადლს მარილი მოაყარა!...“ სააკაშვილმა და სააკაშვილისტებმა ყველა ხერხი იხმარეს იმისათვის, რომ პირველი ტალღა დამანგრეველი არ ყოფილიყო. მათი მთავარი აგიტგამოსვლების მთავარი დედააზრი იყო: „აი, ხალხო, ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, თქვენზე ვზრუნავთ, ამ ძნელბედობის ჟამს არ ჩამოიშალა ეკონომიკა, არ ჩამოიშალა სახელმწიფო, და ეს მაშინ, როცა მტერი სულ რაღაც ორმოც კილომეტრში კბილებამდე შეიარაღებული დგას. ჩვენ ხალხზე ვზრუნავთ, ერთმანეთს ვამხნევებთ, გზებს ვაგებთ, ხოლო ვიღაც-ვიღაცეები რაღაცეებს ჩმახავენ (ეს სააკაშვილისეული ტერმინია, მ.კ.). მათ სკამები უნდათ, ჩვენ კი ხალხზე ზრუნვით ვართ გატაცებულნი, როცა ჩვენი სკამები პიკეტირებულია...“ ამაზე გაჰყვიროდა მაიაკოვსკი ომახიანად: „А где ж душа? Да это ж риторика. Поэзия где ж? Одна публицистика!!“

პუბლიცისტიკაზე გამახსენდა და არც თუ ისე უსაფუძვლოდ, -

სადღეისოდ ჟურნალისტიკას (პრესას იმდენად არა, ტელეჟურნალისტიკას უმთავრესად - მ.კ.) დიდი, თუ არ გადამწყვეტი როლი ეკისრება მასების ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ამიტომ ამ მიყიდულ-მოყიდული ჟურნალისტების მიმართ განსაკუთრებული აგრესია გამოიჩინეს მანიფესტანტებმა - მათ არ დააკლეს არც სირცხვილის კორიდორები და არც ფიზიკური შეურაცხყოფა.

მაგრამ ეს იყო ბრბო.

მაგრამ ვითომ ეს ჟურნალისტები, მთავრობისა და ხელისუფლების ბრმა რუპორად რომ ქცეულან, ბრბო არ არის? თუ რადგან ტელე-ეთერი აქვთ დათმობილი, ამისთვის ისინი რაიმე პრივილეგიით სარგებლობენ?

თუ ჟურნალისტი ხარ, თანაც პროფესიონალი, პირუთვნელი უნდა იყო და არა ტენდენციური, დღეს საქართველოში არ არსებობს პირუთვნელი ჟურნალისტიკა - თუ ხარ და არსებობ, ვინც ჯამაგირს გიხდის, იმის სასარგებლოდ ხარ მომართული, ესე იგი ხარ ბოროტი და აგრესიული ბრბოს ნაწილი, რომელიც გონებით ზემოქმედებ მასაზე, მაგრამ დაბინდული გონებით. თუ მთავრობის მოსყიდული არ ხარ, მაშინ უეჭველად ოპოზიციის ლაქია ხარ, სხვა გზა არ არსებობს, ეს დაუწერელი კანონია ამ ჩვენს საბრალო ქვეყანაში, ილია ჭავჭავაძის ქვეყანაში. დააკვირდით პოლიტიკურ თოკშოუებს - რომელ წამყვანსაც რა აწყობს და რა დოზითაც აწყობს (დოზა დემოკრატიულობანასთვის სჭირდებათ), იმას ათქმევინებს და იმ დოზით, რაც არა და, უხეშად და უზრდელად ეჭრებიან საუბარში და არავის აცლიან აზრის დაბოლოვებას. ეს ყველა გადაცემაში ასე ხდება - ხელისუფლებისეულშიც და ოპოზიციურშიც. ასეა, როცა „Как будто душу тащил из-под фраз“, - ესეც შენი მაიაკოვსკი.

ახლა ისევ მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ - მთავრობამ თუ მიზანდასახული სიმკაცრით მიიტანა იერიში ოპოზიციაზე, ამ უკანასკნელმაც გააფთრებით დაიცვა თავი, მოიგერია და კონტრშეტევაზე გადავიდა. სწორედ ახლა აუხდა სააკაშვილს - „არ გაულაწუნო, მამაო ოხროხინე, თორემ ხელს შემოგიბრუნებსო“. ოპოზიციამ არც აცივა და არც აცხელა - პირველივე დღეებიდან, მიუხედავად კომპრომატებისა, უამრავი ხალხი შეიკრიბა საპროტესტოდ. გადაიკეტა რუსთაველის გამზირი, პერიოდულად პიკეტირებას უკეთებდნენ ავლაბრის რეზიდენციას, სახელმწიფო კანცელარიას, საჯარო ტელევიზიის შენობებს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მთავრობისთვისაც მოულოდნელი იყო ეს მუხტი. მან აირჩია ახალი ტაქტიკა, რომლითაც გადაწყვიტა ოპოზიციის განადგურება - სრული მიყრუება. თუ ადრე მთავრობამ მოთმინება დაკარგა და დაარბია მომიტინგეები და ამით გააასმაგა მათი აგრესია (მხედველობაში მაქვს საშვიდნოემბრო დარბევა 2007 წელს), ამჯერად ოპოზიცია პროვოცირებას უკეთებდა ხელისუფლებას, რათა მას დაერბია ისინი.

სწორედ მიზანდასახული სიმკაცრით ითმენდა მთავრობა მოწინააღმდეგეების გამოსვლებს და ტელეკამერამომარჯვებულები ევროპას გაჰყვიროდნენ - აი, რა ცუდი ხალხია ეს ოპოზიციონერები, მე მომიფრთხილდით, თორემ ვისთანაც მოგეცემათ საქმე, კარგად შეხედეთო.

გამძვინვარებული ოპოზიცია აღარავის ინდობდა, არც მთავრობას, არც პოლიციას, არც სამღვდელოებას და არც ევროპელ დიპლომატებს. განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ მოხვდა მეთიუ ბრაიზა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ. მართალია, მას თავი მალე დაანებეს, მაგრამ უკვე საზღვარგარეთელ დიპლომატებს არასასურველი შთაბეჭდილება შეექმნათ ოპოზიციაზე, თუმცაღა დიალოგის გამართვას მოუწოდებდნენ პირადი შეხვედრებისას, თუ საჯარო გამოსვლებში. გაკოტრებულმა ევრო-ამერიკულ ორგანიზაციებზე, რომლებმაც საქვეყნოდ დაამტკიცეს თავიანთი უსუსურობა რუსეთის

მამული

ქართველ ემიგრანტთა გაზეთი შეერთებულ შტატებში

წინაშე, ქართველებმაც აიცრუეს გული და არაორაზროვნად უდიერი ეპითეტებით შეამკეს ისინი. მთავრობამ დიდსულოვნად ჩაყლაპა ეს ალიყური ისევე, როგორც რუსებისაგან მათი რეპუტაციის გაბახვა.

ოპოზიციისათვის აღარ არსებობდა აღარაფერი და აღარავინ, რომელიც გახდებოდა მისთვის ავტორიტეტი და შუამავალი. იქამდე, მოხდა თუ არა არმოსაწონი კათოლიკოს-პატრიარქის პოზიცია, იქვე ისიც უცერემონიოდ „გადაწიეს" გვერდზე, რათა მის ავტორიტეტს არ შეეშალა მათთვის ხელი.

ერთის მხრივ ბრძოლის პირველ რაუნდში, შეიძლება ითქვას სააკაშვილმა კიდეც მოიგო და კიდეც წააგო, რასაც ვერ ვიტყვი ოპოზიციაზე. ეს უკანასკნელი მებრძოლ ფრეს დასჯერდა, ესეც დროებით. სააკაშვილის მოგება იმაში მდგომარეობს, რომ მან პროპაგანდისტულ ფრონტზე უპრეცედენტო გამარჯვება მოიპოვა - მასას შეუქმნა მტრის ხატი და მას, როგორც ორთქლმავალს მიაბა ვაგონები, რომელსაც ოპოზიცია ჰქვია. ეს მართალია, ვირტუალური სახეა მტრის ერთიანი სისტემის, მაგრამ თავისებური ბოლშევიკური ტონალობა მაინც დაინახეს ამ წარმოსახვებში. ამიტომ დაიჯერეს, მაგრამ უნდობლად მოეპყრნენ ყოველივე ამას. გამარჯვება კიდევ თავის ტაქტიკურ სვლაში გამოავლინა - არ დავარბიო, მაგრამ არც არაფერი დავთმო. რაც არ უნდა ემახა ოპოზიციას მაიაკოვსკივით - „Ешь ананасы, рябчиков жуй, день твой последний приходит буржуй!" და დაეყვედრებინათ პრეზიდენტისთვის სუშის ჭამა ნაირ-ნაირ რესტორნებში, ერთი ამბავი აეტეხათ საზღვარგარეთიდან გამოწერილ მასაჟისტზე, სააკაშვილმა და მისმა არდარბევებმა თავისი ჰქნეს - დროში გაწელეს ეს აქციები და ამით თანდათან შეამცირეს მანიფესტანტების რაოდენობა.

რაოდენობა შემცირდა, პროტესტის შეგრძნება კი არ გამქრალა ოდნავადაც მასებში და ნებისმიერ დროს შეიძლება ისევ ქუდზე კაცის დაძახებით ისევ იმდენი და უფრო მეტი (რაოდენობრივად) მომიტინგე გამოვიდეს ქუჩაში. ეს ამ აქციების მოთავეების თავებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ სააკაშვილმა კრახი განიცადა - ვერ დაარწმუნა მისმა პროპაგანდისტულმა მანქანამ ამ მთავრობის სიკარგეში (ვისაც სჯეროდა, ისევ იმან დაიჯერა, არა იმან, ვინც ორჭოფობდა) ოპოზიციის მომხრე მასის მცირე ნაწილიც კი. მოწინააღმდეგე მაინც მოწინააღმდეგედ დარჩა.

ვერც ოპოზიციამ მიიტანა ხელისუფლებაზე გამანადგურებელი იერიში -

ვერც თავიანთი აქციების ხანგრძლივობით;

ვერც პროვოკაციებით, რაც გამოწვეული იყო ქმედებებში, რომლებიც აიძულებდა მთავრობას დაერბია ისინი;

ვერც აშკარა აგრესიით, განხორციელებული პოლიციის შენობაში შეჭრით;

ვერც ჟურნალისტების ცემით;

ვერც მთავრობასთან არაერთგზის დიალოგით, რომელიც ატარებდა ულტიმატუმის ხასიათს.

შედეგი ამდენხნიანმა აქციებმა ვერ გამოიღო. იქამდე, ოპოზიციონერთა რიგები დატოვეს რამდენიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა და მათ გადაწყვიტეს დამოუკიდებლად ებრძოლათ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ისინი იყვნენ, ვისაც არასოდეს გაესინჯა სავარძლის გემო, მხოლოდ თეორიულად თუ იცოდნენ ამის შესახებ. მიუხედავად ამისა ოპოზიციის ავანგარდმა თავისი სვლა მაინც განაგრძო და ამჟამადაც განაგრძობს, რომლის მთავარი მიზანი მაინც შეუსრულებელი დარჩა.

იმისათვის, რომ ოპოზიციას ხელი აეღო თავის ერთადერთ მოთხოვნაზე, გადამდგარიყო სააკაშვილი და დანიშნულიყო რიგგარეშე საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო არჩევნები, მთავრობამ თავის ოპონენტებს ერთი კოხტა სატყუარა შესთავაზა, რომელზეც სიხარულითა და სიამოვნებით დათანხმდა საპარლამენტო ოპოზიცია, ამ მხრივ მხოლოდ ალასანიამ გამოთქვა თანამშრომლობაზე სურვილი. ოპოზიციის ძირითადმა ბირთვმაც შესაბამისად აღიქვა ალასანიას ეს ნაბიჯი - „Единица - вздор, единица - ноль, один - даже если очень важный - не подымет простое пятивершковое бревно, тем болле дом пятиэтажный". ეს იმ საბჭოეთის გარიჟრაჟის ბლავილის ექოა ჩვენამდე მოღწეული და რუპორში ჩამღერებული დიალოგის სიმღერასავით.

### IV. ფასი და ღირებულება ყველასი და ყოველივესი

ამ ორთაბრძოლის მცირე ეტაპიც არ აღმოჩნდა გადამწყვეტი, თუმცაღა იდეოლოგიურ ფრონტზე ასე თუ ისე თავისი პოზიციები თანდათან დათმო მთავრობამ, რადგან მისი კომპრომატების ახალი ომის მტკიცებულებები მყარად განმტკიცებული არ აღმოჩნდა. ოპოზიციამ თითქოსდა იცოდა ამ დარტყმის მთავარი წერტილები და სწორედ ამ სამიზნებში მოუწყო თავის მოწინააღმდეგეს ერთგვარი ხაფანგი. ბრძოლის მეორე ეტაპის ინსპირირება, რა თქმა უნდა, მოაწყო ოპოზიციამ და ეს იმაში გამოიხატა, რომ გაჩეჩილაძემ გერმანიაში ვიზიტის შემდეგ განაცხადა, მე დავასახელებ ჩემს დამფინანსებლებს, ოღონდ მოგვიანებითო. ეს უკვე მთავრობისათვის ერთგვარი სიგნალი იყო ახალი ბრძოლის წამოსაწყებად.

იფიქრა, იფიქრა სააკაშვილმა (და სააკაშვილისტებმაც), ბევრი იფიქრა, თუ ცოტა იფიქრა, მოიფიქრა. მოდი ახლა მე ჩემს ახალ კომპრომატებს ვუჩვენებ ხალხს, თუ ვის ხვდება გაჩეჩილაძე გერმანიაში და ვისგან ელოდება ფინანსურ დახმარებას და ეს იმდენად შოკისმომგვრელი იქნება საზოგადოებისათვის, რომ ერთბაშად გავაუვნებელყოფ ჩემს ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგეებსო. თანაც გულში ხითხითებდა მოსალოდნელი ელვისებური გამარჯვების მომლოდინე.

ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზიებმა დიდის სიხარულით ამცნეს საზოგადოებას, რომ თურმე გაჩეჩილაძე ფულს ვისგან ელოდებოდა, იცითო?!

ვისგან, ვისგანო?

ვისგან და, არც მეტი, არც ნაკლები კახა თარგამაძისგანო.

კაი კაცო, არ მჯერაო, - იტყოდნენ ურწმუნო თომები.

არა გჯერათ, ხომო?! აი, გადაღებულები არიან ერთად ბერლინშიო, - და უჩვენეს საიდუმლო თვალთვალის შედეგად გადაღებული კადრები.

თურმე ნუ იტყვით, გაჩეჩილაძესთან ერთად გამყრელიძეც არ ყოფილა?!

ჰოდა, არ დააგვიანა საერთო კომენტარებმა მთავრობისტების მხრიდან.

თქვენ იცით ვინ არის კახა თარგამაძეო?! ედიკას დროინდელი შინსახკომის „რკინის კაციო", რომელმაც პანკისის გატაცებებს დაუდო სათავეო, ხალხი ხტებოდა მის დროს ციხის ფანჯრებიდანო. ერთის სიტყვით დიდი ბობოლა კაციო, - ბავშვებს რომ აშინებენ, ჭამე საჭმელი, თორემ გუდიანი კაცი მოვა, ტომარაში ჩაგსვამს და წაგიყვანსო. მაგრამ სად წაიყვანს, ამაზე არავინ არაფერს ამბობს (ალბათ რუსეთში).

აი, თურმეო, ამ იგავის მორალი ჩამოყარეს მთავრობისტებმა და ჟურნალისტებმა, - ვისთან დადიან ფულების სათხოვნელადო. იგი რუსეთის მოქალაქეა და რუსეთის სპეცსამსახურების სტაჟიანი აგენტიაო. მართალია, რაზე ლაპარაკობდნენ, არ ისმოდა, მაგრამ, ბუნებრივია ფულზე იქნებოდა ბჭობაო. სხვა აბა ვის რა ექნებოდა სათქმელიო.

ერთი ქართული კომედიური სერიალისა არ იყოს „ვთქვი-თქვას" პრინციპი ამოქმედდა. თქვა ერთმა კომენტარი, მეორემ იგივე გაიმეორა და ასე შემდეგ.

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო უკეთ გაკილავდა თარგამაძიან-გაჩეჩილაძიან-გამყრელიძიანად ყველას. გული რომ მოიოხეს, ასპარეზი ოპოზიციას დაუთმეს, თუმცაღა იმ იმედით, რომ სათქმელი აღარაფერი იქნებოდა. ვიღაც „საკნელმა" ისიც კი თქვა, თუ ეს ასეა და გაჩეჩილაძე და გამყრელიძე მართლაცდა რუსულ კრიმინალურ თუ სპეცსამსახურების ფულებს ეტანებიან, მაშინ პროტესტის ნიშნად დავტოვებთ ჩვენ გალიებსო. ჩაიხითხითებდა მრავალმნიშვნელოვნად მაიაკოვსკი, მოისმენდა რა ამ კაცის ნათქვამს და გადაიყვირებდა მთელს ქვეყნიერებაზე ისევ და ისევ გამარჯვებულის პათოსით, ჩვენც რომ გაგვეგონა, ისე - „В очках манжетщики, злобой почаркав, ползли туда, где царство да графство. Дорожка скатертью! Мы и кухарку каждую выучим управлять государством". რაღაც ნაცნობი პათოსია სააკაშვილისეული ექსცენტრიულობით წარმოთქმული და შინაარსობრივი ქარგით მიმსგავსებული.

გოლიათები იქით იყოს და, ამ პროპაგანდისტულ ომში სააკაშვილმა წარმოუდგენელი მარცხი იწვნია და აი, როგორ -

შეტევას კონტრშეტევა მოჰყვა და ასეთი კითხვა იქნა დასმული ოპოზიციის მხრიდან, რომ არავინ მოელოდა, თვით ყველაზე გულმხურვალე სააკაშვილისტიც კი, თუ ეს შეკითხვა, კისერს მოატეხინებდა მთავრობის იდეოლოგიურ მანქანას.

- თუ ასეთი კაციჭამია იყო ეს თარგამაძე, რატომ არ არის მასზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეო?

ამ კითხვამ იმდენად დააბნია სააკაშვილისტები, რომ ვინც რას ამბობდა, ველარ აკონტროლებდა თავს. ერთი კი ნათლად თქვეს, რომ ვერ მოვასწარით მასზე საქმის აღძვრა, ისე წავიდა საქართველოდან და მიიღო რუსეთის მოქალაქეობაო. მერე კი აზრი აღარ ჰქონდა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ყოფილი მინისტრის.

ჭკუათმყოფელი კაცი დაიჯერებს ამ არგუმენტებს?

რა თქმა უნდა სერიოზულად არავის მიუღია ასეთი თავის მართლება. მერე კიდევ ისიც შეახსენეს სააკაშვილს, თუ როგორ უხდიდა თვით სააკაშვილი კახა თარგამაძეს გაყალბებული 1999 წლის არჩევნებისთვის მადლობას მიუხედავად იმისა, რომ ჭყულეტისას ერთი ქალი დაიღუპა მაშინ. ორივე მხარემ სიტყვები ბანზე ააგდეს რა ბრალდებასაც უყენებდნენ ერთს, იგი საპირისპირო ბრალდებებით პასუხობდა და იმ მთავარ ბრალდებას პასუხს არ სცემდა, ასევე იყო საპირისპირო შემთხვევაშიც.

მთავარი კითხვები: იყო თუ არა კახა თარგამაძე გუდიანი კაცი, ტომარაში რომ აწყობდა კაცებს და შინსახკომის შენობიდან ყრიდა და დარჩა თუ არა იგი დღესაც ასეთ ბობოლა კაცად; ფინანსდება თუ არა ოპოზიცია კახა თარგამაძის ფულებით და ასდის თუ არა ამ ფულებს რუსეთის კრიმინალის ან სპეცსამსახურების სუნი?

ეს კითხვები კადრს მიღმა დარჩა.

ასეა თუ ისე, ჩემს თვალთახედვით აღარ დარჩა საქართველოში პატიოსანი პარტიოსანი. მაიაკოვსკი კი რიხით ამბობდა - „Партия - рука миллионопалая, сжатая в один громящий кулак..." და რიხითვე ადასტურებს ამას ქართველი ყველა ჯურის პარტიოსანი.

რომ არაფერი გამოუვიდათ თარგამაძის საკითხიდან, ვიღაც პინჩუკს მიახტნენ, ბურჯანაძე შეხვდაო მას. ეს პინჩუკი კი უკრაინაში პუტინ-პუტინიჩას დასაყრდენიაო და მეგობრულ უკრაინაში რუსული გავლენის დამკვიდრების ერთ-ერთი უმთავრესი ლობისტიაო. ის თუ არა, ეს ხომ მაინც გამოვიჭირეთო, - ჩაიხითხითეს პირველი ალიყურით გამწარებულმა მთავრობისტებმა. ბურჯანაძემ კი ვითომც აქ არაფერიო, წამოაძახა სააკაშვილს - შენ არ იყავი, პინჩუკი რომ გამაცანიო? რაღაც კონცერტზე მოგიწვია და მეც თან გახლდიო. ახლა გახდა პინჩუკი კრემლის აგენტიო?

აქ უკვე აღარ იცოდნენ რა ეპასუხათ მოწინააღმდეგისათვის, ისევ უნიათო თავის მართლებაზე გადავიდნენ - ესაოდა სააკაშვილი რომ წვეულებაზე იყო და ბურჯანაძეც თან ახლდა, ეს პინჩუკთან კი არ იყვნენ სტუმრად, პინჩუკიც იყო ამ წვეულებაზეო.

გინდა ისე თქვი, გინდა ასე, სააკაშვილისტების ეს ომი წარუმატებლად დამთავრდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც კომპრომატების მოგერიების შემდეგ ოპოზიცია მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდა - ერთ-ერთ ოპოზიციურ ოფისში მოსასმენი აპარატები აღმოაჩინეს და საქვეყნოდ დაიწყეს ყვირილი, - რატომ უთვალთვალებენ ოპოზიციას, რომელი კანონმდებლობის საფუძველზეო, სადაც კაცი ფეხს დაადგამს, ყველგან უნდა სდიოთ ტელეკამერებითო? ახლა ამაზე გაგვეცით პასუხიო.

მართალია, პასუხი ვერ გასცეს, სამაგიეროდ ასეთი აბსურდი თქვეს - რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გადაიღებს ამ კადრებს მოყვარული თუ ჯაშუში, ჩვენთვის მთავარია, რა არის დაფიქსირებული ზედო. ესეც მთავარი თემიდან მეორეხარისხოვან თემებზე საკითხის გადატანაა. ერთის სიტყვით ორივე მოწინააღმდეგემ მედლის თავ-თავიანთი საჭირო მხარე სრულად განიხილეს, რაც არ აწყობდათ, ისე წარმოსახეს, თითქოს მედალს მეორე მხარე არ ჰქონოდა და მარტო იმ მხარით იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომელ-









[illegible]

შესყიდული წყნეთის აგარაკის საშემოსავლოს გადაუხდელობის გამო. და არა იმაზე, ღირდა თუ არა ის დადებული ფასი, რატომ გაყიდა მთავრობამ ამ ფასად და რა ნამუსით შეისყიდა ღირებული იმ ფასად „ტუტსიმ". ამას ჰქვია ფასი და ღირებულება უთანასწოროაო, არ შეესაბამება ერთმანეთსო, ზვიადის ზღაპარში კი მეფე და დიდებულები შიშითა და ძრწოლით ელოდნენ აუწონავი ხმის ჭაბუკის გამოჩენას, რომელიც შეცვლიდა ყინულეთის სამეფოს, ვის ხმასაც ვერ აწონიდა სასწორთვალა.

ჩაიარა ამ ზღაპრის ლამაზმა რომანტიკამ საქართველოს მიღმა, მხოლოდ ყინულეთი დარჩა ისევ და ცოფიანი კატებისაგან დაგლეჯილი ვერძების სისხლით გაპოხილი მიწა.

იქნებ, აგვიანებს ამ ზღაპრის ფინალი ჩვენში შემოსვლას.

იქნებ, ჯერ არ დაბადებულან „უცნაური გარეგნობის ხალხი თავის ქალები რომ თონეებად ქცევიათ, აბედიც რომ არ სჭირდებათ და აღარც კვესი, გულით რომ ინთებენ ენებს, ხოლო ენით - თავის ქალის თონეებს, საიდანაც ნელსურნელება იფრქვევა ენით უთქმელი... „უკვდავების სახაბაზო" რომ აწერია ქალაქის გალავანს ფიქრის ასოებით".

იქნებ, თვით ზვიადი შეცდა და ჩვენ აღარა ვართ ის ხალხი, რომელ-

[illegible]

ბოს „ჩვენ" და ვგულისხმობ ამ ორთაბრძოლების მოთავეებს ორივე მხრიდან. ჯიბის ოპოზიცია, ესე იგი საპარლამენტო ოპოზიცია ყოველი მხრიდან შეწეპებია მთავრობას და კბილებით იცავს თავის მონაპოვარს, ვინ როგორი ხარისხითა და მონდომებით, ეს მათ სინდისზეა - ზოგი გაიძვერაა და ახერხებს შენიღბვას თავისი მიზნის მისწრაფებები, ზოგი ბოთეა და რაც პირზე მოადგება იმას ჩლიფინებს, ზოგი ავანტიურისტია და ათასაფიორაგამოვლილი ახლაც ახერხებს მოხერხებულ ქვემძრომობას, მაგრამ ყველა მათგანს რომ დაუსვა კითხვა რა ფასია ღირებულება და რა ღირს ეს ფასეულობანი, ყველანი იმ ბოთე პარლამენტარივით ათლიფინ-აჩლიფინდება და ხეირიანს ვერაფერს იტყვის.

### V. მყიდველი თუ გამოჩნდა...

ერთი მნიშვნელოვანი ურთიერთბრალდება გამოთქვა ორთავე დაპირისპირებულმა მხარემ, სადაც ყოველი უბედურების წყაროთსათავედ რუსეთია დასახელებული. რუსეთს ვამბობ და პუტინ-პუტინიჩას პოლიტიკურ-მაფიოზურ კასტას ვგულისხმობ და მათთან და მათ იდეოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ რუსებს.

ერთის სიტყვით, სააკაშვილ-სააკაშვილისტები ამბობენ, რომ ამ ხანგრძლივი დემონსტრაციების უკან რუსეთი დგას, და რომ ყველაფერი ეს დაგეგმილი იყო კრემლში და ქართველი „მეხუთე კოლონისტები" ელოდებიან არეულობას გარედანო. ამის სადემონსტრაციოდ მმართველი პოლიტიკური კასტის მიერ წარმოდგენილი იყო არაერთი არგუმენტი დაწყებული ცხრა აპრილამდელი იარაღის შესყიდვის კომპრომატით, რაც გაგრძელდა მუხროვანის ამბოხით და აგერ ახლახან კახა თარგამაძესთან და ვიღაც პინჩუკთან შეხვედრებით დამთავრებული. ამას დაემატა პროპუტინისტური კომკავშირლების სვლა თბილისზე, ეს ახალგაზრდა ფაშისტი ავანტიურისტები გაიძახოდნენ, რომ ჩვენ „სამხრეთ ოსეთის" გავლით უნდა ჩავიდეთ თბილისში და სოლიდარობის ნიშნად უნდა შევუერთდეთ ანტისააკაშვილისტურ გამოსვლებს რუსთაველის გამზირზეო. ამ პროვოკაციას ისიც დაემატა, რომ ვიღაც რუსი დაიჭირეს სატახტო ქალაქში ჯაშუშობის ბრალდებით და გადასცეს იგი შვეიცარიის საელჩოს, რათა გადაეცათ ეს პიროვნება რუსეთისთვის.

სცენარი უნდა განვითარებულიყო შემდეგნაირად — ეს კაცი უნდა დახვედროდა სამაჩაბლოს საზღვართან ამ ახალგარდა ფაშისტებს და უნდა გადმოეყვანა ისინი ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართველების კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამას უნდა მოჰყოლოდა ქართველთა მხრიდან საპასუხო რეაქცია და შემდეგ რუსის ჩექმა გადმოალაჯებდა „საზღვარს" და დაიწყებოდა აუთვისებელი უნიტაზებისა და ოქროს ჩანგლების ათვისების ოპერაცია თბილისამდე. თბილისში კი უნდა „დახმარებოდნენ" ოპოზიციას სააკაშვილის უნიტაზში ჩარეცხვაში.

ეს რომ მრავალმხრივი პროვოკაციაა და მრავალმნიშვნელოვნად შეიძლება ამის წაკითხვა და ამოკითხვა, თუ ვინმეს ერთი დეტექტივი ან წაუკითხავს და ან კინოფილმად უნახავს, აუცილებლად დამერწმუნება. ოპოზიციამ კი სულ უბრალოდ და მარტივად გადაწყვიტა ამ ამოცანის ამოხსნა — ესო, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მომხრეების დასაშინებლად გაათამაშეს რუსეთმა და საქართველოს ხელისუფლებამო. იქამდე იმასაც ისახავდნენ მიზნად, რომ ამით ჩვენი რეპუტაცია უნდა შეელახათ ხალხის თვალში, თითქოსდა, აი, რა ხალხი უჭერს მხარს და რა ხალხი უმაგრებს ზურგს მთავრობისა და ხელისუფლების მოწინააღმდეგეებსო, თორემ ნორჩი პუტინისტები ვერ შემოვიდოდნენ საქართველოში, ხოლო რუსეთის ჯარი თუ წამოვიდოდა თბილისზე, ის არც მთავრობას დაინდობდა და არც ოპოზიციას, უბრალოდ თავის კაცს დასვამდა სააკაშვილის ნაცვლად. მაიაკოვსკიც აქვეა: „Раз, два, три, пионеры мы. Мы фашистов не боимся, пойдём на штыки".

ოპოზიცია თავის ბრალდებებში უფრო შორს წავიდა.

თარგამაძესთან შეხვედრის შემდეგ გაჩეჩილაძემ და გამყრელიძემ განაცხადეს, რომ რუსეთის ინტერესებში შედის სწორედ სააკაშვილის შენარჩუნება, რადგან იგი წარმოდგენილი ჰყავთ როგორც რუსეთის ნომერ პირველ მტრად და თავიანთ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ ამართლებენ მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნით და ვიდრემდე სააკაშვილი პრეზიდენტად იქნება, მანამდე არ შეწყდება პროვოკაციებიო.

ერთგვარი მტკიცე ლოგიკაა.

ისიც თქვეს, რომ პუტინ-პუტინიჩა ქართველ ბიზნესმენებს უკრძალავს ოპოზიციის დაფინანსებას, რათა ვერავინ ვერ მოახერხოს სააკაშვილის წაქცევაო. სააკაშვილი რომ არა, ჩვენ საქართველოზე გალაშქრების საფუძველი გამოგვეცლებოდაო.

ეს ასეა თუ ის ისეა, კულისებსა და კულუარებში ხამამაღლა ლაპარაკობენ რუსეთის შესაძლო მეორე ომზე სამხრეთ კავკასიაში. რამდენად მართალია ეს და რამდენად აწყობს რუსეთს ეს და რამდენად შეუძლია მას წარმატებით დააგვირგვინოს ეს ლაშქრობა ძნელი გამოსათვლელი სულაც არ არაა. ყველაფერი ეს რიჩარდ ლომგულის ხმამაღლა ნაყვირებს ჰგავს, ჯვაროსნული ლაშქრობისთვის რომ იზიდავდა ინგლისისა და ევროპული კონტინენტის ყულაბას - „მყიდველი თუ გამოჩნდა, ლონდონსაც გავყიდიო!..."

რა თქმა უნდა, რუსეთი ომს რამდენიმე მიზეზით ვერ დაიწყებს საქართველოში.

იმიტომ, რომ ომის წარმოებისთვის მას საჭირო სახსრები არ გააჩნია;

მეორეც იმიტომ, რომ ევრო-ამერიკის ფუნქცია უფრო ქმედითი იქნება, ვიდრე ეს გასულ აგვისტოში იყო;

მესამეც იმიტომ, რომ მან იცის, საქართველოს განახლებულ არმიას ვერ ძლევს უფრო მეტადაც, ვიდრე ეს ვერ შესძლო გასული წლის აგვისტოში;

მეოთხეც იმიტომ, რომ ის ველარ დაამარცხებს ამ ქვეყანას;

მეხუთეც — იმიტომ, რომ მას დასაყრდენი არ გააჩნია ქართულ საზოგადოებაში;

მეექვსეც — იმიტომ, რომ მან თავისი მინიმალური გეგმა პრაქტიკულად განახორციელა და გაბედულად კავკასიის ქედი გადმოლახა და ხერხემალში აქვს ხელი ჩაჭიდებული საქართველოზე, რაზ-დვა ლევოი, - და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთმანეთისაგან დააცალკევებს, საჭიროების შემთხვევაში აფხაზეთიდან დასავლეთ საქართველოს შემოუტევს, სამაჩაბლოდან კი თბილისსა და ქართლ-კახეთს ააოხრებს. მისთვის ჯარების აქ ყოფნა რუსეთის იმპერიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ეს მაშინ, როცა რუსეთს მართავს ლოთი და უნებისყოფო, ჩიტირეკია პუტინიჩა, ხოლო მის ზურგს უკან მეფობს ვერაგი და მიზანდასახული პუტინი, რომელიც მისდევს ფხიზელი ცხოვრების წესს ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ასეა პოლიტიკაში გაღმერთებული რას-პუტინა, დვა-პუტინაზე აღარაფერს ვამბობ. ალბათ სკოლაში კარგად უსწავლიათ პროლეტარსკი პოეტის შემოქმედება, ცხოვრებაში რომ უნდათ გაატარონ მისი სიტყვები - „Брат сменяет врага проделого, но будет над миром зажжем небеса — но это уже полезней проделывать, чем об этом писать".

ჩემის აზრით, რუსეთს საქართველოში ასე თუ ისე სააკაშვილიც აწყობს და ოპოზიციის გამოსვლებიც, რათა მან თავისი მზაკვრული და ვერაგული გეგმები განახორციელოს. მერე ერთმანეთს დააბრალებენ ქართველები ხან მამისონის გაყიდვას, ხან ენგურჰესის მიტაცებას. ის თავის საქმეს მიზანმიმართული სიმკაცრით ახორციელებს. ემზადება სოჭის ოლიმპიადისთვის და ამისთვის ანადგურებს სოხუმის სანაპიროებს, გააქვს ქვიშა ეშელონებით და ამით აფხაზეთის ზღვისპირეთს უქმნის ეკოლოგიურ საფრთხეს, აშენებს სამხედრო ბაზებს და ამაგრებს საზღვრებს, აშენებს ქართულ „ბერლინის კედელს". თან მაიაკოვსკივით გაჰყვირის - „Напрасно кулак Европы задран. Кроем их грохотом назад! Не сметь!? - ასე მგონია, ეს პოემა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ კი არა ვლადიმერ პუტინმა დაწერა. ეს იმას ნიშნავს, „ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოებაზე" ჰიტლერს რომ დაეწერა რაღაც მაგდაგვარი.

„მწერალი ემოციური არსებაა, მასზე ღრმად ზემოქმედებენ ძლიერი ადამიანები. როგორც სრულიად უცნობი ლამაზი ქალი აფორიაქებს მწერლის სულს და უმშვენიერეს ლექსებს დააწერინებს, ასევე იწვევს ძლიერი პიროვნება შემოქმედის აღგზნებას. უჩენს სურვილს ხოტბის შესხმის" (აკაკი ბაქრაძე, „კარდუ").

მართალია, მე შორსა ვარ იქედან, რომ აღვფრთოვანდე რას-პუტინა, დვა-პუტინათი, მაგრამ განსაკუთრებით რას-პუტინაზე მინდა ვთქვა:

დვა-პუტინასგან (იგივე პუტინიჩასგან) განსხვავებით იგი ძლიერი პიროვნებაა (ამიტომაც „კლიჩკად" რუსეთის ახლანდელ დე-იურე პრეზიდენტს „პუტინიჩა", „დვა-პუტინა" შევარქვი, პუტინიდან გამომდინარეობს მთლიანად მისი ნატურა, და მიტომ. ხოლო ეს პუტინი, ანუ პუტინიჩასთან მიმართებაში რას-პუტინა თავისი სივერაგითა და სიბინძურით სხვა არავინაა, თუ არა გრიგორი რასპუტინ, სათავე გახრწნილებისა, ანუ Распутство-სი), ისეთი ძლიერი, რომ სტალინის შემდეგ მასზე გონებაგამჭრიახი და მიზანდასახული პოლიტიკოს-ავანტიურისტი რუსეთს არ ჰყოლია. მაგრამ პუტინის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ იგი რუსეთში ვერ სტალინობს, არ გააჩნია ის ფენომენალური ალღო, რითაც სტალინმა საკუთარი თავი პირველყოვლისა რუსეთში დაიმკვიდრა და შემდეგ მსოფლიო თამაშის წესებს კარნახობდა სამყაროს. პუტინი არაა ის კაცი, საკუთარი ცხოვრებით შექმნას საკაცობრიო ერა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით. მთლიანმა რუსეთმა ვერ შეძლო ეს რომ არა მხოლოდ და მხოლოდ სტალინის სახელი. აქ აღფრთოვანებაც შეიძლება და სინანულიც.

ამიტომ მისდევს პუტინი კვალდაკვალ სტალინის ნატერფალს, ამიტომ ცდილობს პუტინი კალკირება გაუკეთოს თავის კუმირს და სურს საკუთარი პერსონით დათრგუნოს ამერიკის პრეზიდენტი, მისთვის სულერთია, რას ილაყბებენ ობამა და პუტინიჩა, მისთვის მთავარია დამთრგუნველი ეფექტი მოახდინოს სტუმარზე, ხოლო საქართველოს საკითხი მისთვის ასე თუ ისე გადაწყვეტილია.

**მანუჩარ კაჭახიძე**

მათი დაბადების თარიღები სხვადასხვაა, გარდაცვალების თარიღი კი ერთი — **2008 წლის აგვისტო.** ბევრ მათგანს პატარა შვილები დარჩა, რომლებიც ყოველთვის იამაყებენ ომში გმირულად დაღუპული მამის სახელით, ზოგმა ვერ მოასწრო დაოჯახება, ზოგს წვერიც კი არ ჰქონდა ხეირიანად ამოსული... ბევრ მათგანს სიკვდილის შემდეგაც არ ეღირსა ოჯახში შესვლა, პირდაპირ ძმათა სასაფლაოზე მიიყვანეს და დაკრძალეს როგორც უცნობი ჯარისკაცი. **არცერთ ქვეყანას არ ჰქონია ორდღიანი ომის შემდეგ ამდენი უცნობი ჯარისკაცის საფლავი ერთად...**

ისინი საქართველოს გაერთიანებას შეეწირნენ, მერე რა, რომ ვერ მოახერხეს... მთავარსარდალმა თავიდანვე იცოდა, რომ წაგებულ ომს იწყებდა, მაგრამ ბიჭებს ერთი წამითაც არ დაუხევიათ უკან, რუსული ავიაგამანადგურებლების ბომბების ქვეშ სრულიად დაუცველნი, მაგრამ შეუდრეკელნი იდგნენ... **მთავარსარდალმა კაპიტულაცია გამოაცხადა, ბიჭები ისევ იბრძოდნენ და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ.** ისინი ბევრნი არიან.... **170 ქართველი გამორჩეული ვაჟკაცი ძალიან ბევრია...** მათ რიგებში არ არიან გენერლები, სხვა მაღალი ჩინები, გენერლები მაშინ ბუნქერებში ისხდნენ... ომი წავაგეთ.. არა, ომი მთავარსარდალმა წააგო. ისინი გამარჯვებულნი წავიდნენ ამქვეყნიდან... მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აინთებს!



მოიხსენე, უფალო ღმერთო ჩვენო, სავანეთა მათ საუკუნეთა რწმენითა და სასოებითა შენითა აღსრულებული მონანი შენი და ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან, ცოდვათა მიმტევებელმან და უშჯულოებათა აღმხოცელმან, უძალო-ჰქმენ, მიუტევენ და შეუნდვენ ყოველნი შეცოდებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი. იხსენ, უფალო, იგინი სამარადისოისა სატანჯველისა და გეჰენიისა მის ცეცხლისაგან უშრეტისა, ნეტარ-ყავ და თანაზიარ იგინი საუკუნეთა მათ კეთილთა შენთა, რომელნი განუმზადენ მოყვარეთა შენთა. დალაცათუ გცოდა, უფალო, არამედ არა განდგა შენგან, არცა შეორგულდა, არამედ ესავდა სამებასა წმიდასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, და შენ, ერთსა სამებისაგანსა, განკაცებულსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, და ვიდრე უკანაისკნელად აღმოფშვინვამდე მართლმადიდებლობით აღიარებდა სამებასა ერ-თარსებასა, ვინაიცა მოწყალე ექმენ მას და რწმენაი მისი შენდა მომართ, ვითარცა ღვაწლი დიდი, მიითვალე და მოწყალებითა შენითა წმიდათა შენთა თანა განუსვენე. ამინ.

# მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!

1. **თეიმურაზ თამაზის ძე ჩიტაძე — სამხედრო-საზღვაო ძალები,** კაპიტან-ლეიტენანტი;
2. **ზვიად რევაზის ძე დათუაშვილი — სამხედრო-საზღვაო ძალები,** კაპრალი ;
3. **თემურ გოგის ძე ფიჩხაია — სამხედრო-საზღვაო ძალები,** კაპრალი;
4. **გიორგი ნუგზარის ძე ღვინჯილია — სამხედრო-საზღვაო ძალები,** კაპრალი;
5. **ზვიად ზურაბის ძე ბარბაქაძე — სამხედრო-საზღვაო ძალები,** კაპრალი;
6. **ალბერტ უშანგის ძე ბალხამიშვილი — სამხედრო-საჰაერო ძალები,** კაპიტანი;
7. **ნოდარ ეფრემის ძე დევნოზაშვილი — სამხედრო-საჰაერო ძალები,** სერჟანტი;
8. **გიორგი ჯიმშერის ძე ნანუაშვილი — სამხედრო-საჰაერო ძალები,** ავიაციის უმცროსი სერჟანტი;
9. **ბადრი გიორგის ძე ბასილაძე — სამხედრო-საჰაერო ძალები,** კაპრალი;
10. **სამსონ ფრიდონის ძე ბურჩიანი — სამხედრო-საჰაერო ძალები,** ვადიანი სამხედრო მოსამსახურე;
11. **შალვა გურამის ძე ტრაპაიძე — I ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
12. **ვიტალი ილიას ძე თაყაძე — I ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
13. **მამუკა გოჩას ძე ბექურაშვილი — I ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
14. **შოთა ოლეგის ძე ხურციძე — I ქვეითი ბრიგადა,** ლეიტენანტი;
15. **ასლან ჯემალის ძე შაინიძე — I ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
16. **თამაზ ედუარდის ძე ნიკიტინი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
17. **მამია თამაზის ძე ფანცულაია — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
18. **ლევან ოთარის ძე თეფანია — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
19. **ედნარ დურსუნის ძე დიასამიძე — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
20. **დიმიტრი ოთარის ძე ჯაილოვი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
21. **თემურ ტარიელის ძე ბოკუჩავა — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
22. **მამუკა ნუგზარის ძე სამაკაშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
23. **ამირან ნოდარის ძე შაინიძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
24. **მალხაზ ილიას ძე აბაშიძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
25. **ზურაბ გივის ძე ბალაშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
26. **მიხეილ დავითის ძე დვალიშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
27. **თეიმურაზ ბეჟანის ძე ბერიძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
28. **ილია ვაჟას ძე შეყლაშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
29. **ფრიდონ გიორგის ძე თურმანიძე — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
30. **ვაჟა ნოდარის ძე შაინიძე — II ქვეითი ბრიგადა,** სერჟანტი;
31. **ანზორ ვახტანგის ძე გელდიაშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
32. **ლევან რეზოს ძე კოხრეიძე — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
33. **ალექსანდრე ვალოდიას ძე ონიანი — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
34. **რუსლან ვილორიკის ძე წულაძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
35. **ნიკოლოზ ჯონდოს ძე ფორჩხიძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
36. **შმაგი როლანდის ძე კუპატაძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
37. **ზვიად სერგოს ძე კაცაძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
38. **ილია ივანეს ძე გაბუნია — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
39. **ირაკლი ვაჟას ძე ჯანელიძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
40. **მარლენ ტარიელის ძე ბარამია — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
41. **ლევან თამაზის ძე მელქაძე — II ქვეითი ბრიგადა,** სერჟანტი ;
42. **ლერი თენგიზის ძე ლაგურაშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
43. **ლევან ოლეგის ძე მანძულაშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
44. **ემზარ შუქრის ძე წილოსანი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
45. **ფელიქს მიტუშას ძე კაკაურიძე — II ქვეითი ბრიგადა,** ავიაციის უმცროსი სერჟანტი;
46. **რომან ლევანის ძე ზოიძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
47. **კახა აკაკის ძე კოშაძე — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
48. **ვალერი სულიკოს ძე გოგნაძე — II ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
49. **ზურაბ ავთანდილის ძე ეფაძე — III ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
50. **გიორგი ზაურის ძე ტატუაშვილი — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
51. **ალექსანდრე პავლეს ძე ზაზაშვილი — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
52. **მალხაზ თამაზის ძე გიგუაშვილი — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
53. **ავთანდილ იოსების ძე ქამაშიძე — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
54. **კობა რევაზის ძე ხარჩილავა — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
55. **არტემ გურამის ძე ბალახაშვილი — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
56. **მერაბ მურმანის ძე თუთისანი — III ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
57. **ვალერი რეზოს ძე ციცქიშვილი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
58. **გოგა ტიტეს ძე გოგორიშვილი — III ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
59. **ვასილი იურის ძე სმირნოვი — III ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
60. **პაატა ჯეირანის ძე კოპალიანი — III ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
61. **ფრიდონ ავთანდილის ძე ბრეგაძე — III ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
62. **მერაბ ტარიელის ძე ახობაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი ლეიტენანტი;
63. **კობა იურის ძე სერგია — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
64. **გიორგი ოთარის ძე კირაკოზაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
65. **შალვა ზაურის ძე დოლიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** მაიორი;
66. **ფილიპე ჰამლეტის ძე მგალობლიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** სერჟანტი;
67. **ილია გიორგის ძე ბაბუციძე — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი ლეიტენანტი;
68. **გიორგი ბენადის ძე ნადარეიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი ლეიტენანტი;
69. **ალია მერაბის ძე ბარდაველიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** ლეიტენანტი;
70. **ლევან ცაგოს ძე დევდარიანი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
71. **ირაკლი ომარის ძე ბაზაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
72. **ზაურ ჯუმბერის ძე თენეიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
73. **ავედიკ ვახტანგის ძე ლომიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
74. **ნიკა გაბრიელის ძე ყალაბეგიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
75. **დავით დაზმერის ძე ჯიქია — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
76. **საბა შამილის ძე დადვანი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი ;
77. **მურთაზ გურამის ძე ირემაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
78. **ვახტანგ ბადრის ძე გზირიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
79. **დავით რობერტის ძე დვალიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
80. **ონისე ლევანის ძე დოიჯაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
81. **რაულ ასლანის ძე მჟავანაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
82. **დევი ჯონდოს ძე ჩადუნელი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
83. **გოგიტა ნუგზარის ძე ქარჩავა — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
84. **ზაურ მურმანის ძე მახარაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
85. **კობა ამირანის ძე წურწუმია — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
86. **გიორგი ბენადის ძე ჯავახიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
87. **სოსო თენგიზის ძე ღვინიაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
88. **გიორგი მიხეილის ძე ბერიკაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
89. **ვლადიმერ უშანგის ძე დავითაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
90. **ლევან შუქურის ძე იოსებიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
91. **რეზო გიორგის ძე ახალკაცი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
92. **ზურაბ გიორგის ძე აბრამიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
93. **ზაზა თენგიზის ძე ფერაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი სერჟანტი;
94. **უშანგი ომარის ძე სოფრომაძე — I ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
95. **გელა გივის ძე ჩედია — V ქვეითი ბრიგადა,** მაიორი;
96. **მერაბ თამაზის ძე ჩელიძე — V ქვეითი ბრიგადა,** სამედიცინო სამსახურის სერჟანტი;
97. **გიორგი თენგიზის ძე ღვინიაშვილი — V ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
98. **ამირან გურამის ძე მამალაძე — V ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
99. **ჯიმშერ იაშას ძე ტოროშელიძე — საინჟინრო ბრიგადა,** კაპრალი;
100. **გიორგი პაატას ძე მურადაშვილი — საინჟინრო ბრიგადა,** კაპრალი;
101. **ზაზა ბეგლარის ძე ახალკაცი — საინჟინრო ბრიგადა,** სერჟანტი;
102. **დავით ვალიკოს ძე ელიზბარაშვილი — საინჟინრო ბრიგადა,** პოლკოვნიკი;
103. **არჩილ ვახტანგის ძე ბერიანიძე — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** უფროსი სერჟანტი;
104. **გიორგი ნოდარის ძე ბადრიაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** სერჟანტი;
105. **თამაზ არდიკოს ძე მელიქიძე — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** უფროსი სერჟანტი;
106. **ივანე მალხაზის ძე კვალიაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
107. **ვასილ გივის ძე ბანჯელაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
108. **გიორგი ირაკლის ძე რომელაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
109. **ზაზა ზაურის ძე დოთიაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
110. **ჯიმშერ ელგუჯას ძე კურდღელაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
111. **გიორგი ვალერის ძე მამუკაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
112. **ზაქარია იოსების ძე კვირიკაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
113. **ელგუჯა ნოდარის ძე ინაური — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** სერჟანტი;
114. **ზურაბ თამაზის ძე ურიგაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
115. **იოსებ გურამის ძე მეხატურიშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
116. **მზეჩაბუკ ტარიელის ძე მიჩიტაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
117. **რამაზ გურამის ძე ერაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
118. **გიზო გულივერის ძე წულაია — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
119. **ივანე ნუგზარის ძე ელიკაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
120. **გოგიტა გურამის ძე მაკრახიძე — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** უფროსი სერჟანტი;
121. **ოთარ პაატას ძე ქარელი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
122. **მიხეილ ქიშვარდის ძე ცერცვაძე — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** სერჟანტი;
123. **გიორგი დავითის ძე შაინიძე — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
124. **ომარ ლეოს ძე ასლანიძე — ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი,** უმცროსი სერჟანტი;
125. **კახაბერ გიორგის ძე თავგორაშვილი — სპეციალური ოპერაციების დაჯგუფება,** სერჟანტი;
126. **ამირან ავთანდილის ძე რაზმაძე — ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი,** სამოქალაქო პირი;
127. **დათა ბესიკის ძე ხურცილავა — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
128. **გოგა ტარიელის ძე ჩითანავა — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
129. **ოთარ ბახვას ძე კიკალეიშვილი — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
130. **შალვა ემზარის ძე გაბუნია — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
131. **გოგა რევაზის ძე ბერაია — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
132. **მიხეილ ბესიკის ძე იოსავა — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
133. **ლევან მძლავრის ძე ჩოჩუა — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
134. **ირაკლი ოთარის ძე მორბედაძე — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
135. **ზაზა სავლეს ძე ბოჩოიძე — ეროვნული გვარდია,** რეზერვისტი;
136. **დავით გუხუტის ძე ბლიაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
137. **ტარიელ მიხეილის ძე ქამაშაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
138. **რეზო გელას ძე მამისაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** ლეიტენანტი;
139. **გიორგი ზაზას ძე წიქარიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
140. **თენგიზ შოთას ძე ჩალალიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
141. **ზაზა თენგიზის ძე გლუნჩაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
142. **ერეკლე მიხეილის ძე ყულოშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
143. **ალექსანდრე დიმიტრის ძე თანდაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
144. **სერგეი კონსტანტინეს ძე გოროზია — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
145. **ლევან ავთანდილის ძე მიდელაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
146. **ზურაბ თემურის ძე ბეგიაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი;
147. **გიორგი ზაურის ძე ანწუხელიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
148. **გიორგი შირინის ძე ქათამაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
149. **სერგო თამაზის ძე მელია — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი ლეიტენანტი;
150. **გელა მიხეილის ძე მებალიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
151. **იოსებ მიხეილის ძე ბეჟუაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
152. **ზურაბ სერგოს ძე ნაჭყებია — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი სერჟანტი;
153. **კახაბერ ირაკლის ძე ხუბულური — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
154. **რომან გრიგორის ძე უგრეხელიძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
155. **ოლეგ სერგოს ძე ჩონიშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
156. **გელა მურაზის ძე რომელაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
157. **ბადრი ოთარის ძე ბერაძე — I ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
158. **გიორგი თეიმურაზის ძე ჯოჯუა — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
159. **გოჩა გურამის ძე დანელია — IV ქვეითი ბრიგადა,** უმცროსი სერჟანტი;
160. **ალექსი გიორგის ძე ნატროშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი ლეიტენანტი;
161. **შმაგი ამირანის ძე ხაიკაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი.

## დაკარგულ სამხედროთა სახელობითი სია

1. **რეზო გოჩას ძე ალავერდაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
2. **ზურაბ გიორგის ძე ტურაშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** სერჟანტი;
3. **შმაგი გუგულის ძე ნოზაძე — IV ქვეითი ბრიგადა,** კაპრალი;
4. **გელა ვაჟას ძე თიბიშვილი — IV ქვეითი ბრიგადა,** უფროსი სერჟანტი;
5. **გიორგი მურაზის ძე რომელაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** ლეიტენანტი;
6. **ზაზა თამაზის ძე ბირთველაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
7. **ოთარ დიმიტრის ძე სუხიტაშვილი — ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი,** კაპრალი;
8. **ვეფხვია გიგუშას ძე ჯიშკარიანი — II ქვეითი ბრიგადა,** კაპიტანი;
9. **პაატა იაშას ძე ქარდავა — ს/დ დეპარტამენტი, I ოპერატიული სამმართველოს თანამშრომელი,** კაპიტანი.

**არ ვიცი, რამდენად შეიძლება „ქართველი" ეწოდოს ვინმე ირინა გაჩეჩილაძეს, რომელმაც ერევნის საოპერო თეატრში მოცარტის „დონ ჟუანი" დადგა და სპექტაკლში დაორსულებული „ქართვლის დედაც" ათამაშა!.. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ სომხებს ძალიან მოეწონათ „დონ ჟუანის" ფინალურ სცენაში „დაორსულებული „ქართვლის დედის" კოსმოსში გატყორცნა!..**



# „კრამიტდაცურებულები" აორსულებენ „ქართვლის დედას"

დიახ, როგორც 3 აგვისტოს 9-საათიანმა „კურიერმა" გვაუწყა, ერევანში წარმატებით ჩაიარა „ქართველი რეჟისორის" - **ირინა გაჩეჩილაძის** მიერ დადგმულმა მოცარტის ოპერა „დონ ჟუანმა"!..

**ამ „უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენის"** ასე საგანგებოდ გაშუქებისას „რუსთავი-2"-მა ისიც აღნიშნა, რომ **რეჟისორმა კლასიკურ გზას თანამედროვე, ალტერნატიული გადაწყვეტა ამჯობინა და თუ ოპერის ფინალურ სცენაში დონ ჟუანს აქამდე კომანდოსის გაცოცხლებული ქანდაკება სჯიდა, ამჯერად დამსჯელის როლში, არც მეტი - არც ნაკლები, „ქართვლის დედა" მოგვევლინა!**

რაც მთავარია, **„ქართვლის დედა" ორსულია - მისი მუცელი შიგნიდან არის განათებული და თვალნათლივ ჩანს ნაყოფი!..**

სპექტაკლი კი იმით მთავრდება, რომ **„ქართვლის დედა" კოსმოსური ხომალდივით აქაგძაგდება, ფეხებიდან ბოლს უშვებს და ცაში აიჭრება!..**

რადგან სპექტაკლში დონ ჟუანის მიერ დაორსულებული ცოცხალი პერსონაჟიც თამაშობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ, **რეჟისორის ჩანაფიქრით, „ქართვლის დედაც" დონ ჟუანმა დააორსულა!..**

როგორც მოგახსენეთ, **სომეხმა მაყურებელმა აღტაცებით მიიღო ასეთი „ორიგინალური" მიგნებით გაფორმებული სპექტაკლი!..**

**„ქართვლის დედა" განაყოფიერდა და კოსმოსშიც გაიტყორცნა!**

ახლა რომ ვთქვა, ეს ირინა გაჩეჩილაძე გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს-მეთქი, აუცილებლად დაიკნავლებენ, **ჩვენ ხომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ეპოქაში!..**

კი, მაგრამ **ყველა ავადმყოფი რატომ მაინცდამაინც ქართველთა ღირსების შეურაცხყოფითა და აქამდე ხელშეუხებელ ქართულ სიმბოლოებზე გავლაგამოვლით ვარჯიშობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში?!**

ასე მოიქცა **ზურაბ ჭიაბერაშვილი,** რომელმაც რამდენიმე წლის წინათ „**ფალოს**ოფიური ესსე" მიუძღვნა „ქართვლის დედას", რომლის ფიალაში საშო დალანდა, მახვილში კი - ფალოსი!

ასევე, **ლაშა ბუღაძეც,** რომელმაც წმინდა თამარ მეფის სექსუალური ცხოვრების აღწერა სცადა და დაწერა „გიორგი რუსი"!..

გვყავს კიდევ ერთი „ფალოსოფოსიც", **ემზარ ჯგერენაია,** რომელმაც ქართული ქეიფი „გეიფს" შეადარა და ქართული სუფრა ლამის პედერასტების ასპარეზად გამოაცხადა!

ხოლო ვაიმწერალი **ზაზა ბურჭულაძე**, გაშიშვლდა, სასირცხვო ადგილზე სახარება აიფარა და ასეთ პოზაში გადაღებული ფოტოები გაავრცელა!..

ავადმყოფია თუ არა ვინმე **ჭაფოძე,** რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ, **„თავისუფლების ინსტიტუტის" დაკვეთით,** საჯაროდ წამოჯდა უნიტაზზე და ბიბლიის ფურცლების ჭამა დაიწყო!

**დეგენერაციის** თვალსაჩინო გამოვლინება იყო ისიც, როცა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გოგო-ბიჭები წრიულად ჩამოსხდნენ და **ერთმანეთის ტელეკამერების წინ აფურთხებდნენ** - ჩათვლას თუ გამოცდას აბარებდნენ!..

ჩააბარეს კიდეც!!!

რაც მთავარია, ეს სპონტანური გამოვლინებები კი არა, **მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია!**

**აბა, ყველას ასე ერთბაშად როგორ დაუცურდა კრამიტი?!**

დიახ, ქართული ეროვნული კულტურის, მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ტრადიციების წინააღმდეგ გლობალური ბრძოლა მიმდინარეობს!

ასეთი დეგენერატები ყოველმხრივ წახალისებულები და გრანტმოსილები არიან! მათ აპიარებენ ტელევიზიები, მედიასაშუალებები!

**რატომ?**

იმიტომ, რომ **როგორც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, საქართველოშიც შექმნან უსამშობლო, უეროვნებო, უტრადიციო, ურწმუნო ერთუჯრედიანთა მასა, რომელსაც გაცილებით ადვილად მართავ, ვიდრე მტკიცე ეროვნულ პოზიციებზე მდგარ, თვითმყოფად და რწმენით აღსავსე პატრიოტებს!**

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის ფაქტი, რომ **ხელოვნებისა და კულტურის ცნობილი, ღვაწლმოსილი მოღვაწეები „ჩარეცხეს",** **წინა პლანზე კი უწიგნურები და უმეცარი „ლიბერასტები" წამოსწიეს!**

**ჩვენში მექავეები „ვარსკვლავებად" იქცნენ!!!**

**დღეს ყველაზე პოპულარები ისინი არიან, ვინც ყველაზე მაღლა აიშვერს ფეხებს და რაც შეიძლება ბევრ საწოლს მოივლის!**

ამიტომაც ვარისხებთ განგაშის ზარებს და სრულიად საქართველოს გასაგონად ვამბობთ:

**ხალხო, საქართველო დაიპყრო უჯიშო, უსამშობლო და ურწმუნო ავაზაკების ხროვამ, რომელიც უცხოელი პატრონების მიერ არის მოვლენილი საქართველოსა და ქართველობის გასანადგურებლად!**

**სანამ ეკლესია-მონასტრებს „მოტელებად" გადაგვიკეთებენ, მანამ მოვეგოთ გონს, თორემ შემდეგ გვიან იქნება!!!**

•

**2009 წლის 7 აგვისტოს** მიხეილ სააკაშვილი მუხათგვერდის საძმო სასაფლაოზე ავიდა.

მას საძმო სასაფლაოზე აღმართულ ობელისკთან დაახვედრეს ქართულ ჩოხა-ახალუხში და ქამარ-ხანჯალში გამოწყობილი ახალგაზრდა მამაკაცები.

**ქართველ ჩოხოსნებს თეთრი ხელთათმანები (!!!) ეკეთათ!..**

ასეა: **ერევანში „ქართველმა" რეჟისორმა „ქართვლის დედა" დააორსულა, თბილისში კი, სამგლოვიარო ცერემონიის ასევე „ქართველმა" რეჟისორმა ქართველ ჩოხოსნებს თეთრი ხელთათმანები (!!!) ჩააცვა!**

**გიორგი გიგაური**

**რატომ ებრძვიან „ვარდოვნები" ასე გაშმაგებით ქართველობისთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ტრადიციებს, ფასეულობებსა და სიმბოლოებს?**

**ამჯერად იმაზე მოგითხრობთ, როგორ აგრძელებენ „ქართვლის დედის" დაკნინებას...**

# „ქართვლის დედა" პროფილში



მართალია, რამდენიმე წელია, თბილისის ქუჩებში აღარ დაიარება მთაწმინდისკენ შიშნარევი მზერით მომზირალი ჭიაბერაშვილი, მაგრამ „ქართვლის დედის" დაკნინება ისევ დღის წესრიგშია!

მკითხველმა რამდენიმე თვის წინათ მიიღო **დედაქალაქის მერიის დახმარებით** ბრწყინვალედ დაბეჭდილი **„თბილისის ენციკლოპედია". მაგრამ,** არის ერთი მაგრამ - **ენციკლოპედიაში „ფალოსოფოსური" ხედვა მაინც იგრძნობა!**

რა თქმა უნდა, ამ ენციკლოპედიის ავტორებმა ვერ გაბედეს და გვერდი ვერ აუარეს თბილისის სიმბოლოს - „ქართვლის დედას" (მისი სურათი მხოლოდ 216 (!) გვერდზე გვხვდება!), მაგრამ „ყოველთა ქართველთა დედა", არც მეტი - არც ნაკლები, **პროფილში გამოსახეს! სურათზე არც ფიალა ჩანს, არც - ხმალი... მოკლედ, მტრის და მოყვარის დასახვედრად აუცილებელი ატრიბუტები ატროფირებულია!..**

მრავლისმეტყველია ისიც, რომ „ქართვლის დედის" სურათით იწყება ენციკლოპედიის ქვეთავი **„სახელშეცვლილი ობიექტები"...** პროფილში მდგარი ქანდაკების შემხედვარი, ალბათ, ჯობდა ამ ქვეთავისთვის **„სახეშეცვლილი ობიექტები"** დაერქმიათ!..

ზოგმა შეიძლება, ცინიკურადაც თქვას, „ქართვლის დედა" მთლად უკანა ხედით ხომ არ გამოუსახავთო!.. მალე ამასაც მოახერხებენ!..

**„ქართვლის დედის" პროფილში გამოსახვა დაახლოებით იგივეა, ებრაელებმა „გოდების კედელი" მწვანედ რომ შეღებონ, ან ფრანგებმა ლუვრში „მონა ლიზა" თავდაყირა დაჰკიდონ!..**

# განგაშის ზარები საქართველოს გაყალბებული ისტორიის სახელმძღვანელოს გამო!

**ხელში ჩამივარდა საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო, რომელიც 2008 წელსაა გამოცემული. რა თქმა უნდა, დამაინტერესა, რას ასწავლიან ჩვენს ყმაწვილებს რეფორმებით გაცისკროვნებული განათლების სამინისტროს მესვეურნი. პირდაპირ ვიტყვი:**

**მტერსა და ავს, რაც ამ სახელმძღვანელოში ვნახე!!!**

**ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოს ავტორები არიან: გიორგი ანჩაბაძე, გელა გამყრელიძე, ზურაბ კიკნაძე, მზია სურგულაძე და დიმიტრი შველიძე.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო ისტორიის სამარცხვინო გაყალბებებისა და სააკაშვილის რეჟიმისათვის დამახასიათებელი ანტიქართული იდეოლოგიის დამკვიდრების უნიჭო მცდელობაა!** ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მომხდარი ისტორიული მოვლენების ამსახველი მასალების გაცნობისას ხდება!

დიახ, საქართველოს ისტორიის მე-9კლასის სახელმძღვანელოში ასახულია ზვიად გამსახურდიას მმართველობაც, ედუარდ შევარდნაძის ზეობის ხანაც და, რაღა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის **„რეფორმატორული გზნებაც“ - 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის ჩათვლით!..**

●

საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოს ავტორები ხაზგასმულად **ვერ იტანენ ზვიად გამსახურდიას** და მიზანმიმართულად, დაუფარავად აკნინებენ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში მის ისტორიულ ღვაწლს!

თავად განსაჯე, ძვირფასო მკითხველო, **ამ სახელმძღვანელოში ერთი სიტყვითაც არ არის ნათქვამი, ვინ იყო ზვიად გამსახურდია და რა ეკლიანი გზა განვლო მან საქართველოს პირველ პრეზიდენტობამდე!**

სახელმძღვანელოში სულ რამდენიმე წინადადებით, მხოლოდ მშრალი ფაქტებია მოყვანილი:

**„1990 წლის 28 ოქტომბერს შემდგარ არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკმა, რომლის ლიდერი ზვიად გამსახურდია იყო“ (გვ. 445)...**

**„1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. 26 მაისს ჩატარებულ პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ“ (გვ. 446)**

**რამდენი პროცენტით გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ და რამდენმა მილიონმა საქართველოს მოქალაქემ მისცა მას ხმა, „ისტორია“ დუმს! რატომ? იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილს არ გასკდომოდა გული!..**

●

გადავიდეთ შემდეგ თავზე, რომელსაც ჰქვია **„საქართველო 1991 წელს“...** ჩვენს ბავშვებს ასწავლიან, რომ:

**„1991 წლის აგვისტოში მოსკოვში მომხდარი კომუნისტური პუტჩისადმი საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრთხილმა დამოკიდებულებამ გააღიზიანა ხელისუფლების ოპოზიცია. 2 სექტემბერს თბილისში კინოს სახლთან შეკრებილი მიტინგის დარბევამ შედეგად მოიტანა პოლიტიკური ძალების მკვეთრი დაპირისპირება. რუსთაველის გამზირი ბარიკადებით გადაიკეტა. თანდათანობით ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა“ (გვ. 447).**

ანუ, **ყველაფერში დამნაშავე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ყოფილა!** ის ხელისუფლება, რომელმაც მოსკოვის პუტჩის დღეებში მთელ მსოფლიოს მიმართა, რომ მხარი დაეჭირათ დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოსთვის, რომელსაც კრემლში მისული რეაქციული ძალები უპირისპირდებოდნენ! **ის, ხელისუფლება, რომელმაც 1991 წლის 2 სექტემბერსვე განაცხადა, რომ ეს დარბევა ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციისთვის მოწყობილი პროვოკაცია იყო!..**

●

ამის შემდეგ სახელმძღვანელოში ვრცლად არის მოთხრობილი, როგორ ითხოვდნენ აფხაზები (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს) დამატებით უფლებებს და ხანდახან - საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფას. ანუ **სკოლის მოსწავლეებისთვის იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზები მუდამ გმინავდნენ „ქართველ იმპერიალისტთა“ უღელქვეშ!..**

სახელმძღვანელოს ავტორები თითქოს აღიარებენ, რომ 1991 წელს ქართველებმა და აფხაზებმა მიაღწიეს შეთანხმებას და დააბალანსეს მმართველობა: აფხაზეთის უზენაეს საბჭოში 65 დეპუტატიდან 28 აფხაზი იყო, 26 - ქართველი, 11 - კი სხვა ეროვნების დეპუტატი; ამასთანავე, ქართველების თანხმობის გარეშე აფხაზური დეპუტაცია ვერცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. თუმცა, იქვე, პარადოქსული რამ წერია:

**„აფხაზი ხალხის ნებისმიერი წარმომადგენლის, მიუხედავად მისი პოლიტიკური ორიენტაციისა, წუხნსა და გულისწყრომას იწვევდა ქართველი პოლიტიკოსებისა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, თითქოს აფხაზები სულ რაღაც 200-300 წლის წინ ჩამოსახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და პირდაპირი კავშირი არ აქვთ ამ ადგილების ძველ მოსახლეობასთან. ეს არასწორი პროპაგანდისტული თეორიაა, რომელსაც ქართული საისტორიო მეცნიერება არ იზიარებდა“ (გვ. 448).**

ეს კიდევ ერთი „მარგალიტია“, რომელიც, ფაქტობრივად, ამართლებს აფხაზთა სეპარატიზმს და მათ ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ! და ამას წერენ არა მოსკოვში დაბეჭდილ აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში, არამედ თბილისში შეთითხნილ, ვაი-ისტორიკოსების მიერ ჩამოქნილ ანტიქართულ წიგნში!

●

**სახელმძღვანელოს ავტორები, პრაქტიკულად, ამართლებენ ეროვნული ხელისუფლების დამხობას,** როდესაც ისტორიის სახელმძღვანელოში მოჰყავთ ასეთი ციტატები:

**„ნაწყვეტი ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენციიდან ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის (1991 წლის 2 თებერვალი): ასეთი სიმრავლე მოღალატეების, ჩვენ რომ გვყავს, მეგობრებო, არც ერთ ერს არ ჰყავს. აი, ამით სარგებლობს კრემლი და მისი პროპაგანდა. ეს აგენტურა თავისით დაირაზმა. რადიო „თავისუფლებას“ ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია...“ (გვ. 448).**

და იქვე, კითხვა მოსწავლეებისთვის: **„იმსჯელე, მისაღებია თუ არა ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება პოლიტიკური ოპოზიციისა და საზოგადოებისადმი?“**

რა უნდა თქვას მოწაფემ, რომელსაც წინ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ ამ ციტატას დაუდებ?

ახლა კიდევ ერთი ციტატა ვნახოთ! ის მოტანილია ქვეთავში - **„განხეთქილება ხელისუფლებაში და სამოქალაქო დაპირისპირება“:**

**„გიორგი ხოშტარია (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 1991 წლის 19 აგვისტომდე): დღევანდელი ზვიად გამსახურდიას გვერდით მუშაობა ვერ წარმომიდგენია. პირადული ამბიციები რომ არა, ჩვენ უფრო ძლიერნი ვიქნებოდით, ჩვენი რიგები უფრო გაიზრდებოდა... დიქტატურამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი დარჩა. ცოტაც და ყველაფერს წერტილი დაესმება. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.“ (გვ. 449).**

იქვე ხაზგასმით მითითებულია **შენიშვნა:**

**„1991 წლის 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ თანამდებობებიდან გადააყენა პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ეროვნული გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია პრეზიდენტის ღალატის ბრალდებით“.**

ჯერ ერთი, 19 აგვისტოს მხოლოდ კიტოვანი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, სიგუა და ხოშტარია მანამდე დაითხოვეს. მეორეც, **„პრეზიდენტის ღალატის“** აბსურდული ბრალდებით ზვიად გამსახურდიას აღიარებული აგენტებიც კი არ გაუთავისუფლებია თანამდებობებიდან...

ამ ყველაფერს კი აგვირგვინებს ვრცელი ციტატები უცხოური პრესიდან, რომელიც მიზანმიმართულად ამტკიცებდა ზვიად გამსახურდიას დიქტატორობას, მის არადემოკრატიულობას და ყოველივე იმას, რაც გამომდინარეობდა ჯორჯ ბუშის ცნობილი გამონათქვამიდან - **„ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“.**

ზვიად გამსახურდიას მთავარ ბრალდებად წაყენებული აქვს ამერიკულ ჟურნალ **„ნიუსუიკში“** (1991 წლის 23 სექტემბერი) გამოქვეყნებული ციტატა, რომელშიც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ამბობს: **„ვაშინგტონი ცდილობს, ხელი შეუწყოს მოსკოვს იმით, რომ უარს ამბობს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე“.**

ამის შემდეგ კი ვაი-ისტორიკოსები მოსწავლეს ეკითხებიან:

**„ჩამოაყალიბე ძირითადი პუნქტების სახით, უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, რა იყო მიუღებელი დასავლეთის სამყაროსთვის იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკაში?“**

ანუ, **მოსწავლემ უნდა იხელმძღვანელოს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ამხედრებულ-დარაზმული უცხოური გამოცემების ნაცოდვილარით და დაასკვნას, რადგან ეს ზვიად გამსახურდია მიუღებელი იყო „დასავლეთის სამყაროსთვის“, მართებულადაც დაუმხიათო!..**

ანუ, **რადგან ისტორიის სახელმძღვანელოში არ ჩანს, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობა ისტორიული დანაშაული იყო, ქართველმა მოსწავლეებმა უნდა დაასკვნან, რომ ზვიად გამსახურდია „დიქტატორი“ იყო და მართებულადაც დაამხეს „თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთგულმა ძალებმა“!**

საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის გაყალბებული აღწერის შემდეგ სახელმძღვანელოს ავტორები ახლა 1992-2003 წლების ისტორიას მისდგნენ!

**გიორგი ანჩაბაძე, გელა გამყრელიძე, ზურაბ კიკნაძე, მზია სურგულაძე და დიმიტრი შველიძე, რომლებმაც, პრაქტიკულად, გაამართლეს 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება და სისხლიანი პუტჩი, იძულებულები არიან, დაიცვან დამკვეთების მიერ დადგენილი გენერალური ხაზი და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან შედარებით, ედუარდ შევარდნაძის „მეორედ მოსვლა“ საქართველოში, ლამის ისტორიულ წარმატებად შერაცხონ.**

სახელმძღვანელოს თავი - **„საქართველო 1992-2003 წლებში“** - პირდაპირ ასე იწყება:

**„არსებული სამოქალაქო დაპირისპირებიდან და საგარეო იზოლაციიდან ქვეყნის გამოყვანის მიზნით საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილის ინიციატივით სამხედრო საბჭომ საქართველოში მოიწვია ედუარდ შევარდნაძე“...** (გვ. 453).

თითქოს, ნეიტრალური წინადადებაა, მაგრამ იმის აღნიშვნა, რომ ედუარდ შევარდნაძე სამოქალაქო დაპირისპირების დასასრულებლად და საგარეო იზოლაციიდან საქართველოს გამოსაყვანად **მიზნით** მოიწვიეს საქართველოში, აშკარად ავლენს სახელმძღვანელოს ავტორთა სუბიექტურ დამოკიდებულებას.

**საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება რომ ედუარდ შევარდნაძის მორიგი გახელმწიფებისთვის დაიწყო, ამას, რა თქმა უნდა, არ აღნიშნავენ და იმ „გენერალურ ხაზს“ იცავენ, რომლის მიხედვითაც, გამსახურდიას შემდეგ შევარდნაძის გახელისუფლება ნამდვილად ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა წარმოჩენილიყო!**

თუ **ზვიად გამსახურდიას** „ავკაცობის დასამტკიცებლად“ ვაი-ისტორიკოსებმა სახელმძღვანელოში უხვად მიმოაბნიეს ეროვნული ხელისუფლებისადმი დასავლური პრესის კრიტიკული გამონათქვამები, ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაში, ალტაცებას ვერ მალავენ მისი „მედასავლეთეობით“:

**„...დასავლეთის ქვეყნებში შევარდნაძეს კარგად იცნობდნენ, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრსა და გამოცდილ პოლიტიკოსს, ამიტომ საქართველოში მისი დაბრუნება და გარდამავალი პერიოდის დროებითი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოს - სახელმწიფო საბჭოს - სათავეში ჩადგომა მსოფლიოსთვის გახდა სიგნალი, იურიდიულად ეცნოთ ქვეყნის დამოუკიდებლობა. უკვე 1992 წლის 23 მარტს მისი დამოუკიდებლობა ცნეს ევროკავშირის ქვეყნებმა, იმავე წლის 31 ივლისს კი საქართველო მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მის 179-ე სრულუფლებიან წევრად. ამრიგად, საქართველო, 70-წლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ ჩადგა თავისუფალ სახელმწიფოთა რიგებში. აღსრულდა ის, რისთვისაც ოცნებობდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები XIX და XX საუკუნეებში“** (გვ. 453).

გულის ამაჩუყებლად ამაღლებულია, არა?!

**მოვიდა შევარდნაძე და იქმნა ნათელი!**

„ორგანოს სათავეში“ შევარდნაძის ჩადგომა მსოფლიოსთვის არ გამხდარა საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობის სიგნალი!

**1991 წლის 22 დეკემბრიდან - ანუ სისხლიანი პუტჩის დაწყებიდან - 1992 წლის 6 იანვრამდე - ანუ ზვიად გამსახურდიას განდევნის დღემდე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ოცდაათზე მეტმა სახელმწიფომ ცნო!**

მაგალითად, **შეერთებულმა შტატებმა** საქართველოს დამოუკიდებლობა **1991 წლის 26 დეკემბერს** აღიარა - **მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა!**

რაც შეეხება საქართველოს გაერო-ში გაწევრიანებას, ამ დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ **საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე გახდა!**

**ისტორიკოსები, რომლებიც 1992 წლის საქართველოზე ბავშვებს ასწავლიან „ამრიგად, საქართველო, 70-წლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ ჩადგა თავისუფალ სახელმწიფოთა რიგებში“-ო, როგორი ფალსიფიკატორები კი არა, უსინდისო და შეგნებულად ლმობიერი ვეტილი არსებები არიან!**




საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში „თავისუფალ სახელმწიფოთა რიგებში“ ჩამდგარ საქართველოზე თხრობისას თქვენ ერთ სიტყვასაც ვერ ნახავთ **ჯაბა იოსელიანზე, „მხედრიონზე“, საპროტესტო აქციების დემონსტრაციულ დახვრეტაზე, სამეგრელოსა და დასავლეთ საქართველოს მრავალგზის დარბევა-მოთარეშებასა და ყველა იმ უბედურებაზე, რაც ჩვენს ქვეყანას დღემდე შეუხორცებელ, სისხლმდინარე ჭრილობად ატყვია!**

სამაგიეროდ, სახელმძღვანელოს ავტორები ვრცლად საუბრობენ ედუარდ შევარდნაძის „ყველაზე დიდ შეცდომაზე“ - აფხაზეთში ომის დაწყებაზე. **თუ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა და დასავლეთის მიერ საქართველოს ცნობა სულ 7 წინადადებაში ჩაეტია, სამაგიეროდ, აფხაზეთის ომს სახელმძღვანელოს 4 გვერდი დაეთმო!**

გათვლა მარტივია: შევარდნაძე გამსახურდიაზე უკეთესად კი უნდა წარმოჩინდეს, მაგრამ არც ისე, რომ მოსწავლეებს ეჭვი შეეპაროთ „ვარდების რევოლუციით“ მისი რეჟიმის დამხობის მართებულობაში!

●

**„აფხაზეთის საკითხი“ სახელმძღვანელოში ისეა წარმოჩენილი, რომ შეიძლება, სეპარატისტების მიერ დაბეჭდილ ნაცოდვილარშიც აბერიოს!**

ერთია, რომ ეს ყოველივე სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედი სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის - **გიორგი ანჩაბაძის** შემოქმედებაა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ **„ვარდების ხელისუფლებაში“ მოკალათებულთა დაკვეთა რომ არა, გიორგი ანჩაბაძე (და მისი ისტორიკოსი თანამზრახველები) საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში სეპარატისტულ იდეებს ასე თამამად ვერ დაამკვიდრებდნენ!**

მაგალითად, ქვეთავი - **„სამთავრობო ჯარების შეყვანა აფხაზეთში“** - პირდაპირ სეპარატისტთა გამართლებით იწყება:

**„გამსახურდიას დამხობის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ არ მიიღო აფხაზთა წინადადება საქართველოს ფედერალიზაციის შესახებ, სადაც აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტის სახით იქნებოდა წარმოდგენილი“...** (გვ. 453).

სად არის დოკუმენტალური დადასტურება იმისა, რომ აფხაზი სეპარატისტები სახელმწიფო საბჭოს რაღაც ფედერაციის სუბიექტობას სთხოვდნენ?! ანდა, რა დოკუმენტი იყო საჭირო, როდესაც თბილისსა და სოხუმს შორის ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას გაფორმდა შეთანხმება, რომელიც შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოს არ უარუყვია და რომელიც ზედმიწევნით მიესადაგებოდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნორმალურ, დაბალანსებულ მმართველობას...

რა თქმა უნდა, **1992 წლის 14 აგვისტოს ომის დაწყება უდიდესი ისტორიული შეცდომა იყო, მაგრამ ქართულ სახელმძღვანელოში ისიც აუცილებლად უნდა ეწეროს, როგორ იღვწოდა ამ ომის პროვოცირებისთვის კრემლის მიერ დაგეშილი არძინბა!**

კიდევ ერთი „მარგალიტი“, რომელიც თამამად შეიძლება გადააქსეროქსონ სეპარატისტმა ისტორიკოსებმა საკუთარ სახელმძღვანელოებში:

**„მცირერიცხოვან აფხაზებს (1989 წლის აღწერით, საქართველოში 96 ათასი ეთნიკური აფხაზი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში - 94 ათასი ცხოვრობდა) მნიშვნელოვანი მორალური და პრაქტიკული მხარდაჭერა აღმოუჩინეს ჩრდილო კავკასიის ეთნიკურად და კულტურულად მონათესავე ხალხებმა (ყაბარდოელებმა, ადიღეელებმა, ჩერქეზებმა, ჩეჩნებმა, აბაზებმა და სხვ.) და ახლო აღმოსავლეთის აფხაზურ-ჩერქეზულმა დიასპორამ... ამის გარდა, აფხაზთა მხარეზე იბრძოდა ბევრი სლავური ეროვნების პირი, განსაკუთრებით კაზაკთა გასამხედროებელი ორგანიზაციებიდან. ამ არაერთგვაროვან ძალებს სხვადასხვა მოტივი ამოძრავებდათ ქართულ-აფხაზურ ომში, მაგრამ, მთლიანობაში, მათი მონაწილეობის ფაქტორმა გამარჯვების სასწორი აფხაზთა მხარეს გადახარა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებთან ბრძოლაში მთავარი ტვირთი მაინც ეთნიკურ აფხაზებს დააწვათ. აფხაზური ფორმირებები იყო ქართველთა მოპირისპირე ძალების ძირითადი ბირთვი“** (გვ. 454).

ანუ, **ქართული სახელმძღვანელოს ავტორები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის ომის შედეგი აფხაზთა გმირულმა შემართებამ განაპირობა!**

რუსეთი?!

**ნიშანდობლივია, რომ ქართულ სახელმძღვანელოში არცერთი სიტყვით არ არის ხაზგასმული აფხაზეთის ომის დაწყებასა და მასში ჩვენს სასტიკ დამარცხებაში რუსეთის როლი!**

**აბა, სხვანაირად როგორ გაესმებოდა ხაზი აფხაზთა გმირულ ბრძოლას „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის“?!** სამაგიეროდ, აფხაზეთის ომში დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია **ზვიად გამსახურდია:**

**„ჩეჩნეთში მყოფმა გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა არ ცნეს ოქტომბრის არჩევნების კანონიერება. სამეგრელოს რეგიონში კვლავ დაუფარავად მოქმედებდნენ ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები. ასეთ პირობებში საქართველოს გაუჭირდა ბრძოლის წარმოება აფხაზეთში, მითუმეტეს, რომ ქართული საზოგადოებისათვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა ამ ომის ხასიათი და მთავარი მოწინააღმდეგე...“** (გვ. 455).

გარდა ამისა, თურმე, სოხუმის შტურმი კრემლში კი არ დაგეგმილა, არამედ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების ქართული მხარის მიერ დარღვევას გამოუწვევია:

**„ქართული მხარე შეუდგა სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გაყვანას, რომელშიც მანამდე გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ცოცხალი ძალის გაყვანის საქმე შეფერხდა, ვინაიდან ამ დროისთვის აფხაზეთში მყოფი ქართული საჯარო დაჯგუფება უკვე მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შედგებოდა და მათი რეგიონიდან გაყვანა ან განიარაღება, ცხადია, იოლი საქმე არ იყო. აფხაზებმა ეს შეთანხმების დარღვევად მიიჩნიეს და 16 სექტემბერს მოულოდნელად განაახლეს სოხუმზე შეტევა“** (გვ. 455).

თურმე, ამ ვითარებაში, გამსახურდია სამშობლოში აფხაზეთის გადასარჩენად კი არა, ხელისუფლების დასაბრუნებლად ჩამოსულა:

**„ამ ვითარებაში ზვიად გამსახურდია შეეცადა, დაებრუნებინა ხელისუფლება. სექტემბერში იგი სამშობლოში ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა თავის მომხრეთა შეიარაღებულ ფორმირებებს. ექსპრეზიდენტმა სცადა, სამეგრელოდან ლაშქრობა წამოეწყო თბილისზე, მაგრამ დამარცხდა და გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში“** (გვ. 457).

**სად არის შევარდნაძის მიერ გამსახურდიასთან საბრძოლველად გამოძახებული ადმირალ ბალტინის ესკადრა?**

●

საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოს ავტორები გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან „ვარდების რევოლუციისა“ და საქართველოში მიხეილ სააკაშვილის გახელისუფლებისადმი!

რადგან მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ უთქვამს, საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორია „ვარდების რევოლუციით“ იწყებაო, აბა, რომელი **„კარის ისტორიკოსი“** გაბედავდა, შესაბამისი პატივი არ მიეგო ასეთი „ისტორიული მოვლენისადმი“?!

მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს შესაბამის თავს პირდაპირ ასე ჰქვია: **„საქართველოს დასავლური არჩევანი“!**

**თითქოს, შევარდნაძის დროს საქართველოს განსხვავებული არჩევანი ჰქონდა!..**

სახელმძღვანელოს ავტორები დაწვრილებით აღწერენ, რატომ მოხდა საქართველოში 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“.

თანმიმდევრულობა პირველივე ქვეთავის სათაურშივე ჩანს - **„შიდაპოლიტიკური კრიზისი საქართველოში“:**

**„ედუარდ შევარდნაძის უდავო დამსახურებაა სიტყვის თავისუფლება, რომელიც საქართველოში სუფევდა მისი პრეზიდენტობის წლებში. მრავალრიცხოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ განიხილავდნენ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას და მათი კრიტიკის სიმძაფრე ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის მიმართ ხშირად სცილდებოდა კორექტულობის საზღვრებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თავისუფლებაც კი უკვე ასოცირდებოდა იმ ტოტალურ თაღლითობასა და დაუსჯელობასთან, რომელიც ქვეყანაში სუფევდა...“** (გვ. 463).

თურმე, **შევარდნაძის დემოკრატიულობაც დანაშაული ყოფილა!**

თურმე, შევარდნაძის მმართველობის დროინდელი სიტყვის თავისუფლებაც კი მისი რეჟიმის თავაშვებულობასა და დაუსჯელობასთან ასოცირდებოდა!

აი, თურმე, **რატომ ყოფილა აუცილებელი „ვარდების რევოლუციის“ მოწყობა!**

მეორე ქვეთავში, რომელსაც ჰქვია - **„განხეთქილება სახელისუფლებო გუნდში“** - უკვე, **დრამატურგიის კანონების თანახმად,** ავანსცენაზე გამოდიან **გმირები,** რომლებიც არ ეგუებიან შევარდნაძის თავაშვებულ რეჟიმს და იწყებენ ბრძოლას „ქვეყნის გათავისუფლებისთვის“!

**ნახეთ, როგორ თეთრ ცხენზე ამხედრებულ შუქმოსილ რაინდად ხატავენ ვაი-ისტორიკოსები (ამ სახელმძღვანელოს დაწერისას უკვე პრეზიდენტ) სააკაშვილს:**

**„ამ პერიოდში უკვე აშკარად გამოიკვეთა განხეთქილება პრეზიდენტსა და „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდა „მედასავლეთეებს“ შორის. სპიკერის პოსტი დატოვა ზურაბ ჟვანიამ. ოპოზიციის ამ ახალი ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო იურისტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პარლამენტში ყურადღება მიიქცია კრიტიკული გამოსვლებით მაღალჩინოსანი კორუმპირებული მოხელეების წინააღმდეგ. სააკაშვილის სახელს უკავშირდება აგრეთვე სასამართლო სისტემის რეფორმირება საქართველოში. 2002 წელს სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა...“**

მოკლედ, **რაღა მიხეილ სააკაშვილი და რაღა თომას ჯეფერსონი!**

**როგორ შეიძლება, 2008 წელს ჭკუათმყოფელმა ისტორიკოსმა სააკაშვილს დააბრალოს, მის სახელს უკავშირდება საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმირებაო?!**

ასეა თუ ისე, ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორები ბავშვებს ასწავლიან, რომ **2003 წლის 2 ნოემბრის** საპარლამენტო არჩევნებისას ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ **„კეთილი სააკაშვილი“** და **„ბოროტი შევარდნაძე“:**

**„შევარდნაძემ, რომელსაც პრაქტიკულად, დაეშალა საყრდენი პოლიტიკური ორგანიზაცია - „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც ყველაზე ძლიერმა პოლიტიკურმა ფიგურებმა** *(ანუ სააკაშვილმა და ჟვანიამ!)* **დატოვეს, ჩამოაყალიბა საარჩევნო გაერთიანება „ახალი საქართველოსთვის“. ეს სახელისუფლებო ბლოკი, როგორც მას უწოდებდნენ, განსაკუთრებული ეკლექტიზმით გამოირჩეოდა. მასში შემავალ არაერთგვაროვან ძალებს, ფაქტობრივად, აერთიანებდათ მხოლოდ საპრეზიდენტო „ქოლგის“ ქვეშ პარლამენტში მოხვედრის სურვილი...“** (გვ. 463).

როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს ავტორებს დღემდე ჰგონიათ, რომ სააკაშვილსა და მის მომხრეებს **მხოლოდ** პარლამენტში მოხვედრა კი არა, ქვეყნის გადარჩენის მწველი სურვილი ამოძრავებდათ!..

მოკლედ, ისტორიის სახელმძღვანელოში (ქვეთავში - **„ვარდების რევოლუცია“**) პირდაპირ წერია, რომ **2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა და სააკაშვილის „ნაცმო“-მ და ჟვანიას „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ არ ცნეს არჩევნების ოფიციალური შედეგები!**

**2003 წლის 22 ნოემბერის „ისტორიული დღე“** კი ასეა აღწერილი:

**„22 ნოემბერს შევარდნაძე შეეცადა, გაეხსნა ცესკოს მონაცემების მიხედვით შედგენილი პარლამენტის პირველი სხდომა, მაგრამ დარბაზში მოულოდნელად სააკაშვილი და მისი მომხრეები შეიჭრნენ და პრეზიდენტს ამის საშუალება არ მისცეს. აღსანიშნავია, რომ სხდომათა დარბაზში შესულ სააკაშვილს მშვიდობიანობის ნიშნად ხელში ვარდი ეკავა, რის გამოც ნოემბრის მოვლენები საქართველოში „ვარდების რევოლუციად“ მოინათლა. ეს იყო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი, უსისხლო გადატრიალება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ათეულობით ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა... მეორე დღეს, 23 ნოემბერს, შევარდნაძეს, ფაქტობრივად, მთელმა მსოფლიომ ზურგი შეაქცია... შევარდნაძე იძულებული გახდა, გაეკეთებინა განცხადება პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ“** (გვ. 464).

აი, ასე ასწავლიან საქართველოს უახლეს ისტორიას ჩვენს მოსწავლეებს! ის კი არა, სახელმძღვანელოში თვალსაჩინოებად მოყვანილია სურათი, რომელზეც მომიტინგეთა თავზე აღმართული ვარდია გამოსახული. სურათს ასეთი წარწერა აქვს:

**„ვარდების რევოლუციის“ სიმბოლო, წითელი ვარდი, რომლითაც შევიდა საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის სხდომაზე რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი 2003 წლის 22 ნოემბერს და მოითხოვა პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა“**

არადა, ეს სურათი აშკარად კანცელარიის წინ, ერთ-ერთ მიტინგზეა გადაღებული და იქ სააკაშვილის ჭაჭანებაც არ არის!

**ალბათ, დაახლოებით ასეთი სიყალბით იწერებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და კრეისერ „ავრორას“ ლეგენდარული „გასროლის“ ისტორიაც...**

●

შემდეგი ქვეთავი - **„საქართველო და დასავლური სამყარო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ“** - პირდაპირ იმით იწყება, რომ **„დასავლეთი დაუფარავად მიესალმა 23 ნოემბრის რევოლუციას, რადგან ახალი ხელისუფლება დაადგა მკაფიოდ გამოხატულ დასავლურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს“** (გვ. 466).

ვაი-ისტორიკოსები საქართველოს დასავლური კურსისადმი ერთგულების წარმოსაჩენად განსაკუთრებული თრთოლვით აშუქებენ **ჯორჯ ბუშის 2005 წლის 9-10 მაისის** ვიზიტს საქართველოში.

მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში ჯერ მოყვანილია ნაწყვეტი ჯორჯ ბუშის გამოსვლიდან, შემდეგ კი მასზე მიბმულია ნაწყვეტი მიხეილ სააკაშვილის სიტყვიდან. **ასე მოხვდა ისტორიის სახელმძღვანელოში სააკაშვილის დაუფარავი მლიქვნელობა ოკეანისგაღმელი პატრონისადმი:**

**„ბატონო პრეზიდენტო, გასულ ზამთარს (ეს იყო პირველი ზამთარი ჩვენი დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ) მე მქონდა შესაძლებლობა, მესმინა თქვენი მეორე საინაუგურაციო გამოსვლისთვის. მე მახსოვს თქვენი სიტყვები: „ყველამ, ვინც ტირანიასა და უიმედობაში ცხოვრობს, უნდა იცოდეს - ამერიკის შეერთებული შტატები არ დახუჭავს თვალს თქვენს შევიწროებაზე და არ აპატიებს მათ, ვინც გჩაგრავთ. როდესაც თქვენ თავისუფლებისთვის აღდგებით, ჩვენ თქვენ გვერდით დავდგებით“. იმ საღამოს მე მეგონა, რომ პირადად მე მომმართავდით და თქვენ ასევე მიმართავდით ქართველ ხალხს... თქვენ სიტყვა შეასრულეთ. ამერიკა რევოლუციის დროს ჩვენს გვერდით იდგა და დღეს თქვენ აქ ჩვენს გვერდით დგახართ. მინდა თავისუფლების მოედანზე მთელი ერის სახელით მივესალმო მსოფლიო ლიდერს, რომელსაც, როგორც არავის, უდიდესი წვლილი მიუძღვის თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში. მივესალმო მას, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის ნამდვილ მეგობარს, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლს“**

**როგორ უმეგობრა და უგულშემატკივრა ჯორჯ ბუშმა თავისუფლებას, დემოკრატიასა და ქართველ ხალხს, ქართველობას გვეღის ნაბენივით ახსოვდა 2007 წლის 7 ნოემბერს, 2008 წლის 5 იანვარს, 2008 წლის 21 მაისსა თუ 2008 წლის აგვისტოს ომისას!**

●

სახელმძღვანელოში **2007 წლის 7 ნოემბრის** მოვლენებიც არის ასახული, ოღონდ ამას ნეიტრალურად **„პოლიტიკურ კრიზისი“** ჰქვია. განსაკუთრებით სახალისოა **(სატირალი რომ არ იყოს!)** 7 ნოემბრის ორი ფოტო: ერთზე გამოსახულია, როგორ არბევენ ყვითელლაბადიანი პოლიციელები მშვიდობიან მომიტინგეებს (წარწერით: **„შეხლა-შემოხლა მომიტინგეებსა და პოლიციის ქვედანაყოფებს შორის 2007 წლის 7 ნოემბერს“**), მეორეზე კი: როგორ ესვრის მომიტინგე ცრემლსადენი გაზის ყუმბარას პოლიციელებს (წარწერით: **„მომიტინგე ცრემლსადენი გაზის ყუმბარას ესვრის პოლიციელებს“**).

**ერთი სიტყვა არ არის „იმედის“ დარბევაზე, ნიღბიანების თარეშზე რუსთაველის გამზირზე, „სახელმწიფო გადატრიალების რუსულ გეგმაზე“...**

ეს ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ, თურმე, მიხეილ სააკაშვილს გაუმარჯვია 2008 წლის 5 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში:

**„ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა, რაც შეეხება რეფერენდუმზე გამოტანილ ორ კითხვას, ამომრჩეველთა 69,8%-მა მხარი დაუჭირა საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას, ხოლო 72,5% მომხრეა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისა“**

სახელმძღვანელოს ავტორებმა იმის აღნიშვნაც კი ვერ გაბედეს, რომ მიხეილ სააკაშვილს 53%-მა „დაუჭირა მხარი“ და სულ 3 პროცენტით გაიმარჯვა“ პირველ ტურში. **და ეს მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების ოპოზიციისეულ მოთხოვნას 69,8 პროცენტი მიემხრო!**

აი, ეს არის **გიორგი ანჩაბაძის, გელა გამყრელიძისა, ზურაბ კიკნაძის, მზია სურგულაძისა და დიმიტრი შველიძის „ისტორიული შემოქმედება“!**

ამიტომაც ვამბობთ: **სასწრაფოდ ამოიღეთ სკოლებიდან საქართველოს გაყალბებული ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო!**

**გიორგი გიგაური**

**„სანამ ერი მუზეუმიდან ანჩისხატს არ დაიბრუნებს, აწყურის ღმრთისმშობლის ხატი არ გამოჩნდება და ივერიის ღმრთისმშობლის ხატი არ ჩამობრძანდება, როგორც გაბრწყინდება საქართველო“! - ეს სიტყვები მამა გაბრიელს ეკუთვნის. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ, მისმა საეპისკოპოსომ, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და უამრავმა სამღვდელო პირმა 1995 წლიდან მოყოლებული არაერთხელ მიითხოვა კომუნისტების დროს მითვისებული და ამჟამად მუზეუმში დატყვევებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის - ანჩისხატის თავის კანონიერ საბრძანებელში, ეკლესიაში დაბრძანება და სიწმინდეებისთვის შესაფერისი პატივის მიგება, მაგრამ არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებამ ეკლესიის თხოვნა ყურად არ იღო. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ტაძარში დაბრუნებისათვის აქტიურად იბრძვის ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვარი მამა რევაზი (ტომარაძე). ჩვენც, პირველ რიგში, ხატის ტაძარში დაბრუნების თემაზე სასაუბროდ სწორედ მას ვეწვიეთ. აღმოჩნდა, რომ მამა რევაზი ამ ბრძოლას ჩამოშორდა. მიზეზებს კი ასე ხსნის:**

- ტაძარში ხშირად იკარგება ხატები, ამიტომ მე არავითარი გარანტია არ მაქვს, რომ ისეთი დიდი სიწმინდე, როგორიც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატია, არ დაიკარგება. ტაძარში არ არის მისი შენახვისთვის საჭირო პირობები და თანაც, დღეს ანჩისხატის ტაძარში დაბრუნებისათვის ბრძოლა [illegible] ანჩისხატიც. როგორც ჩანს, ჯერ არ დამდგარა ჟამი იმისა, რომ ანჩისხატი ტაძარს დაუბრუნდეს. ყველაფერს თავისი დრო აქვს და [illegible], როცა ღმერთი ინებებს.

*უკვე მეათე თვეა, ეროვნული მუზეუმის წინ ანჩისხატის მომლოცველთა მრავალი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის და სხვა სიწმინდეების ტაძარში დაბრუნებას ითხოვს და ყოველ საღამოს 7 საათზე პარაკლისს აღავლენს. **მომლოცველთა ჯგუფის ხელმძღვანელი ზაზა ნანობაშვილი** საეკლესიო მუზეუმის აგებაზე საუბარს სიცრუესა და დროის გაყვანის პოლიტიკას უწოდებს და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომლის წინაშეც ეროვნულ მუზეუმში შენახული სიწმინდეები* დგანან.

**ზაზა ნანობაშვილი:** - ყველამ იცით, როგორ აღმოჩნდა ეს სიწმინდეები მუზეუმში გამოფენილი. 1923 წლის 23 დეკემბრის გამოცემული კანონი, რომლის თანახმადაც, [illegible] საეკლესიო [illegible] სიო განსაკუთრებული ფასეულობის სიწმინდეები, რომლებსაც ეკლესიური დანიშნულება ჰქონდა, მუზეუმებს გადაეცა, ხოლო საეკლესიო პირები შეუშვეს.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, 1923 წელს გამოცემული კანონის მიხედვით, დღესაც ბევრი საეკლესიო და ხალხისთვის უმნიშვნელოვანესი სიწმინდე კვლავ მუზეუმებშია ჩაკეტილი. მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში ვიცით, რა არის და როგორც არის, მაგრამ ქვემოთ, სარდაფებში, [illegible] სიწმინდეები [illegible]. პატრიარქმა ბრძანა, ამდენი წელია პატრიარქი ვარ და არ ვიცი, მუზეუმში რა სიწმინდეები ინახება. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ის ხატების მიმართ [illegible] სიწმინდეების [illegible]? [illegible] პროკურატურაში არსებობს საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც დაკარგული საგანძურის საქმეს სწავლობს. [illegible] ისეთი სიწმინდე არის, რომ „მხედრიონის“ დროსაც კი არ შემოსულა [illegible] ეს საგანძური მერე დაიკარგა! [illegible]

ბავშვები ხშირად [illegible] თუ ისიც [illegible]?

[illegible]

- **კრიძი, რა არის დაკარგული?**

- [illegible] 127 ექსპონატი [illegible] ამბობს, რომ, თურმე, ეკლესია ხატებს ვერ დაიცავს. ამ ხნის მანძილზე ეკლესიიდან არცერთი სიწმინდე არ დაკარგულა.

- **მამა რევაზი ამბობს, რომ ანჩისხატი ტაძარში დაბრუნების მოთხოვნა არის ღია კარის მტრევა, ვინაიდან უკვე გადაწყვეტილია, რომ აშენდება საეკლესიო მუზეუმი, სადაც დაბრძანდება ხატი.**

- მე ვკითხე მამა რევაზს, თუ ყოფილხარ სამებაში და თუ გინახავს, სად უნდა იყოს მუზეუმი-მეთქი. მან მითხრა, არაო. ამასთან, მე თქვენ განახებთ მამა რევაზის რამდენიმე წლის წინანდელ სტატიას, სადაც ამბობს, რომ აშენდება მუზეუმი და იქ დაბრძანდება ხატი. **მაშინაც ამბობდა, რომ ორ წელში აშენდებოდა მუზეუმი, მაგრამ რამდენი ორი წელი გავიდა მას შემდეგ. ასეთი არგუმენტები არის დროის გაყვანის პოლიტიკა.** ანჩისხატის ტაძრის ყველა წინამძღვარი ერთად და საქართველოს ყველა პატრიარქი რომ წამოაყენო, ყველა იტყოდა, რომ ეს ხატი ერის კეთილდღეობისთვის უნდა დაბრუნდეს ტაძარში და თუ ჩვენ ეს არ გვინდა, აბა, როგორ ვართ იმათი მემკვიდრეები? **როგორ უნდა თქვას ქართველმა კაცმა, რომ ანჩისხატი ტაძარში არ უნდა დაბრუნდეს?**

ამისწინათ ტელევიზიით გამოვიდა მამა რევაზი და ჩვენ აღელვებული ჯგუფი გვიწოდა. სამწუხაროდ, **ჟურნალისტმა არ ჰკითხა მას, როგორ შეიძლება, არ ვიყო აღელვებული, როცა 127 ექსპონატი დაიკარგა?**

- **პატრიარქი რა პოზიციაზეა?**

- პატრიარქი სიწმინდეების ტაძარში დაბრუნებას მომხრე რომ არ იყოს, არ გაუგზავნიდა ამდენ მიმართვას მთავრობას, არ მოვიდოდა აქ და არ აკურთხებდა ამ ბრძოლას. განცხადება იმისა, რომ ხატი უნდა იყოს მუზეუმში, რადგან ეკლესია მას ვერ დაიცავს, არის ყველა იმ პატრიარქის შეურაცხყოფა, ყველა იმ მოძღვრის შეურაცხყოფა, რომელიც ანჩისხატის წინ ლოცულობდა.

რას ჰქვია, ვერ დაიცავს?

მე-18, მე-19 საუკუნეში ვიცავდით ანჩისხატს და 21-ე საუკუნეში ვერ დავიცავთ [illegible]? ან იმიტომ [illegible] ტერიტორიიდან [illegible]?

[illegible] ხატს შეიძლება იმიტომ არ აბრუნებენ, რომ მისი საზღვარგარეთ გაყიდვა უნდათ?**

- მე ვიცი ერთი რამ: **1999 წელს გადმოირიცხა 800 000 დოლარი საქართველოდან საგანძურის და ეროვნული სიწმინდეების გასატანად, მაშინ გურამმა ვერ წაიღო და ვიღაცამ უნდა გაიტანოს აქედან.** სხვა არანაირი მიზეზი არ არსებობს. სახატის გაკეთება არ არის მიზეზი. **მთელი მზაკვრული მანქანები აღძრულია იმისათვის, რომ ანჩისხატი არ დაუბრუნდეს ტაძარს.** მე მგონი, ეს გეგმა საქართველოს ფარგლებსაც სცდება. წაიკითხეთ, რამდენი წყევლა-შეჩვენება უწერია რუის-ურბნისის და შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებას, თუკი ხატი სხვა რამედ არის გამოყენებული! ჯერ ამ წყევლიდან გათავისუფლება რად ღირს! **ანჩისხატი რომ დაბრძანდება ტაძარში, რამდენი მადლი გადმოვა მრევლზე, რამდენი მივა, პატივს მიაგებს და რამდენი მოინათლება.**

ეშინიათ, მამა გაბრიელის სიტყვები არ ახდეს, მართლა არ გაბრწყინდეს საქართველო და იმიტომ არ აბრუნებენ ხატს.

კიდევ ვიმეორებ, უამრავი სიწმინდეა ეკლესიაში, რომელიც საგულდაგულოდ არის დაცული და არ დაკარგულა. მუზეუმში გამოკეტილ ჩვენს სიწმინდეებს კი დიდი საფრთხე ემუქრება. **წარმოიდგინეთ, აწყურის ღვთისმშობლის ხატი, ხახულის ღვთისმშობელი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი, შიომღვიმის წმინდა ნინოს ხატი, ბოჭორმის წმინდა გიორგის ხატი, ზარზმის ფერისცვალების ხატი და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ყველა ერთად რომ დაბრძანდება ტაძარში, რამხელა მადლი გადმოვა საქართველოზე და როგორ გაბრწყინდება იგი!!!**

# ზაზა ნანობაშვილი:
# ეშინიათ, ანჩისხატის ტაძარში დაბრუნების შემდეგ მამა გაბრიელის სიტყვები არ ახდეს და საქართველო ა რ გაბრწყინდეს!





### მამა გაბრიელის სულიერი შვილის - დედა პარასკევას განმარტება, ანჩისხატის დაბრუნების შესახებ:

მამა გაბრიელი ამბობდა, რომ ბოლო ჟამის ადამიანები გადავრჩებით ღვთისა და მოყვასის სიყვარულით. მამა გაბრიელი ანჩისხატის დაბრუნებაზე წუხდა: თუ არა ასეთი უდიდესი სიწმინდის დაბრუნება, საქართველო რამ უნდა გადაარჩინოს, ივერია როგორღა უნდა გაბრწყინდესო?! სიტყვა „დაბრუნებაში“ ის გულისხმობდა და მიგვანიშნებდა, რომ ანჩისხატი იმ ტაძარში უნდა დაბრძანდეს, საიდანაც იგი ბოლოს გამოაბრძანეს, ანჩისხატობას ხატმა უწინდებურად თავის სახელობის ტაძარში უნდა იდღესასწაულოსო.

ჩვენმა წინაპრებმა ეკლესიები იმიტომ აგვიშენეს, რომ ხატები იქ ბრძანდებოდეს მოსალოცად. უფალს რომ სდომებოდა, მუზეუმებს დაგვიარსებდა, ხატის სახლი კი ეკლესიაა, სადაც მას სათანადო პატივს მიაგებენ. მისი დატყვევება ყოვლად დაუშვებელია. ჩვენმა ერმა უნდა გაითავისოს, რამხელა სიწმინდეების პატრონია და მისი შეურაცხყოფის უფლება არავის მისცეს. ლოცვის მადლით უნდა გავერთიანდეთ, გავძლიერდეთ და ეს უდიდესი ხატი ლიტანიობით გადავაბრძანოთ ანჩისხატის ტაძარში. მამა გაბრიელს ძალიან უყვარდა ხატების მოლოცვა და ამბობდა: საქართველო ასე უნდა გაძლიერდესო. ჩვენ სულ გვეძახიან ჩვენი წინაპრები, ღვთის მადლი და ეს ხატები გვეძახიან, ამიტომ გვიხმობენ, დიახ, სიწმიდეები ყოველთვის გვეძახიან და გვიხმობენ და ჩვენც უნდა მივიდეთ, ისე როგორ გადავრჩებით. მამა გაბრიელის სიტყვები ანჩისხატის დაბრუნების შესახებ სწორედ ამის დასტურია.



**მონაზონი პარასკევა**
სამთავროს დედათა მონასტერი

# ვარძიაში თამარის ფრესკის მიღმა თამარის ნამდვილი სახეა გამოსახული!

**მერი ჯანდიერმა 52 წელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაატარა. თითოეულ ექსპონატს ისე ეფერება და ელოლიავება, როგორც სულიერს. იცის, ამ უკვდავმა ნივთებმა რა გზა გამოიარეს, სანამ სამუდამოდ დაიდებდნენ ბინას ამ სავანეში. მინების მიღმა გაბრწყინებული ექსპონატები თითქოს მადლობას უძღვნიან ამაგდარ ქალბატონს.**



- ამ ცხოვრებაში ერთ ვიწრო ბილიკს გვაძლევს უფალი, არა ფართო გზას, არამედ ოღროჩოღროს. ფანატიკოსი არა ვარ, მაგრამ მჯერა, რაც უნდა გააკეთო, თუ ღმერთის ნება არ არის, წარმატებას ვერ მოიპოვებ! **ჩვენ ვცხოვრობთ მიწიერ სამოთხეში - საქართველოში, ამას მოფრთხილება უნდა.** ქართველად ყოფნა ადვილი არ არის, ჩვენი სამშობლო ღვთისმშობლის წილხვედრია, იმ დედის, რომელიც შვილის წამებასა და გარდაცვალებას მოესწრო, ამიტომ სულ ტკივილში უნდა ვიყოთ! **მრავლისმეტყველია ჩვენი სამფეროვანი დროშაც - შავი ზოლი, ქაოსი და სიბნელე; თეთრი - ნათელი დღეები და მეწამულისფერი** (იგულისხმება ქრისტეს სისხლში ამოვლებული კვართი). **ჩვენი ანბანიც უფლის ბოძებულია, იმდენივე ასოა - 33, რამდენი წლისაც იყო ჯვარცმული ქრისტე.** თითოეული ჩვენგანის გვარსაც თავისი მნიშვნელობა მისცა, ამიტომ არ გვეპატიება დღეს მოძალებული უვიცობა, უმადურობა და უსამართლობა. **განათლების სამინისტრო ვერაფრით მიხვდა, რომ დედაენის შეცვლა არ შეიძლება. განათლების მინისტრი პროკურორია და აბა, როგორ მიხვდება, რომ ია ყვავილი არ არის, ია იგივეა - რაც „იესო არს“!** მიმაჩნია, რომ მიზანდასახულად სპობენ ყველაფერს. განათლების მინისტრები იყვნენ **ლომაია, ნოდია,** ახლა **გვარამია** და არ იციან **ია**-ზე დაბოლოებული გვარის შინაარსი! **ვინმეს მათთვის ეს რომ ეთქვა, იქნებ ქართული ენა სათანადოდ დაეფასებინათ.**

სხვაგან სად, რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში დაუხურავთ წიგნის მაღაზიები? ჩვენთან ისე გააუქმეს, თვალი არ დაუხამხამებიათ. გააუქმეს ქართული ენის პალატა. რუსთაველის გამზირიდან გამოაძევეს ქართული ხელოვნების ნაკეთობათა სალონი, რომელიც მარტო მაღაზია კი არა, გამოფენაც იყო ჩვენი კულტურის, სულიერების. მის ადგილზე გახსნეს სათვალის მაღაზია „რონიკო“. მაოცებს ამათი ზედაპირულობა და უვიცობა. ყოველთვის გამოვირჩეოდით კეთილგანწყობით, კაცთმოყვარეობით, სიყვარულის უნარით, მაგრამ ახლა დაგვეუფალა აპასტასია - უსიყვარულობა, ამიტომ მივეცით უფლება ათას უცხოელს, აქ შემოსულიყო - ყველა კეთილი განზრახვით ხომ არ მოდის?! **ნახეთ, როგორ დადიან უცხოურ მოდას აყოლილი ჩვენი ლამაზი ქალიშვილები - საუკუნოვან ექსპონატებს ათვალიერებენ ჭიკმოლელილნი.** ეს სიშიშვლე საჭირო არ არის, ადამის მოდგმას აქვს უნარი, საფარველს მიღმა დაინახოს მისთვის საინტერესო რამ *(იღიმება)*. აქვე ვიტყვი, უცხოელები სულიერად გამოცარიელებულები კი არიან, მაგრამ აფასებენ შრომას, იატაკს მოწმენდ თუ წიგნს დაწერ, დაგიფასებენ და სათანადო გასამრჯელოს მოგცემენ.

ეს მუზეუმი ჩემი ცხოვრებაა, ის ექსპონატები, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილნი, სათითაოდ შესწავლილი მაქვს, გავიარე ის უდიდესი სკოლა, რომელსაც შალვა ამირანაშვილი ჰქვია. ექსპონატების უდიდესი რაოდენობა პირადად ბატონი შალვას მოძიებულია, მისი უდიდესი მეცადინეობით არის მოპოვებული, დაწყებული ამ ეკლესიის თავსამკაულით, რომელიც მუზეუმის შესასვლელის ფოიეში დევს. 1958 წელს მოვედი აქ და...

- **ქალბატონო მერი, ის საგანძური, რომლის მუზეუმიდან არგატანისთვისაც გურამ შარაძე იბრძოდა, დღეს წაღებულია?**

- არა, კათოლიკოს-პატრიარქი ამის ნებას არავის მისცემს. თავის დროზე ბევრს უნდოდა აქედან ნივთების წაღება, მაგრამ **ბატონი შალვა** ამის უფლებას ვის მისცემდა. მაგალითად, **ხრუშჩოვის ცოლს უნდოდა ბედიის ბარძიმის წაღება - პატარა არის და ადვილად შევძლებ წაღებასო, ასევე ერთი ხატისაც, მაგრამ არ გაატანეს.**

თამარის ფრესკაზე ბეთანიის მონასტერში იმუშავა **ტატიანა შევიაკოვამ,** იყო მარტოდმარტო, მშიერ-მწყურვალი... როგორც გვიყვებოდა, ღამღამობით მგლები მოდიოდნენ და სიბნელეში მხოლოდ მათი თვალები ანათებდაო. თამარის ოთხი ფრესკა არსებობს: ბერთუბანში, ბეთანიაში, ყინწვისსა და ვარძიაში. გასათხოვარი თამარი მარტო ვარძიაშია გამოსახული.

**ზვიად გამსახურდიამ და შალვა ამირანაშვილმა** დაიცვეს ბერთუბანი და დავით-გარეჯი რუსების სამხედრო პოლიგონისგან, აფეთქებისგან იბზარებოდა კედლები, ფრესკები... ახლა ეს ტერიტორია ჩვენი აღარ არის. ერთხელ ჩავედით ბერთუბანში, აზერბაიჯანელი მწყემსები ათევდნენ ღამეს. კედლები დაძრული იყო. **ბატონმა შალვა ამირანაშვილმა** თავხედობა გამოიჩინა, მოჭრა ერთი კედელი და წამოიღო. ახლა ის ჩვენთან ინახება, მუზეუმში. ასევე ბატონმა შალვამ ბიჭვინთაში არსებული ბაზილიკის მოზაიკის ნაწილებიც აქ ჩამოიტანა - ბაზილიკა ინგრეოდა, აღმდგენი არავინ იყო. ერთი გვარიც დაიმახსოვრეთ: **იგორ ბილგენდორფი,** რომელმაც შეისწავლა თამარის ოთხივე ფრესკა, ჰქონდა სათანადო აპარატურა. ერთხელ წავედით ვარძიაში. დავრჩით ვარძიის დედაღვთისმშობლის ეკლესიაში. იგორმა გვითხრა, მაგრად რომ დაბნელდება, რაღაცას გაჩვენებთო. მართლაც, შუაღამისას იგორმა თავისი აპარატი მიანათა თამარის ფრესკას და ჰოი, საოცრებავ, **ფრესკა გაქრა და გამოჩნდა თამარის ნამდვილი სახე.** იგორმა ამის შესახებ დაწერა კიდეც, უნდა წასულიყო კანადაში, მაგრამ არ დასცალდა. ხოლო იმ ჟურნალის მთელი ტირაჟი, სადაც პუბლიკაცია იყო თამარის ფრესკის საიდუმლოების შესახებ, ვიღაცამ მთლიანად შეისყიდა და ხალხმა ვეღარ წაიკითხა.

- **მითხრეს, რომ სახელი მერი გალაკტიონმა დაგარქვათ?**

- დიახ. მამაჩემი „სახელგამში“ მუშაობდა, მასთან ხშირად იყვნენ ცნობილი პოეტები. გალაკტიონი ჩვენთან სახლშიც მოდიოდა, მახსოვს მორიდებული, მოუფერებელი და მოუვლელი. სანამ საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა, ჩვენთან მოსულა, იმხანად დედაჩემი ფეხმძიმედ ყოფილა. გოგო თუ გეყოლა, მერი დაარქვიო, - უთქვამს. მართლაც დავიბადე მე, და დამარქვეს მერი! გალაკტიონის ძმა პროკლე ჩემი მასწავლებელი იყო. არ დამავიწყდება მისი ერთი შენიშვნა ჩემი კლასელის მიმართ, რომელიც მერხს სამართებლით ჭრიდა. მაგისი დედა ტყეში დარჩა, წუხს, შენ კი ტკივილს ტკივილზე უმატებ და სამართებლით ჭრიო. მთელი კლასი გაისუსა, სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი გულწრფელად ვწუხდით დაზიანებული მერხის გამო. ჩემი ქმარი გახლდათ პოეტი **კოტე ჯანდიერი,** ალპინისტი და აღმოსავლეთმცოდნე. სახლს როდესაც მოუახლოვდებოდა, ფეხის ნაბიჯებზე ვგრძნობდი, როგორ ხასიათზე ბრუნდებოდა. საღამოობით მიტარებდა პოეზიის საღამოებს, თიხის ჭურჭელში დებდა მინდვრის ყვავილებს, ჩართავდა ლამაზ მელოდიას და ლექსებს მიკითხავდა. გამთენიისას ავდიოდით მთაწმინდაზე, წვიმაც რომ ყოფილიყო, მაინც. იქ ერთი ხე გვქონდა ამორჩეული. აი, ასე, სიყვარულსა და მოფერებაში ვცხოვრობდი!

**ქეთი ხამიცაშვილი**

**„სუხიშვილების“ უფროსი თაობის სოლისტებს მიაჩნიათ, რომ ქართულ ხალხურ ცეკვებს დაეკარგა შინაარსი, სული ჩაეხშო, აღარ არის მაღალზნეობრივი. ზოგიერთი თვლის, რომ ცეკვები სომხური მუსიკის ფონზე მიმდინარეობს.**

**ამ საკითხის ირგვლივ გავესაუბრეთ „სუხიშვილების“ ყოფილ სოლისტს ომარ მხეიძეს:**

- გერმანიაში „სუხიშვილების“ გასტროლების შემდეგ, ჩვენი ემიგრაცია ერთ-ერთ გაზეთში წერდა: **„შეიძლება, ვინმემ ისევ დაუბრუნოს ქართულ ცეკვებს კეთილშობილი გამცილებელი - სალამური მაინც?“** ამ ერთი ფრაზით ყველაფერია ნათქვამი. გერმანიაში ჩასულ ქართველს ახსოვს „სუხიშვილების“ აკადემიური ანსამბლი და ნახეს ახლანდელი „ეროვნული ბალეტიც“. **ჯაზის დასარტყმელ ინსტრუმენტებს რა უნდა ჩვენი ცეკვების მუსიკაშიო,** - გაბრაზებულები კითხულობენ. დავიწყებ იქიდან, რომ ბალეტი სხვა ხელოვნებაა, ხალხური ცეკვა - სხვა. ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლს ბალეტი რატომ უნდა ერქვას? ჩემი უპირველესი გულისწყრომა ესაა: **რატომ ჩამოიღეს ანსამბლის აფიშიდან ნინო რამიშვილის გვარი? ის ქართულ ცეკვას იყო შეწირული, ანსამბლის შემოქმედება, დისციპლინა, პედაგოგიკა ამ ქალზე იდგა. ვთქვათ სიმართლე - ილიკო სუხიშვილი იყო კარგი პროდიუსერი, ადმინისტრატორი, მაგრამ ნინო იყო ანსამბლის სული და გული!** ვხვდები, მათ უნდათ, სუხიშვილის გვარი არ ჩამოვიდეს აფიშიდან, ქვეცნობიერად ამას ამბობენ - თავიდან უფროსი სუხიშვილი ხელმძღვანელობდა, ახლა ჩვენ ვართო. კი ბატონო, მაგრამ **ნინო რამიშვილის გვარი ღირსი არ არის, აფიშაზე ეწეროს?**

ამ ღირსეული ადამიანების - ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შვილიშვილი, ნინო სუხიშვილი ამბობს: **დღეს კლასიკად წოდებული პროგრამა ორმოციან წლებში დიდი ილიკოს თავისუფალი ფანტაზიები იყოო.** როგორ, ორმოციან წლებამდე ქართული ხალხური ცეკვა არ არსებობდა? ან „ხორუმი“ როგორ არის ილიკოს ძეგლი, როცა 1928 წელს ჯერ კიდევ დავით ჯავრიშვილის სტუდიაში (ბათუმში) ცეკვავდნენ?! 1937-38 წლებში, როდესაც მოსკოვში ქართული კულტურის დეკადა მოეწყო, სხვა ცეკვებთან ერთად „ხორუმიც“ წარმოადგინეს. 1945 წელს, როდესაც ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა „მთების გული“, ყველა ქართული ცეკვა - „ხორუმი“, „მთიულური“, „ფარიკაობა“ გამოიყენა. 1943 წელს გადაიღეს „გიორგი სააკაძე“, „ჯურღაის ფარი“, ნახეთ, როგორ ცეკვავენ „ხორუმს“ (როგორც ვიცი, „ხორუმის“ ცეკვა ხულოში უნახავს ჩხარტიშვილს, იქიდან „ჩამოიტანეს“ 1932 წელს). უფროსმა ილიკომ და ნინომ იმდენი გააკეთეს ქართულ ქორეოგრაფიაში, იმ სიმაღლემდე აიყვანეს, რომ, უპირველესად, ეს დავუფასოთ და სხვისი ღვაწლის მიწებება ნამდვილად არ სჭირდებათ.

**ნახეთ, რას ბრძანებს ნინო სუხიშვილი:** ყაბალახი ქალისთვის ზღვარგადასული სითამამე იყო. ქალები ჩადრებში ცეკვავდნენო. **ქართველი ქალი ჩადრში რანაირად იქნებოდა, ამიხსენით. ახლა ცეკვის დროს ქვედა საცვლებს რომ აჩენენ, ეს არ არის ზღვარგადასული სითამამე? ეს არის ქართული ცეკვა? ახლა ყაბალახი კი არა, მეკობრეების თავსაფარი წაიკრეს თავზე, ერთი თვალის ახვევაღა სჭირდებათ, მეტი არაფერი. რა ხდება - ქალები სცენაზე გამოდიან ჩადრებით, შარვლებით. კინტოებს ცეკვავენ, მამაკაცებს ჰაეროვან კოცნას უგზავნიან, ქალს აქეთ უნდა ეხვეწო, რათა გაკოცოს. ახლა პირიქით, ის გიგზავნის კოცნას, ვინ გამოდის ის ქალი? მთელი ქართული ცეკვა ქალის მიმართ პატივისცემაა, დათმობა, რაინდული თვისების გამომჟღავნება - ის კი არ არის ქალის მხრიდან, მითხოვე, თორემ გავგიჟდებიო!** დღევანდელმა „სუხიშვილებმა“ დაკარგეს ცეკვის აზრი და შინაარსი - ქართველი კაცი მუხლს იდრეკდა სამშობლოს, დროშის, სარწმუნოებისა და ქალის წინაშე. ნახეთ, რა სცენარია „ხევსურულში“. ქალის გამო კეჭნაობა მიდის. როცა ბრძოლა მძაფრდება, ქალი მანდილს აგდებს, კაცები ზავდებიან. ამ სცენით მთელი მსოფლიო გაკვირვებული იყო. ახლა ხევსურულ ცეკვაში კაცები ხმალდახმალ მიეჭრებიან ერთმანეთს, რატომ ჩეხენ მეგობრებს, გაუგებარია. **ცეკვებში შეტანილია უცხო ილეთები.**

**ცეკვა უნდა განვითარდეს, მაგრამ კი არ უნდა გადასხვაფერდეს. რატომ ვკარგავთ ერის სულიერებას, ისტორიას, ზნეობრივ სიმაღლეს?** რა ფერები შემოიტანეს კოსტიუმებში - ნახეთ, რას აკეთებენ ცეკვა „ჯუთაში“ ქალები თავისთვის ცეკვავენ, კაცები თავისთვის. აქ სპორტი უფროა, ვიდრე ქორეოგრაფია.

- **რას ამბობენ თქვენი კოლეგები?**

- რა გითხრათ, მათ ჩვენი აზრი არ აინტერესებთ. მოგახსენებთ ზოგიერთი მათგანის აზრს. მაგალითად, **ლატავრა ფოჩიანმა ბრძანა:** შეიძლება ქართველმა ქალმა ისე ზემოთ ასწიოს ფეხი, კაცს წელზე უტყაპუნებდეს და საცვალი უჩანდესო?! **აღშფოთებულია ფრიდონ სულაბერიძეც:** სუხიშვილების ბევრი მელოდია სომხურია, ქართულ ცეკვას სული ამოაცალესო. სახალხო არტისტები ყველანი უკმაყოფილონი არიან. **რევაზ ჭოხონელიძემ** თქვა, მოუსმინეთ მაგათ მუსიკას, ჩეჩნები არიან, ოსები თუ სომხები, გვითხრანო. ერთი სიტყვით, ქალი და კაცი ტლინკაობაზე არიან გადასული. ამათ ერთმანეთში არიეს ცეკვის ისტორია, ქართველი ქორეოგრაფების ღვაწლი, უფროსი ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის დამსახურება.

**ხმამაღლა ვიტყვი: ძალიან კარგად ვიცი, რა არის ქართული ხალხური ცეკვა. ესენი ამ ცეკვებს არ ცეკვავენ!**

# ესენი ქართულს აღარ ცეკვავენ!



# შეცვლის თუ არა ჩინური იუანი ამერიკულ დოლარს?

**რუსულ პრესაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მსოფლიო ვალუტა შეიცვალოს და ამერიკული დოლარი ჩინური იუანით ჩანაცვლდეს, რადგან ამისათვის ჩინეთს ყველანაირი პირობა აქვს.**

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დღეს დოლარი არსებობას სწორედ ჩინელების წყალობით ინარჩუნებს, რომელთაც გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე ამერიკის სახელმწიფო ობლიგაციებში ორი ტრილიონი აშშ დოლარი ჩადეს, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მათ ამერიკას 2 ტრილიონი აშშ დოლარი ასესხეს. თუკი ერთ მშვენიერ დღეს ისინი ამ ფულით ოქროს ან ნავთობის შეძენას გადაწყვეტენ, დოლარს საბოლოოდ აღმოხდება სული. ამერიკა ამ პრობლემის მოგვარებას ახალი დოლარების დაბეჭდვით ცდილობს, რაც უბრალოდ ფარატინა ქაღალდი იქნება და მაშასადამე, დოლარი კიდევ უფრო გაუფასურდება. თუ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ჩინეთს არ უნდოდა ამერიკასთან ჩხუბი, რადგანაც ეს უკანასკნელი მისი პროდუქციის რეალიზაციისთვის შესანიშნავი ბაზარი იყო, დღეს ჩინეთს ამერიკა აღარ სჭირდება — იქ ფინანსური კრიზისია, ჩინეთში კი ეკონომიკა სულ უფრო და უფრო იზრდება. ამასთან, ჩინეთში დოლარი სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება, უცხოეთიდან ჩასული ტურისტი იქ სავალუტო პუნქტში 200 დოლარზე მეტს ვერ გადაცვლის. მაღაზიებსა და ბაზრებში ამერიკული ვალუტის გამოყენებაზე საუბარიც კი ზედმეტია. ერთი სიტყვით, ჩინელები საკუთარი იუანით მსოფლიოს დაპყრობისთვის თუ არა, დოლარისთვის სერიოზული კონკურენციის გასაწევად მზად არიან.

საქართველოს ეკონომიკა დოლარზე მჭიდროდ არის გადაბმული, მოსალოდნელია თუ არა, იუანისა და დოლარის ბრძოლამ ასახვა ჩვენს ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც პოვოს? - ამ საკითხზე ფინანსთა ყოფილ მინისტრი **დავით იაკობიძე** გვესაუბრება.

**- ბატონო დავით, შეიძლება თუ არა, მოხდეს ისე, რომ ამერიკული დოლარი ჩინურმა იუანმა ჩაანაცვლოს?**

- დოლარის წინააღმდეგ აქტიურად მუშაობენ ჩინეთი და რუსეთი. გახსოვთ, ალბათ, დავოსში ჩასულმა პუტინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ საჭიროა რეგიონალური ვალუტის შექმნა, რომელსაც ის დაუპირისპირებდა დოლარსა და ევროს. ყაზახეთთან და ბელორუსიასთან ერთად დააპირა კიდეც ამის გაკეთება. სხვათაშორის, ყაზახეთმა და ბელორუსიამ ამისათვის გარკვეული ნაბიჯებიც გადადგეს, მაგრამ თავად რუსეთი ფინანსური კრიზისის გამო ამ პროცესში ვერ ჩაერთო. ახლახან მედვედევი პეტერბურგში გამოვიდა ახალი ფულადი ერთეულის ინიციატორად.

რაც შეეხება ჩინელებს. ლონდონის სამიტზე ჩინელები ხმამაღლა აცხადებდნენ, მხოლოდ ჩვენ და ამერიკელებს გვაქვს უფლება, ვისაუბროთ მსოფლიო მონეტარული სისტემის ცვლილებებზე, რადგან ყველაზე მეტი დოლარი სწორედ ჩვენ და ამერიკას გვაქვსო. ჩინეთის მხრიდან ასეთი ხმამაღალი და თამამი განცხადების საფუძველი გახლავთ მათ ხელთ არსებული ორნახევარი ტრილიონი დოლარის დეპოზიტები და ასევე მათ მიერ შეძენილი ორ ტრილიონ დოლარზე მეტი ამერიკის სასესხო ვალდებულებები. **ასეთ პირობებში ჩინელები თვლიან, რომ ამერიკა მათი ყველაზე დიდი მოვალეა, მაგრამ ლონდონის სამიტმა დაგვანახა, რომ ჩინელებს თავისი ადგილი აქვთ და ამერიკელებს - თავისი.**

**- რა მოხდება ჩინელებმა ამერიკულ ობლიგაციებში ჩადებული ფულით ოქრო ან ნავთობი რომ შეიძინონ?**

- ამ ობლიგაციებს ასე შენს ჭკუაზე ვერ გამოიყენებ, მას განაღდების თავისი ვადა და თავისი პირობები აქვს. სხვა საქმეა დეპოზიტები. ჩინეთს შეუძლია, დოლარში განთავსებული დეპოზიტები გადაცვალოს ევროში, რაც მომაკვდინებელი დარტყმა იქნება ამერიკული დოლარისთვის, მაგრამ ამის აღკვეთის საშუალებებიც არსებობს. ჩინეთის ეკონომიკა, რომელიც ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ვითარდება, ეყრდნობა ყალბ პროდუქციას. ახლა ყველა თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ჩინელი მის მიერ გამოშვებულ უვარგისს პროდუქციას „ნაიკს" და „ადიდასს" მიაწერს. დღეს ჩინეთს და ინდოეთს მთელი მსოფლიოს საქონელბრუნვის 37 პროცენტი აქვს დათმობილი. ცხადია, ეს დათმობა ურთიერთხელსაყრელი პირობებით ხდება, მაგრამ თუ ჩინეთი ისე გასუქდება, რომ შეტევაზე გადასვლას მოინდომებს, მაშინ მას ამ ბაზარს ჩაუკეტავენ. მხოლოდ საკუთარი ბაზარი კი მისთვის ძალიან ცოტაა. **მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას ჩინური იუანის აგრესიის შეჩერების ბერკეტები აქვს, ჩინეთი მაინც საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა და ამერიკაც თავზე ხელს უსვამს ჩინელებს.** ვერ გაიხსენებთ ბოლო წლებში რაიმე ფაქტს, როცა ამერიკამ ჩინეთს რაიმე აწყენინა, ან, პირიქით, ჩინეთმა - ამერიკას.

**- რატომ დაიდო ამერიკამ 2 ტრილიონი დოლარის ოდენობით ჩინეთის ვალი?**

- მსოფლიო კრიზისი, რომელიც დღეს მიმდინარეობს, გამოწვეულია არა ეკონომიკური, არამედ ფინანსური პრობლემებით. ჩვენ გვგონია, რომ ფინანსური კრიზისი წელს დაიწყო, სინამდვილეში დაიწყო 2006 წლიდან. თუ გახსოვთ, საქართველოს მთავრობას ფული რომ დასჭირდა, ევროობლიგაციები გამოუშვა და გაყიდა. ასევე ამერიკის მთავრობას სჭირდებოდა ფული, რისთვისაც დაიწყო სახაზინო ვალდებულებების გაყიდვა. ჩინეთს იმდენი ფული ჰქონდა, რომ არ იცოდა, რა- [illegible] ტრილიონი [illegible] უწევს, მათ თავად აწყობთ დოლარის ინფლაცია!

**- თუ დოლარის ინფლაცია მოხდა, ეს კარგია თუ ცუდი ჩვენი ეკონომიკისთვის?**

- დოლარი მნიშვნელოვანი მოქლენაა ჩვენს ეკონომიკაში, რადგან **ლარი ორიენტირებულია არა წარმოებაზე, არამედ დოლარზე.** ჩვენ თავის გადარჩენის [illegible] ასეთ პირობებში ჩინური იუანისა და ამერიკული დოლარის ბრძოლაც კი აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

**ჩვენთან ეკონომიკის 67 პროცენტი დოლარიზებულია.** დაწესებული ფასების ჯამის 67 პროცენტი დოლარით განისაზღვრება. **ლარით მხოლოდ მწვანილის ფასს თუ ანაზღაურებენ, თორემ სახლი, მანქანა, ავეჯი დოლარში იანგარიშება.** ჩინელები, ჩვენგან განსხვავებით, [illegible] 200-300 დოლარზე მეტს არ ახურდავებენ, რადგან იციან, რომ, როცა ხალხს დოლარი გაურბის, საქონლის ფასებიც [illegible]

**ამერიკამ, ამ ყველაზე დემოკრატიულმა ქვეყანამ, მიიღო კანონი და დაადგინა ბანკებში საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა. საქართველოში კი ბანკები ყოველგვარ ზრდის პროცენტებს და განაკვეთებს არავინ [illegible].**

ეკონომიკა
თეა ასათიანთან ერთად

**ეკონომიკის ექსპერტი ნიკო ორველაშვილი ირწმუნება, რომ საპროტესტო მუხტი არსად გამქრალა, რაც უახლოეს მომავალში კარგად გამოჩნდება. მისივე თქმით, შემოდგომაზე არა მხოლოდ საპროტესტო პოლიტიკური გამოსვლები, სოციალური აფეთქებაც არის მოსალოდნელი.**

# შემოდგომაზე მოსალოდნელია პურის გაძვირება, ბინების გაიაფება!

**- ბატონო ნიკო, ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ პრობლემებს საპროტესტო აქციებს აბრალებს. ამბობენ, რომ აქციების გამო ქვეყანაში ინვესტიციები შეწყდა.**

- ინვესტიციების შემოსვლა, პრაქტიკულად, შეწყდა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. 2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ანუ სანამ აქციები დაიწყებოდა, მთავრობის მიერ რეგისტრირებული, შემოსული ინვესტიციები შეადგენდა 124, 6 მილიონ დოლარს, არადა, უნდა შემოსულიყო 600 მილიონი. ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ ამ გადმორიცხული 124 მილიონიდან 50 მილიონი უკანვე წავიდა.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ როცა ქვეყანაში შემოდის მსოფლიოში მეტ-ნაკლებად ცნობილი ბრენდი, მას ხელისუფლებამ ავტორიტეტი არ უნდა შეულახოს და მისი სახელით არ უნდა ჩაიდინოს მაროდიორობა. მაგალითისათვის საკმარისია, დავასახელოთ არაბული **„რაკიინი"**, რომელიც კვალდაკვალ დაჰყვებოდა აუქციონებს და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის წართმეულ ქონებას კაპიკებად ყიდულობდა. ამას არაბები კი არ აკეთებდნენ, **მათი ბრენდით ისარგებლა სააკაშვილის დაჯგუფებამ,** რომელიც ამ კომპანიის წილში შევიდა. ასეთი მაგალითები მრავლად არის.

**- ინვესტიციები იკლებს, სამაგიეროდ, დღითი დღე იზრდება საგარეო ვალები. რატომ?**

- როგორ თუ რატომ?

ქვეყანაში არაფერი იწარმოება, დოვლათი არ იქმნება, საკუთარი სიმდიდრე არ გვაქვს. **ამ ხელისუფლების** ხარჯებს დაფარვა ხომ უნდა? შარშან არჩევნების წინ გურგენიძემ ევროობლიგაციების სახით ნახევარი მილიარდი ევრო რომ შემოიტანა, სად წავიდა ეს ფული, იცის ვინმემ? ხან თქვეს, მომავლის ფონდში ჩაიდოო, ხან - ენერგეტიკის განვითარების პროგრამაშიო. სინამდვილეში ეს ფული დაიხარჯა არჩევნებზე. პრეზიდენტმა თავად თქვა, არჩევნები მილიარდ-ნახევარი დაგვიჯდაო. საიდან მოვიდა ეს ფული? თანხები, რაც ე.წ. დახმარების პროგრამებით შემოდის, სინამდვილეში ვალად გვეწერება და ჩვენი შვილების ჯიბიდან არის ამოსაღები. ამ დახმარების პროგრამებით ხეირი ამ ქვეყანაში მაქსიმუმ ხუთასმა კაცმა ნახა. დღეს სააკაშვილის ძირმომპალი სავარძლის გასამყარებლად საგარეო ვალები კიდევ უფრო გაიზარდა და ეროვნულ ვალუტაში **7 მილიარდს** აღწევს. ეს თანხა ჩვენს შვილებს აწევთ კისერზე, მათი გადასახდელი იქნება!

**- მშენებლობა ახსენეთ და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზეც ვისაუბროთ...**

- თავად ხედავთ, რომ მშენებლობები გაჩერებულია. **მე ეს პროგნოზი გავაკეთე წელიწად-ნახევრის წინ.** ქალბატონი რჩეულიშვილი, რომელიც მაშინ აღშფოთებით შეხვდა ჩემს პროგნოზს, დღეს ინიციატივით გამოდის, სახელმწიფომ ფული მოგვცეს და აშენებულ ბინებს დავუბრუნებთო! ამ სფეროში კარგა ხანს გასტანს სტაგნაცია. **როცა ხალხი იმას ფიქრობს, პური როგორ იყიდოს, ახალი ბინის ყიდვასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე აღარ ფიქრობს.**

ერთადერთი, რაც დღეს, ასე თუ ისე, იყიდება, ეს არის მეორადი ბინები და შემოდგომაზე, ვფიქრობ, ესეც შეჩერდება.

შემთხვევით და სიტყვის მასალად არ მიხსენებია პური. წელს ხორბლის მოსავალი, პრაქტიკულად, არ არის. ხორბალი მტკაველზე მეტი არ გაიზარდა. თავი შეგვიძლია, იმით დავიმშვიდოთ, რომ ხორბლის ქართული წარმოება სულ 20 პროცენტით აკმაყოფილებდა ქართულ ბაზარს, მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მოუსავლიანი წელიწადი მხოლოდ ჩვენთან არ იყო, შემოდგომაზე შეიძლება პურს დიდი ფასი დაედოს, და ღმერთმა ნუ ქნას, განმეორდეს ის, რაც იყო 15 წლის წინათ.

აი, ასეთ პირობებში, მითხარით, ვინ მოინდომებს ბინის ყიდვას, თუნდაც კაპიკებში გაიყიდოს ის? ახლა მთავრობა ბინების რაღაც რეაბილიტაციის პროგრამას გეგმავს, რაც სინამდვილეში ფულის კეთების ახალი საშუალებაა.

**- ხომ არ არის მოსალოდნელი ხელფასებისა და პენსიების შეფერხება?**

- არათუ მოსალოდნელი, გარდაუვალია! ქვეყანა არის ბანკროტი. ერთადერთი, სადაც ხელისუფლება სიამოვნებით ტენის ფულს, ეს არის გზების მშენებლობა, რომელსაც თავად აკონტროლებს და „ატკატების" სახით ჩადებული ფულის 40 პროცენტს უკან იბრუნებს. ახლა კახეთში, ძალიან რომ არ გამწვავებულიყო სიტუაცია, 24 მილიონი ჩადეს რთველის პროგრამაში, შეეშინდათ, კახელმა გლეხებმა ყურძნით დატვირთული მანქანები მთავრობის სახლთან არ მოაყენონო. ეს გამორიცხული მაინც არ არის, რადგან 24 მილიონი საქმეს ვერ უშველის, ღვინის ქარხნებში შარშანდელი და შარშანწინდელი მოსავალიც არ არის რეალიზებული. გასაგებია, რომ მათ ფულს მისცემ, მაგრამ თავზე ხომ არ დაიჭყლეტენ ამ ყურძენს?



# ბანკები მალე მასობრივად მიადგებიან მოვალეების სახლებსა და მანქანებს!

**კომერციულ ბანკებში პრობლემური სესხების რაოდენობა დღითი დღე იზრდება. აპრილის თვეში ვადაგადაცილებული სესხები კიდევ 6 მილიონი ლარით გაიზარდა და 228 მილიონი შეადგინა. ბანკებმა უკვე დაიწყეს იმ მოვალეთა ქონების გაყიდვა, რომელთაც ვალის გასტუმრების არანაირი საშუალება არა აქვთ. არის თუ არა ეს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი? - ამ საკითხზე ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს ვესაუბრებით.**

**- ბატონო ნოდარ, ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა პრობლემური სესხების რაოდენობა. რა საფრთხეს უქადის ეს თავად ბანკებს და იმ ხალხს, ვინც სესხს ვეღარ იხდის?**

- ბოლო წლების განმავლობაში სულ იმას გავყვიროდი, რომ არ შეიძლება საბანკო სისტემის დატოვება ზედამხედველობის გარეშე, არ შეიძლება ეროვნული ბანკის ნგრევა, არ შეიძლება ასეთი აღვირახსნილი დამოკიდებულება სესხების მიმართ. დიახ, ეს იყო აღვირახსნილი დამოკიდებულება, რადგან **იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც „ნაცმოძრაობის" გახსნილ სასადილოებში უფასო ფაფის რიგში იდგნენ, სესხები ჰქონდათ აღებული. ახლა კითხულობენ, რა გვეშველებაო?** თუ აქვს რაიმე გასაყიდი, გაუყიდიან და დარჩება სულ მთლად უქონელი!

**- დგას თუ არა თავად ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი, იყო თუ არა ბანკი ვალდებული, არ გაეცა ასეთი სარისკო სესხი და არ შეეწყო ხელი ადამიანთა გაკოტრებისათვის?**

- რამდენიმე დღის წინ მოვისმინე, რომ მთავრობა იხილავდა ბანკების საკითხს. ეს დაუშვებელია, **ნორმალურ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრს ამას არავინ ეკითხება. ეროვნული ბანკი უნდა დადგეს თავის სიმაღლეზე, უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალებით და სწორედ ეროვნულმა ბანკმა უნდა შეისწავლოს ყველა კონკრეტული სესხი.** სადაც გამოიკვეთება ბანკის დანაშაულებრივი ქმედება, ბანკი უნდა დაისაჯოს ფინანსურად, სადაც მსესხებელმა მოატყუა ბანკი, იქ მსესხებელმა უნდა აგოს პასუხი, სადაც სახელმწიფოა დამნაშავე (მხედველობაში მაქვს აგვისტოს ომი), იქ სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს, სადაც მსოფლიო-ეკონომიკური კრიზისის გავლენასთან გვაქვს საქმე, იქაც სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მსესხებელს. **მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, როცა ფირმის ხელმძღვანელი ან უბრალო ადამიანი თავისი უტვინობის გამო გაკოტრდება, შუბლში ტყვიას იკრავს და არ არსებობს ამის საწინააღმდეგო საშუალება.** ძალიან ცუდ რამეს ვამბობ ახლა, მაგრამ ჩვენ საქმე გვქონდა მართლაც სერიოზულ ავანტიურასთან, რომელიც ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდება.

**- ბანკის მიერ გაცემული სესხები ხშირ შემთხვევაში უძრავი ქონებით არ იყო უზრუნველყოფილი, ასეთ შემთხვევაში აქვს ბანკს უფლება, რომ მოქალაქეს ქონება გაუყიდოს?**

- იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ცვლიან ბანკები სესხის ხელშეკრულების პირობებს, **ისინი აუცილებლად მიადგებიან თავიანთი კლიენტების სახლებს, მანქანებს, აგარაკებს, მაგრამ იქ, სადაც ბანკს სესხის უზრუნველყოფა არ მოუთხოვია, მოქალაქემ არ უნდა დაკარგოს ქონება.** ამ შემთხვევაში უნდა დაზარალდეს ბანკი, რადგან სესხის გაცემისას მან გარისკა და არა მისმა კლიენტმა. ბანკს რომ სესხის სანაცვლოდ სახლის ან სხვა უძრავი ქონების ჩადება მოეთხოვა, მსესხებელი დაფიქრდებოდა და შეიძლება, უარი ეთქვა სესხზე. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, დღეს ეს ხალხიც არანაკლები პრობლემის წინაშე დგას და მათ სერიოზული იურიდიული დაცვა სჭირდებათ. ამის ნაცვლად მთავრობა საუბრობს ბანკების დახმარებაზე, მე არც ამის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ უნდა დავფიქრდეთ, როგორ დავეხმაროთ და რომელ ბანკებს დავეხმაროთ? იმათ, რომელთა დირექტორებსაც წლიური შემოსავალი 700 ათასი დოლარი აქვთ? **ბოდიში, ბატონო, დაინიშნონ 100 ლარი და გადაარჩინონ თავიანთი დაწესებულება!**

არის კიდევ ერთი პრობლემა. ბანკი წაართმევს მოქალაქეს ქონებას, მაგრამ რად უნდა მას ბინა, მანქანა, აგარაკი? ბანკს სჭირდება ფული. ჩვენ დღეს ყველანი ვხედავთ, რომ უძრავი ქონება, ფასების დაცემის მიუხედავად, არ იყიდება. ხალხი ბინებს ბანკის ვალებით ყიდულობდა და ახლა, როცა ეს ფული არ არის, რითი იყიდის მას?

**- ანუ შესაძლებელია, უძრავი ქონება კიდევ უფრო გაიაფდეს?**

- **გაიაფდება!** ჯერ ერთი, იმიტომ რომ დღესაც ბინებზე არსებული ფასი არ შეესაბამება ქვეყნის გადახდისუნარიანობას და, მეორეც, როცა ბანკებში ბინების დიდი რაოდენობა დაგროვდება და დაინახავენ, რომ 50 ათას დოლარად ვერ ყიდიან, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდებიან, 5 000-ად ან სულაც 500 დოლარად გაყიდონ. დღეს ბანკებისთვის დახმარებაზე საუბარში მე ვხედავ იმის სურვილსაც, რომ სამშენებლო კომპანიებს დაუბრუნდეთ ძველებურ ფასებში მშენებლობის და ზემოგების მიღების შესაძლებლობა. **მოდით, ჯერ დავუთვალოთ იმ მშენებლებს, რამდენი მოგება აქვთ მიღებული და რაში აქვთ დახარჯული. მერე გამოვითვალოთ, რამდენ ხორცს, კვერცხს, კარტოფილს მოიხმარს თითო ადამიანი დღეში. აღმოჩნდება, რომ ქართველი ხალხი დღეში იღებს იმ კალორიების, ცილებისა და ნახშირწყლების მხოლოდ ნახევარს, რაც ორგანიზმისათვის არის საჭირო. სხვათაშორის, ეს ასე იყო მაშინაც, როცა ბანკიდან გამოტანილი ფულით სამსართულიან სახლს იშენებდა.**

**- ბატონო ნოდარ, ფინანსთა სამინისტრომ უარყო გავრცელებული ინფორმაცია ლარის მეორად ვალუტად გამოცხადების შესახებ. თუმცა, მანამდე იყო მოსაზრება, რომ მიმოქცევაში ლართან ერთად დოლარის და ევროს შემოსვლა ბანკის მოვალეებისთვის მცირეოდენი შვება მაინც იქნებოდა.**

- **ერის მტერი უნდა იყო ან გაუგებარი დეგენერატი, რომ ამაზე საუბარი დაიწყო.** ამით მხოლოდ ლარის გაუფასურებას იწყებ და მოსახლეობის ჯიბეს არტყამ, თორემ ეს, ასე ადვილი რომ არ არის, თავადაც იციან.

**ჩვენ კი გამოვაცხადებთ ევროს და დოლარს გადახდის ერთადერთ საშუალებად, მაგრამ ამერიკას და ევროპას არ ვეკითხებით? არ გვეტყვიან ევროპელები, რაებს მიედ-მოედებითო?** ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ფინანსური პრობლემები ავტომატურად გადავუმისამართოთ მათ. ევროპას ამ ფინანსური ვალდებულებების აღება რომ ნდომოდა, ევროკავშირში მიგვიღებდნენ, მაგრამ არ გვიღებენ იმიტომ, რომ ეკონომიკა გვაქვს გაჭირვებული.

**ქვეყანაში მიმდინარე ფინანსურ- ეკონომიკურ პროცესებსა და პროგნოზებზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება.**

# მიწაზე ფასები დაეცა და კიდევ უფრო დაეცემა!

**- ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მძიმე ეტაპი გავიარეთ თუ წინ გვაქვს?**

- გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ბევრი ექსპერტი აკეთებს დასკვნას, რომ ყველაზე მძიმე პერიოდი 2009 წლის შემოდგომაზე იქნება. რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, აქ სიტუაცია ბევრად უფრო რთულად არის. **მექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მთავრობას ბოლომდე გააზრებული არა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სირთულეები და კრიზისის წარმოშობის წმინდა ქართული მიზეზები.**

აქედან გამომდინარე, ძნელი სავარაუდოა, რომ საქართველოს მთავრობა საქმეს მიიყვანს ისეთ დასასრულამდე, რომ მისი შედეგები არ იყოს მძიმე.

**- ცნობილია, რომ კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ბანკების მიერ გაცემული დიდი რაოდენობით სესხები იყო. დღეს ამბობენ, რომ ხელისუფლება უნდა დაეხმაროს სამშენებლო სექტორს. თქვენი აზრით, უნდა დაეხმაროს?**

- რა თქმა უნდა - არა! ჯერ ერთი, რომ მთავრობის პირდაპირი დახმარება ნებისმიერი ტიპის საწარმოსთვის ნიშნავს ზომბი საწარმოების ჩამოყალიბებას. მეორეც, ვის ხარჯზე უნდა დაეხმაროს მთავრობა სამშენებლო ბიზნესს? გადასახადების გადამხდელების, ანუ ჩვენს ხარჯზე? უცხოური დახმარების ნაწილი, რომელიც დღეს შემოდის საქართველოში, ისედაც გათვალისწინებულია ბანკებისათვის, ანუ პრაქტიკულად, ეს ბანკებიც ხდებიან ზომბი ბანკები. განცხადებები, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს სამშენებლო ბიზნესს, უფრო პოლიტიკური და პოპულისტური ხასიათისაა. მე, როგორც პოლიტიკიდან შორს მყოფი ადამიანი, ამას მხარს არ დავუჭერ. **ეს ნიშნავს, ჩვენი, ანუ გადასახადების გადამხდელების ხარჯზე შევინახოთ ვიღაცის წამგებიანი ბიზნესი, ხალხის ხარჯზე გადავარჩინოთ რომელიღაც კერძო პირები, რომლებმაც მცდარად ჩადეს ფული ამ საქმეში.** სახელმწიფოს შეუძლია, დაეხმაროს სამშენებლო ბიზნესს იმით, რომ იყიდოს ბინები სამხედროებისთვის, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, უსახლკაროებისთვის, ანუ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს გაჭირვებულ ხალხს და ამით დაეხმარება სამშენებლო ბიზნესსაც.

**- სხვა უძრავ ქონებასთან ერთად ფასები დაცემულია მიწაზე...**

- **ბლეხები მასობრივად ყიდიან მიწას, რადგან ვერ ამუშავებენ მას და, შესაბამისად, არა აქვთ მოსავლის მიღების იმედი.** თბილისშიც მიწის გაყიდვის ძალიან ბევრი მსურველი გამოჩნდა, თუმცა, მყიდველი მაინც არ ჩანს. ფასი ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით. **კრიზისის პირობებში უძრავ ქონებაზე ფასები ეცემა.** ამ დროს უფრო მეტი გამყიდველი ჩნდება ბაზარზე, ვიდრე მყიდველია. **ბუნებრივია, რომ მიწის ფასიც დაეცა და კიდევ უფრო დაეცემა.** ეს ეხება როგორც ქალაქში არსებულ, ისე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. არასასოფლო მიწაზე ფასის ზრდა სამშენებლო ბუმმა გამოიწვია, სულ ახლახან იყო, რომ იგი ძალიან დიდ ფასად იყიდებოდა, მართალია, მყიდველებს შორის ბევრი იყო უცხოელი, მაგრამ ეს კიდევ სხვა პრობლემაა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. სხვა საკითხია, რამდენად ადეკვატური იყო ის ფასი ეკონომიკის განვითარების დონის კონტექსტში.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს სიტუაცია, ბუნებრივია, როცა გლობალური მასშტაბით ეკონომიკა გამოვა კრიზისიდან, ფასებიც აიწევს, მაგრამ ეს არ იქნება მყისიერი, ეს არ მოხდება ხვალ ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ.

**- ბევრი დღეს არ ყიდულობს უძრავ ქონებას იმის მოლოდინით, რომ იგი უფრო გაიაფდება...**

- სწორია ეს ტაქტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს მომავალში ეკონომიკაში რაიმე პოზიტიური ნახტომის ალბათობა დაბალია, ვისაც ფულის შოვნის მიზნით უძრავი ქონების გაყიდვა სურს, უმჯობესია, ახლავე გაყიდოს, რადგან ხვალ შეიძლება კიდევ უფრო დაეცეს ფასი. ასევე მას, ვისაც ყიდვა სჭირდება, ვეტყვი, რომ ჯობს, დღესვე იყიდოს და ნუ დაელოდება ფასების დაცემას, რადგან ეს ისეთი დინამიკური პროცესია, რომ პროგნოზები ხშირად არ არის რეალისტური.

**- ბატონო ლადო, უძრავ ქონებაზე ფასები საგრძნობლად დაეცა. როგორ გგონიათ, რამდენ ხანს შენარჩუნდება ეს ფასები ?**

- **ბინები კიდევ უფრო გაიაფდება. ფასები დაწეულია, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ არის გაიაფებული.** ფასები ხელოვნურად იყო გაბერილი და ეს გამოიწვია იაფმა კრედიტმა.

ბევრს ვერ წარმოუდგენია, რომ ბინა, რომელსაც გუშინ ძალიან ძვირად ყიდდა, დღეს ასე იაფად გაყიდოს, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ბევრი გამყიდველი საერთოდ უარს იტყვის გაყიდვაზე, მაგრამ მრავლად იქნებიან ისეთებიც, ვისაც ფული დასჭირდებათ და ბინების ძალიან იაფად გაყიდვა მოუწევთ.

**- რა ქნან მათ, ვინც სამსახური დაკარგა და ვეღარ იხდიან ფულს?**

- იმ ხალხმა რაღა ქნას, ვისაც არ აუღია კრედიტი და ახლა მის ხარჯზე, მის მიერ გადახდილი გასადასახადებით აპირებენ კრედიტების გასტუმრებას? არსებობს საკრედიტო ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ამ კრედიტების დაბრუნება. თუკი რაიმე შეღავათზე შეიძლება საუბარი, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბანკების კერძო ინიციატივა შეიძლება იყოს, მაგალითად, საკრედიტო დავალიანების რესტრუქტურიზაციის სახით.

**- რა ელის ლარს და დოლარს?**

- დოლარის ბედი წყდება ვაშინგტონში, სადაც საკმაოდ ენერგიული, მაღალი რანგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული და დიდი გამოცდილების მქონე ახალი ადმინისტრაცია მოვიდა. **რაც შეეხება ლარს, თუ გავიხსენებთ იმას, რაც გასული წლის 7 ნოემბერს მოხდა, როცა ხელოვნურად შეუწყვეს ხელი ლარის კურსის ნახტომისებურ ვარდნას, საბანკო სექტორში პანიკა გამოიწვიეს და ამაზე პასუხი არავის მოეთხოვა, უფრო მეტიც, ეს დღემდე გაპიარებულია როგორც კარგი ნაბიჯი, საკმაოდ დიდია ალბათობა იმისა, რომ ხელისუფლება ამას ისევ გაიმეორებს**

თუმცა, ობიექტურად, სავალუტო კრიზისის საშიშროება ქვეყანაში არ არის, იმიტომ რომ იმ თანხის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც დახმარების სახით უნდა შემოვიდეს, ეროვნული ბანკის რეზერვებში დაილექება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ქართული ლიტერატურული რეალობიდან: ჩვენში აბსოლუტურად უგულებელყოფილი იყო საავტორო სიმღერის ფორმა, ანუ იმხანად და საერთოდ, კარგა ხნით განვითარება ვერ ჰპოვა ბარდულმა პოეზიამ. ამ სფეროში, ასე ვთქვათ, მონოპოლია აღებული ჰქონდა ასევე ქართული კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლებს და პრაქტიკულად ქვეყანამ არ დაისაჭიროვა კარგად მივიწყებული აშუღური პოეზიის ტრადიციები. მაშინ, როცა რუსეთში ეს ნახევრადარალეგალური ლიტერატურულ-მუსიკალური ჟანრი განვითარებული და საკმაოდ პოპულარული იყო. მარტო ბულატ ოკუჯავას, ალექსანდრ როზენბაუმისა და ვლადიმერ ვისოცკის სახელები კმარა. მთელს საბჭოეთში მაგნიტო-ლენტებზე გიტარის თანხლებით მღეროდნენ ანტისაბჭოურ თემებზე, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში და მკაცრი კონტროლის ქვეშ. ამასთანავე მათი კონცერტები მთელს რუსეთში იმართებოდა სრული ანშლაგებით.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტორებს ეროვნულ მოძრაობასთან და რა ნეგატიური, თუ პოზიტიური როლი შეასრულა მისმა არგანვითარებამ საქართველოს რეალობაში?

ქართული მწერლობისა და ქართული მუსიკისათვის უცხოა ბარდული შემოქმედება ისევე, როგორც აშუღური პოეზია იყო ამოვარდნილი ერთიანი ეროვნული მწერლობიდან და მხოლოდ სპარსული ბაიათების ანარეკლად დარჩა ქართული კულტურის ისტორიაში. ვერც ღირებული შექმნა აშუღურმა პოეზიამ და იგი მხოლოდ ლოკალურად ტფილისურ მოვლენად დარჩა და ვერ ამაღლდა ზოგადქართულ ფენომენად. თვით იეთიმ-გურჯი სხვა არაფერი იყო, თუ არა მუშა-პოეტი და ე.წ. ,,მუშურ-გლეხური ხელისუფლების" მოსვლით აშუღურმა პოეზიამ თავისი დანიშნულება ამოწურა. იმედია, ასევე იქნებოდა ბარდული ხელოვნების დამკვიდრებითაც. და საერთოდ, ჩვენი მწერლობა, მიუხედავად მისი სოვეტიზაციისა, მაინც ერთიანი და განუყოფელი დარჩა. მაინც აჰერხებდა საბჭოთა პოეტი ირაკლი აბაშიძე პალესტინის რვეულების წერას და ამით საშვილთაშვილოდ დაემკვიდრებინა სახელი ქართული კულტურის ისტორიაში, მაინც აჰერხებდა საბჭოთა მწერალი ნოდარ დუმბაძე ცენზურისთვის გაეპარებინა ანტისაბჭოთა პასაჟები თავის რომანებში. ასე თუ ისე, იქნებოდა თუ არ იქნებოდა საქართველოს რეალობაში დისიდენტური ლიტერატურა, მას მნიშვნელოვნად არაფერი დააკლდებოდა, იგივე შეიძლება ითქვას დისიდენტური ლიტერატურის ბარდულ განშტოებაზე.

ჩვენ ლიტერატურით ღარიბი ერი არა ვართ, ჩვენ გვჭირდებოდა გაგვერღვია ინფორმაციული ვაკუუმი და კიდევ - ჩვენთვის კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა გაიგივებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან. რუსეთში კი არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ ბრძოლით იწყებოდა და მთავრდებოდა მთელი დისიდენტური მოძრაობა. სახაროვი იყო სწორედ ის კაცი, რომელმაც საქართველოს მცირე იმპერია უწოდა. ეს ის სახაროვი, თავგამოდებული დისიდენტი რომ იყო. უაზრობამდე მიდიოდა ჩვენი ფიცი-მტკიცი, ერეკლეს არ დაუთმია რუსეთისთვის თავისი სამეფოო, რუსთ-ხელმწიფის მანიფესტებზე და გეორგიევსკის ტრაქტატის სათანადო არტიკულებზე მითითებით. რუსებისთვის ეს იყო ის, რომ ჩვენ მივედით სათხოვნელად მათთან და საბოლოოდ გაჭრა ქართველთა ხვეწნამუდარამ და რუსეთმა გადაარჩინა დაქუცმაცებული და დაუძლურებული საქართველოები. სამაგიეროდ, ერეკლემ ეკატერინეს შთამომავლებს გადაულოცა თავისი ქვეყანაო. სხვა რომ გვემტკიცებინა, ყველაზე გონგახსნილი რუსისთვის, ჩვენგან მაინც უსაფუძვლო თავის მართლებად რჩებოდა.

ეს უბრალოდ რუსული სულის წარმოსაჩენად მოვიტანე.

ჩვენ ამდენად არ გვესაჭიროებოდა დისიდენტური ლიტერატურა. ჩვენგან განსხვავებით რუსეთში ეს მიმდინარეობა საჭიროც იყო და აუცილებელიც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირველყოვლისა ენობრივი ფაქტორი მოქმედებდა მკითხველი საზოგადოების მოსაზიდად, შემდეგ კიდევ მრავალმილიონიანი ქვეყნისთვის აუცილებელი იყო აზროვნების განვითარებისთვის ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი თვით ინტელიგენციას.

უხეშად რომ ვიანგარიშოთ, სტატისტიკური (ტერიტორიისა და მოსახლეობის არითმეტიკულ რაოდენობაზე დაყრდნობით) მონაცემების მიხედვით რუსეთში თუ ერთ მწერალზე დაახლოებით ასი მკითხველი მოდის, საქართველოში ერთ მკითხველზე ოთხი მწერალი მოვა. ამ პრიზმიდან თუ შევხედავთ საკითხს, შედარებისას უცნაური, მაგრამ ლოგიკურ დასკვნამდე მივალთ: საქართველოში ოთხი მწერალი ერთ მკითხველს ზრდის, ამ ერთ მკითხველს არჩევანის უფლება აქვს ან წაიკითხოს ყველა მათგანი, ან რომელიმე, ან არც ერთი. ამ შემთხვევაში სტილის მიხედვით მკითხველს შეიძლება ჩამოუყალიბდეს შესაფერისი გემოვნება. ამ ოთხი მწერლიდან ერთიც რომ იყოს დისიდენტი, უთანასწორობა აშკარა იქნება ერთის სამთან. მკითხველი ამ ერთს არ მისცემს სრულ საშუალებას განავრცოს თავისი შემოქმედება სრულმომცველობით, თუ არ გაითვალისწინებს იმ სამის შემოქმედებაც, რითაც ანალოგიურად იკვებება ეს მკითხველი. ნაკლებ სავარაუდოა, რომ არჩევანი გაკეთებულიყო, სახელდობრ, ამ დისიდენტზე. პრაქტიკულად არ არსებობდა ჩვენში მკითხველი, რომელიც ერთ ავტორს წაიკითხავდა და იმასაც დისიდენტს. ქართულ უკუთქმათა ლიტერატურას აუდიტორია არ ჰქონდა, ან უკეთეს შემთხვევაში მაღალი კონკურენციით გამოირჩეოდა. ამდენადაც უაზრობა იყო გამოყოფოდა დისიდენტური ლიტერატურა ერთიან ქართულ მწერლობას.

სხვა მდგომარეობაა რუსეთში: ერთმა მწერალმა, თუნდაც პროლეტმწერალი იყოს იგი და თუნდაც დისიდენტი, უნდა მოიცვას ასი მკითხველი. თუ შესძლო, ხომ კარგი, თუ არადა ნაშთი რჩება და საბოლოო ჯამში არითმეტიკული წონასწორობის მიხედვით რიცხობრივად მაინც ჭარბობს ქართველ მკითხველზე. მას ბარდული ლიტერატურაც ჭირდება და დისიდენტურიც, რათა ერის მასა არ მოწყდეს წიგნიერებას. რუსეთში მკითხველებსაც ახარისხებენ - ელიტარული, საშუალო ფენა და დაბალი ფენა. ლიტერატურული მასალის შერჩევისა და დიაპაზონის, თვით ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით იყოფა მკითხველი საზოგადოება ფენებად. ჩვენში ახლა შემოვიდა ეს განყოფა, კომუნისტურ ეპოქაში კი ქართველი მკითხველი (თუ ის მკითხველი იყო) კითხულობდა ყველაფერს, რასაც მიაწვდიდი, სხვა შემთხვევაში კი იგი რჩებოდა უწიგნურად. მაგრამ ჩვენთვისაც და რუსეთისთვისაც ლიტერატურული გემოვნების გადახალისება და სიახლის ძიება ცხოველმოქმედებდა და ემიგრაციასთან ურთიერთობაში ვეძებდით იმ მუხტს, რაც აკრძალული, მაგრამ მშობლიური იყო.

### 9. მეგობრები, მტრები, მოკავშირეები და შემოგზავნილები

უნდა ითქვას, რომ აქ კონკრეტულ პიროვნებებზე კი არა, არამედ საზოგადოებრივ მოვლენებზე გვექნება საუბარი, არათუ ზვიადისა და მერაბის მეგობრებსა და მტრებზე (და ა.შ.), არამედ ზოგადად ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტერ-მოყვრებზე.

მაშ ასე:

უპირველეს მეგობრებად შეიძლება ჩაითვალოს ამ მოძრაობის დისიდენტური ფრთის თვით მონაწილენი და თანამშრომლები, რომლებმაც დროთა განმავლობაში განიცადეს განბრძნობის, ანუ როგორც ზვიადი იტყოდა, ინიციაციური პროცესი. ყველამ საბოლოო ჯამში საკუთარი ადგილი ნახა ცხოვრებაში. ასე თუ ისე, 70-იან წლებში მათი გზა გადაიკვეთა და შემთხვევით და საგანგებოდ შეკრებილი ადამიანები ქმნიან ადამიანთა უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს და მჭიდროდ თანამშრომლობენ რუსეთის დისიდენტურ წრეებთან. თავიანთ თვითგამოცემით ბუკლეტებში ამხელენ საბჭოთების ბოროტ საქმეთა ისტორიული წარსულის ქრონიკას, თუ თანამედროვეთა მუხთლობა-სივერაგეს. მკითხველი საზოგადოების ვიწრო წრისთვის ცნობილი გახდა 1956 წლის 23-30 ოქტომბრის უნგრეთის შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ზოგიერთებისთვის ფარდა აეხადა იმრე ნადის მოღვაწეობის ტაბუირებულ მონაკვეთს. აგრეთვე თვალი აუხილეს გამარჯვებული საბჭოთა არმიის შესახებ, თუ როგორ უმოწყალოდ ჩაახშვეს საშვიდნოემბრო დღესასწაულისათვის (4 ნოემბერს) უნგრეთის ანტისაბჭოთა ამბოხი. ანალოგიურად რეპუტაციაშერყეულმა საბჭოთა არმიამ დაარბია 1968 წლის 20 აგვისტოს მოსახლეობის მღელვარება. და მიზეზი - 1968 წლის 27 ივნისს ჩეხოსლოვაკიის პარლამენტმა ქვეყანაში გააუქმა ცენზურა და გამოაცხადა პოლიტპატიმართა რეაბილიტაცია. ამით დაიწყო ,,პრაღის გაზაფხული", რომელიც სისხლში ჩაახშო წითელმა არმიამ (სადამსჯელო ეგზეკუციას ხელმძღვანელობდა სუკის გენერალი და მომავალში სსრ კავშირის გენერალური მდივარი იური ანდროპოვი). ქართველი მკითხველისათვის პირველად გახდა ცნობილი ვაცლავ ჰაველის (ჩეხეთი), ლეხ ვალენსასა (პოლონეთი) და ვიტაუტას ლანდსბერგისის (ლიტვია) სახელები.

მკითხველი საზოგადოება, ვისაც წრფელად მიჰქონდა გულთან დისიდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და შეავსო რკინის ფარდის მიერ შექმნილი ვაკუუმი, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი გამთვითცნობიერებლის მიმართ როგორც მორალურად, ასევე ქმედითად და თავადვე საკუთარ თავზე იწვნია ამ ერთგულების ფასი (ყველანაირი მეთოდით, თვით ფიზიკური განადგურების ფასად). ასევე მეგობრად და წინამძღვრად შეგვიძლია ჩავთვალოთ სამღვდელოება, სწორედ ისინი, ვინც არ იყო ვერბირებული საბჭოთა საიდუმლო პოლიციის მიერ. ქართულმა სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შეიფარა დევნილნი სიმართლისათვის. ეკლესიის წიაღში იზრდებოდა ახალი თაობა, რომელიც დაადგებოდა მომავალში პოლიტიკური მოღვაწეობის გზას. ეკლესიის წიაღშივე და მოძღვართა ხელშეწყობით საზოგადოებას აწვდიდნენ თეოლოგიურ ლიტერატურას (და არა ღვთისმეტყველურს, ამის თაობაზე ზემოთ უკვე მქონდა გაკეთებული მინიშნება - მ.ბ.). ქართულ თვითგამოცემებში და ოფიციალურ პრესაში გამოდის კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების საპროტესტო წერილები დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად და საერთოდ საზღვრისპირა რაიონებში არსებულ ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობის შესახებ (უპატრონობა-მოუვლელობის გამო). ეკლესიის აქტიური მრევლი იმთავითვე ყველაფრის საქმის კურსში იყო ჩაყენებული. შემოგზავნილთა უმეტესობაც და მეგობართა წრის გაფართოება მათ ხარჯზე მოხდა. ეკლესია სრულად დაცული მაინც არ იყო, რადგან თვით ეკლესიასაც უთვალთვალებდა საბჭოეთის მესვეურები და აგენტურის მეშვეობით აკონტროლებდა ამ ნახევრადლეგალურ სტატუსში ჩამდგარ საადმსარებლო დაწესებულებას. სანდო არ იყო არც მღვდელი, არც მრევლი. ეს უკულმართობა ზვიადმა ამხილა ლექსით ,,ქაბავაზაკი", სადაც დაგმობილი იყო სამღვდელოების მხრიდან წმიდა საიდუმლოთა უხეში დარღვევის ფაქტები ზოგად კონტექსტში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის მეგობართა წრესა და დასაყრდენს ეძებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საიმედო წრეშიც. უნივერსიტეტის ძირითად ბირთვს, მართალია, წითელი პროფესურა წარმოადგენდა, მაგრამ არსებობდა ფაკულტეტები, სადაც თავისუფლად და შეუზღუდავად შეიძლებოდა საუბარი საქართველოს ისტორიიის, ინტელექტუალური პოტენციალის, სულიერი მისიისა და სხვა აკრძალულ და აუკრძალავ საკითხებზე, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდა მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკურ მატერიალიზმთან და ამავდროულად არ ასცდენოდნენ დაწესებულ ჩარჩოებს. ამ მიზნით დისიდენტური მოძრაობა ამერიკანიზაციის აქტიურ პროპაგანდას ეწევა, რადგან იმ პერიოდში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარმოებდა ცივი ომის პოლიტიკა და მხოლოდ ამიტომ იკრძალებოდა ყველაფერი ამერიკული. მათ საწინააღმდეგოდ ზვიად გამსახურდია თარგმნის ამერიკელ პოეტთა ლექსებს და მას აძლევს მცირე ანტოლოგიის ფორმას და ურთავს ცალკე ბროშურად მონოგრაფიულ გამოკვლევას ამერიკული პოეზიის თავისებურებათა შესახებ; ითარგმნება კარლ სენდბერგის ბიოგრაფიული რომანი აბრაჰამ ლინკოლნის შესახებ.

რაც შეეხება მოკავშირეებს: პირველი და უშუალო მოკავშირეები იყვნენ მოსკოველი და ლენინგრადელი დისიდენტები, რომელთანაც აქტიური თანამშრომლობა ჰქონდათ ქართველ დისიდენტებს და მათი თვითგამოცემების სარედაქციო წევრები იყვნენ. ეს გამოცემები იყო ,,Хроника текущих событий" (1970) და ,,Хроника защиты прав в СССР" (1974).

ზვიადსა და მერაბს მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ აკადემიკოს ანდრეი სახაროვთან, რაც საბოლოო ჯამში მეგობრობად აღარ გაგრძელდა. ეს ურთიერთობა მხოლოდ მოკავშირეობა იყო, რადგან მათ იმ მომენტისთვის ერთი მთავარი მტერი ჰყავდათ, - საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი მონსტრი-მანქანა. მოგვიანებით ამ ,,მანქანის" დემონტაჟის შემდეგ სახაროვისა და გამსახურდიას გზები გაიყარა (მ. კოსტავა უკვე გარდაცვლილი იყო) ისევ და ისევ ეროვნულობის ნიადაგზე, რადგან რუსული დისიდენტური მოძრაობა ქართულისგან განსხვავებით, ებრძოდა მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ რეჟიმს და არ განიხილავდა ერთა თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის აუცილებლობას. ამით სახაროვ-ბონერის კლანი აშკარად და დაუფარავად დაუპირისპირდა და მეტიც, გადაემტერა პირადად ზვიად გამსახურდიას პერსონას. მათი გამონათქვამი - ,,საქართველო მცირე იმპერიააო," - საქართველოს მტრებმა ლოზუნგად აქციეს საქართველოსვე საწინააღმდეგოდ საომრად. ტალღის ქაფივით გაიპარა ყოველგვარი კავშირებიც ი. შაფარევიჩთან, ალ. გინზბურგთან, ა. ტვერდოხლებოვთან და სხვებთან.

მაგრამ ყველაფერი ეს მოგვიანებით მოხდება.

მანამდე კი უმძიმეს 70-იან წლებში ყველა ესენი გვერდი-გვერდ მტკიცედ თანამშრომლობდნენ. 1974 წელს დასავლეთში გამოიცა ალ. სოლჟენიცინის ,,გულაგის არქიპელაგი",რომლის რამდენიმე ეგზემპლარი საქართველოშიც ჩამოიტანეს და დაიწყეს მისი ქართულ ენაზე თარგმნა და არალეგალურად გავრცელება. 1975 წლის აპრილში ვ. ტურჩინმა და ა. ტვერდოხლებოვმა ჩამოაყალიბეს ,,საერთაშორისო ამნისტიის" მოსკოვის ჯგუფი. ეს ორგანიზაციაც აქტიური მოკავშირე ხდება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ისინი რეგულარულად ბეჭდავენ საქართველოს სსრ-ში არსებულ პენიტენციალური სისტემის მამხილებელ დოკუმენტებს.

1975 წლის 1 აგვისტოს ხელი მოეწერა ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნით აქტებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირის მხრიდან ამ დოკუმენტებზე ხელს ქვეყნის მეთაური ლეონიდ ბრეჟნევი აწერდა. ამით საბჭოეთმა ვალდებულება აიღო ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული პროცესების წარმართვაში ყოველმხრივ ხელშეწყობის შესახებ. ამ ხელმოწერის საფუძველზე 1976 წელს მოსკოვში აკად. ი. ორლოვი აყალიბებს ჰელსინკის ხელშეკრულებათა საშემსრულებლო ჯგუფს. ეს ორგანიზაციაც ერთ-ერთ უმთავრეს მოკავშირეთაგანი გახდა ქართველი დისიდენტების. ანალოგიური ჯგუფი იქმნება საქართველოშიც, რომელიც რუსულთან კავშირში ერთიანი ფრონტით ებრძვის ადამიანთა უფლებათა დარღვევას და ამხელენ ყოველ შემთხვევას.

ამ მიზნით საქართველოში გამოდის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟურნალი ,,საქართველოს მოამბე" (რედაქტორი ზვიად გამსახურდია, გამოვიდა სულ 2 ნომერი). ამ ჟურნალში დაიბეჭდა მასალები ფაშისტური გერმანიის არმიაში მომსახურე ქართველი გენერლის შალვა მაღლაკელიძის შესახებ. ადვილი წარმოსადგენია, რა დონის სკანდალს მოახდენდა ამ მასალის გამოქვეყნება მაშინ, როცა თვით მოსახლეობისთვისაც ჰიტლერი და ფაშიზმი კაციჭამიობასთან იყო გაიგივებული. იქამდე, დღესაც ბევრთათვის გაუგებარია როგორ შეიძლებოდა ფაშიზმისა და მის მსახურთა აპოლოგია, თუნდ გამამართლებელ საბუთთა მოხმობის გზით.

ერთიც უნდა ითქვას ამ გაზეთთან მიმართებაში: ქართველი დისიდენტები ყოველმხრივ ილიას ნაკვალევზე იყვნენ დამდგარნი, თვით ჟურნალის სათაურიც მოწმობს ამ ფაქტს (Note Bene: 1863-64 წლებში ილიამ დაიწყო თავისი მოღვაწეობა ჟურნალ ,,საქართველოს მოამბის" გამოცემით. ეს იყო თერგდალეულთა თაობის გამოცემა, რომელიც აშკარად დაუპირისპირდა ,,მამათა თაობას". ილიას პირველივე მოწინავე სტატია (,,ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან ,,შეშლილის" თარგმანზედა") სკანდალითა და დუელში გამოწვევით დასრულდა. ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანგრძლივ პროცესს. ანალოგიური შეიძლება ითქვას ზვიადისეულ ,,საქართველოს მოამბეზე", რომელიც გამოვიდა 1976 წელს დროის ცვლილებების გათვალისწინებით).

საბჭოთა კავშირის გარდა, საქართველოს და ზოგადად საბჭოურ დისიდენტურ მოძრაობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამოუჩნდნენ მხარდამჭერები და თანამშრომლები. ისინი ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ ნებისმიერ ანტისაბჭოურ გამოვლინებას საბჭოთა კავშირის ფარგლებში. დისიდენტები რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას საზღვარგარეთს, ისინიც გადასცემდნენ მთელს მსოფლიოს მოწოდებულ ინფორმაციას. ასეთთა რიცხვში შედიოდა რადიოსადგურები ,,ამერიკის ხმა" და ,,თავისუფლება", ტელეკომპანიები BBC და CNN, პრესის ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიც არის ,,ვაშინგტონ პოსტი", ,,ნიუ იორკ თაიმსი" და სხვები.

ამერიკული, ინგლისური, ფრანგული და დასავლეთ გერმანული პოლიტიკური წრეები სამართლებრივ ზეწოლას ახდენდნენ საბჭოთა მთავრობაზე, რათა მას ჰელსინკში აღებული ვალდებულება პირნათლად შეესრულებინა, იქამდე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენებმა საბჭოთა დისიდენტების ჯგუფი (მათ შორის ზვიადი და მერაბი) წარადგინეს ნობელის პრემიაზე. ამით შტატების ხელისუფლება წინ აღუდგა სკკპ-ის პოლიტბიუროს განზრახვას ფიზიკურად გაენადგურებინათ დისიდენტები.

რაც შეეხება შემოგზავნილებს, ამ მხრივ სუკი ყველაზე წარმატებულად მუშაობდა. დისიდენტთა წრეებში შეგზავნილთაგან ნომერ პირველად ითვლებოდნენ მერაბ კოსტავას მეუღლე - რუსუდან ბერიძე და ზვიად გამსახურდიას მეორე მეუღლე (მოგვიანებით ქვრივი) მანანა არჩვაძე. ამის მერე თანამებრძოლეებსა და მეგობართა შორის რომ ყოფილიყო ერთი შემოგზავნილიც კი, გამორიცხული არაა. სადაც კი უხდებოდათ მათ მოღვაწეობა და ვისთანაც უწევდათ ურთიერთობა, ყოველ სამ კაცში ორი – პოტენციური დამსმენი და სუკის აგენტი იყო, თუ სამივე არა. ისინი უმეტესწილად უხილავ მტრებად რჩებოდნენ გარკვეული დროით. ხილული მტერი კი საქართველოს ყველა დამპყრობელი და ავის მდომი იყო (და არის დღესაც).

### 10. ქრონიკები XXI საუკუნის ჩანასახისა მცირე კოლაჟის სახით

,,პრაღის გაზაფხულმა" (1968 წლის 27 ივნისი – 20 აგვისტო) სათავე დაუდო XXI საუკუნეს, რასაც მოჰყვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენები:

იმავე წლის 3 მაისიდან 17 ივნისამდე პარიზში სტუდენტური მღელვარება და გაფიცვები იმართება, ცოტათი ადრე შტატებში მოკლულ იქნენ მარტინ ლუთერ კინგი და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი რობერტ კენედი;

1 ივნისს სსრ კავშირმა, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და სხვა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა პაკეტს, რომელიც კრძალავდა ბირთვული იარაღის გავრცელებას;

1969 წ. - ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩაღდება ომი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. ირლანდიის რესპუბლიკური არმია იბრძვის ბრიტანეთისგან დამოუკიდებელი ერთიანი ქვეყნისათვის;

ჩეხოსლოვაკიაში ალექსანდრე დუბჩეკის მთავრობის სანაცვლოდ, რომელმაც ქვეყანაში ნება დართო სიტყვის თავისუფლებას და მხარს უჭერდა სსრ კავშირის გავლენის სფეროდან გათავისუფლებას, ფორმირდება მოსკოვის მიმართ ლოიალური მთავრობა;

აშშ-მა კოსმოსში გაუშვა რა ,,აპოლონ 11", აღწევს მთვარის ზედაპირს, კოსმონავტი ნილ არმსტრონგი პირველი ადამიანი ხდება, რომელმაც ფეხი დაადგა მთვარეზე;

სტუდენტური მღელვარების შედეგად საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა შარლ დე`გოლი;

1970 წ. - ჩილე ხდება კომუნისტური გავლენის ქვეყანა, ხელისუფლების სათავეში მოდის რა კომუნისტი სალვადორ ალიენდე;

1971 წ. - ყალიბდება მეგობრული ურთიერთობა ჩინეთსა და აშშ-ს შორის;

ჩრდილოეთ ირლანდიაში ინგლისელი ჯარისკაცები კლავენ 23 კათოლიკე ირლანდიელს;

1973 წ. - 8 იანვარი – ,,უოტერგეიტსის საქმეზე" სასამართლო პროცესის დასაწყისი;

11-12 სექტემბერი – სახელმწიფო გადატრიალება ჩილეში, რომლის დროსაც იღუპება პრეზიდენტი ს. ალიენდე, ამ გადატრიალების შედეგად სახელმწიფო სათავეში მოდის გენერალი აუგუსტო პინოჩეტი;

1974 წ. - აგვისტო -აშშ-ში იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადადგა პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ,,უოტერგეიტსის საქმესთან" დაკავშირებით, რომელიც ემუქრებოდა პრეზიდენტს პოლიტიკური სკანდალით;

კიპროსის ჩრდილოეთ ნაწილს სამხედრო კონფლიქტის გზით ეუფლება თურქეთი;

ეთიოპიაში კომუნისტები ამხობენ იმპერატორ ჰილე სელასსიეს;

1975 წ. - 17 აპრილი - ,,წითელმა კხმერებმა" დაიკავეს პნომპენი და მთელი კამბოჯა, რითაც სათავე დაედო საკუთარი ერის გენოციდს; კომუნისტების სრული კონტროლის ქვეშ ექცევა ვიეტნამის მთელი ტერიტორია;

ესპანეთში გარდაიცვალა ესპანეთის დიქტატორი გენერალი ფრანსისკო ფრანკო;

1976 წ. - ჩრდილოეთი და სამხრეთი ვიეტნამი გაერთიანდა კომუნისტურ სახელმწიფოდ;

ჩინეთში გარდაიცვალა თავმჯდომარე მაო;

1977 წ. - ჩეხოსლოვაკიაში იფეთქა მღელვარებათა ახალმა ტალღამ საბჭოეთის კოლონიური ჩაგვრის გამო, ამ მღელვარებას კი მოჰყვა დაპატიმრებები და რეპრესიები;

1978 წ. - მემარცხენე ტერორისტულ დაჯგუფება ,,წითელი ბრიგადების" მიერ იტალიაში მოტაცებულ და შემდეგ მოკლულ იქნა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალდო მორო;

1979 წ. - ირანში დამხობილ იქნა შაჰის ხელისუფლება და 16 იანვარს იგი ოჯახთან ერთად გაიქცა ქვეყნიდან, ხოლო 1 თებერვალს აიათოლა ჰომეინი თხუთმეტწლიანი ემიგრაციიდან ბრუნდება ირანში და აყალიბებს ირანის ისლამურ რესპუბლიკას;

25 დეკემბერი - საბჭოთა შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ავღანეთში და გაჩაღდა ავღანეთის ომი;

1980 წ. - თურქეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, ხოლო ირანი ომში ერთვება ერაყთან;

პოლონეთში იქმნება დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაცია ,,სოლიდარობა" ლეხ ვალენსას მეთაურობით;

იუგოსლავიაში გარდაიცვალა პრეზიდენტი იოსიფ ბროზ ტიტო, ამასთანავე კომუნისტური მმართველობა აწყდება რეგიონულ მხარეთა დამოუკიდებლობის მოთხოვნებს;

1981 წ. - გენერალმა ვოიცეხ იარუზელსკიმ პოლონეთში შემოიღო საგანგებო-სამხედრო მდგომარეობა, რათა ჩაეხშო პროფკავშირელთა წინააღმდეგობა;

1982 წ. - 2 აპრილი - 14 ივნისი - ინგლის-არგენტინის შეიარაღებული კონფლიქტი ფოლკლენდის კუნძულებისათვის;

8 ოქტომბერი - პოლონეთის სეიმმა მიიღო კანონი დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაციის ,,სოლიდარობის" აკრძალვის შესახებ;

10 ნოემბერი - გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი, რომელიც შეცვალა იური ანდროპოვმა;

31 დეკემბერი – პოლონეთში შეჩერებულია სამხედრო მდგომარეობის მოქმედება;

1983 წ. – კარიბის აუზში აშშ შეიჭრა კუნძულ გრენადაზე;

პოლონეთში გაუქმდა სამხედრო მდგომარეობა და გამოცხადდა პოლიტპატიმართა ამნისტია;

1984 წ. - 9 თებერვალი - გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იური ანდროპოვი, რომელიც შეცვალა კონსტანტინე ჩერნენკომ;

31 ოქტომბერი - სიკხელი სამხედროების შეთქმულების შედეგად საკუთარ აპარტამენტებში საკუთარივე დაცვის მიერ მოკლულ იქნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი;

1985 წ. - 11 მარტი - გარდაიცვალა კონსტანტინე ჩერნენკო და საბჭოთა ხელისუფლების სათავეში მოდის მიხეილ გორბაჩოვი, რომლის სახელს უკავშირდება საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი ძვრების დაწყება, რამაც მსოფლიო აზროვნება და მენტალიტეტი ძირეულად შეცვალა. ამ ფაქტობრივმა მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა და ერთობ დააჩქარა მსოფლიო ამერიკანიზაციის გლობალური პოლიტიკური პროცესი. გორბაჩოვისეული ,,პერესტროიკის" უშუალო შედეგი იყო ამერიკული ჰეგემონიის მსოფლიო ეპოქის დასაწყისი.

ეს მსოფლიო მოვლენათა მცირე კოლაჟია, რომელიც სადღეისოდ თითქმის ყველა სახელმძღვანელოშია მოცემული, ხოლო თავის დროზე ფართოდ აშუქებდა მათ როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოები.

ამ ქრონოლოგიურ, ერთის მხრივ მშრალ ინფორმაციებში იმალება უდიდესი ჭკუის სასწავლი გაკვეთილები მომავალი პოლიტიკოსებისათვის. მათში ნათლად ჩანს საით მიდიოდა მსოფლიო და რა ორიგინალური გზებით. აშკარად იხატება ზესახელმწიფოთა მიდრეკილებანი სახელმწიფო გადატრიალებათა ინსპირირებაში.

საბჭოეთიდან, რაც საჭირო იყო, ის გადიოდა ოფიციალური არხებით, რაც არა და, საგანგებოდ ახშობდნენ და ჩქმალავდნენ. ასევე რაც სჭირდებოდა პოლიტიკას და იდეოლოგიას, ის შემოდიოდა, რაც არა და, იმას ან ახშობდნენ, ან დამახინჯებული ინტერპრეტაციით შემოდიოდა, ანუ ნახევარსიმართლე.

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი თავის თვალსაწიერის არეალში მიმდინარე ყოველდღიურ ცნობებში ვერ ზრდიდა საკუთარ თავს მსოფლიო პოლიტიკურ ორბიტაზე გასასვლელად. გასათვითცნობიერებლად მოკავშირეებადწოდებული ზესახელმწიფოები თავიანთ მზაკვრულ გეგმებს არ გაუმხელდნენ, ბუნებრივია, თავის მომავალ მსხვერპლს, TACC-ის ინფორმაციებს კი არ ენდობოდნენ. ერთია, რომ ქართველმა დისიდენტებმა ვერ განივითარეს შინაგანი ალღო, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში, რომ ,,რკინის ფარდის" დამხობის შემდეგ რა მონსტრთან ექნებოდათ საქმე. ამას კი თვალნათლივ ღიად და დაუფარავად ყოველდღიურ საინფორმაციო პროგრამებში ,,Время", ,,Новости", ,,მოამბე" და სხვებში ამხელდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა.

გაიგონეს, მაგრამ არ შეისმინეს, რადგან არ ენდობოდნენ.

ესმინათ და საკუთარი შინაგანი რწმენის შეესმინათ... ამის პოლიტიკური უნარი არავის არ ეყო. ერთის სიტყვით, ქართველი დისიდენტები საკუთარ ნაჭუჭში, ზოგიც სუკის ჯურღმულებში ჩაკეტილები სულ მალე გამოვლენ სამზეოზე და არათუ თითო ოროლა კაცთან გადაჩურჩულებით, მთელს ერს ღიად დაელაპარაკებიან. სწორედ ეს იყო მოულოდნელი მათთვის.

### 11. და მაინც ყველაფერი დაიწყო ილია ჭავჭავაძით

1987 წელს საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი. ოფიციოზიც და არაოფიციოზიც ყველანი გადართულიყვნენ ამ თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად. დაიწყო გამოცემა ილიას თხზულებათა ოცტომეულის, იბეჭდება სპეციალური საზეიმო ბუკლეტები და გაზეთები, იმართება სამეცნიერო კონფერენციები, ეწყობა საზეიმო ღონისძიებები მთელს საქართველოში, დაარსდა ილიას სახელობის პრემია. ერთის სიტყვით, ერიც და ბერიც ცდილობდა ღირსეულად შეხვედროდა ამ დღესასწაულს. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და ეწოდა მას წმიდა ილია მართალი. პროფესორმა გურამ შარაძემ გამოსცა აკადემიურად ილუსტრირებული ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნაშრომის ორტომეულის პირველი ტომი (მოგვიანებით გამოიცა მეორე ტომიც). ამ წიგნში სრულმომცველობით განხილული იყო ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცნობილი და უცნობი მასალები. წიგნი გამდიდრებული იყო ფოტომასალებით.

**მ. ბეჟანიშვილი**

**(დასაწყისი „მამული" №51-52, გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**შემდეგ ნომერში: პირველი ქართული დიადი რევოლუცია: 1989 წლის 9 აპრილი**

# ფორტუნა და ფიასკო



# პოეზია „მამულში”
შოთა ნიშნიანიძე

## ბავშვები
სახლში თამაშობენ,
კარში თამაშობენ,
რა ქნან, თამაშია მთავარი.
სიზმრებში ცხოვრობენ,
ზღაპრებში ცხოვრობენ,
ცხოვრებაც ჰგონიათ ზღაპარი.
მხოლოდ ისინია, მხოლოდ ისინია
ჩვენი ხალისი და მიზნები,
ეზოში დარბიან, ხტიან, იცინიან
ჩვენი ახდენილი სიზმრები.
ფერადი ჩიტები,
ფერადი აფრები,
როგორც სიზმარში და ზღაპარში,
მხოლოდ სიმღერები
და მხოლოდ ზღაპრები
და მხოლოდ თამაში,
თამაში.
დაე, გაიზარდონ,
გაიგონ მთავარი,
გაიგონ რისი ვართ ყაბული,
თუმცალა ცხოვრება
არ არის ზღაპარი,
მაგრამ შესაძლოა -
გავხადოთ ზღაპრული.

## კაცია და გუნება
ფრინველებში შაშვი მიყვარს,
შაშვი მებულბულება.
ბულბულს შაშვი მირჩევნია,
კაცია და გუნება.
ახ, გიტარავ, შენ მომიკვდი,
რაღა მერანუნება...
მაინც ყველას მირჩევნიხარ...
კაცია და გუნება.
კვიცივით ხტის ნორჩი გოგო,
ან რა დაეწუნება,
ზოგს კი ბანოვანი მოსწონს,
კაცია და გუნება.
ვშლი დიდებულ უცხოელებს,
სხვაც ბევრია ცდუნება,
ფშაველა კი ცეცხლს მიკიდებს,
კაცია და გუნება.
ბედნიერ კაცს ეჭვით ვუმზერ,
განა გამეტყუნება?
გულმოკლული უფრო მიყვარს,
კაცია და გუნება.
თავო ჩემო, რაც ხარ ეს ხარ...
ვერ გადახვალ ბუნებას,
ზოგი გმტრობს და ზოგს უყვარხარ,
კაცია და გუნება

* * *

ერთი პატარა გოგო მიყვარდა,
როგორც იყო და არა იყო რა,
მისმა ალერსმა გადამიყოლა,
მისმა ფერებამ გადამიყოლა.
როგორც ვაკოცე ან რა ვუთხარი,
ყველას უამბო თურმე სულელმა,
ვერაფერს გავხდი ხვეწნა-მუდარით,
მე მამტყუნებდა მერე სუყველა.
პატარას კარგი დედა ჰყოლია,
თურმე მის გაზრდას გადაჰყოლია,
მაგრამ იმ ბავშვთან რომ დამშორა,
დედამისს გული არა ჰქონია.
ერთი პატარა გოგო მიყვარდა,
ერთი პატარა, ჩია გოგონა,
ჩემი ოცნების ციცინათელა,
ჩემი ბავშვობის ჭიაკოკონა.

## ბონდის ხიდი
აქ ტირიფების თეთრი ფეხებით
აპრილმა ბევრჯერ გადაირბინა.
ეს მერამდენედ ყელზე მეხვევა
ჭალიკონი და ჭალა ბიბინა.

გადაირბინა ამ ბონდის ხიდით,
გადაირბინა ჩემმა ბავშვობამ
და მოგონებებს, ტანზე რმო ვიხდი,
არ უწერია მზეზე გაშრობა.

მწვანე ჭალიკონს სუნთქავს ხეობა
და ქარაფებზე ბონდი ქანაობს,
თითქოს ლამობდეს მასზე შეხტომას
მზე, ჰორიზონტი, ტყე და სანაო.

აქედან მოჩანს ზღვა და არყნარი,
სივრცე უჩარჩო, ცა უარშიო.
ქანაობს ბონდი, თითქოს მერყეობს,
მიწა არჩიოს თუ ცა არჩიოს?

ვინც განიცადა სიმაღლის შიში,
მას არად ულირს ყოფნა ურისკოდ,
იმ სულზე უკეთ არავინ იცის,
სიმაღლე სიღრმეს როგორ
გულისხმობს.

ო, ბოდის ხიდო, აქედან ვხედავ
გავლილი გზების სიგრძე-სიგანეს...
რომ დავბერდები, ამოვალ შენთან
და ბავშვობაში გადამიყვანე.

## პატარა გოგოს მამიკო უყვარს...
- რა მომიტანე, - წივის, კისკისებს,
მიჩხრეკავს ჯიბეს ჩვეულ ლაღობით
და კონწიალობს ყელზე, კისერზე,
როგორც მშობლიურ ტოტზე ნაყოფი.

პატარა გოგოს მამიკო უყვარს...

ვინ რას დაუშლის პაწაწა თითებს,
ბუნჩულა თითებს, საყვარელ თითებს
და რას არ ითმენს, ო, რას არ ითმენს
მამიკოს ქუდი, მამიკოს მხრები,
მამიკოს თმები (თუ ჰქვია თმები).

პატარა გოგოს მამიკო უყვარს...
ან რა სჯობია მამასთან თამაშს,
მამიკო გოგოს აცინებს მუდამ,
ბავშვის გალახვა არ იცის მამამ,
ბავშვმა რაიმე გატეხოს თუნდაც.

დარიალებენ აქეთ და იქით,
თამაშში ნეტა რა არის ცუდი?
ვეღარ მონახა მამიკომ წიგნი?!
ვერსად იპოვა მამიკომ ქუდი?!

- მამიკო მიდის!
- მამიკო მიდის?
ატეხავს განგაშს ხმა მოტიტინე
და იმუქრება პაწია თითით:
- მეც წამიყვანე, თორემ ვიტირებ...
პატარა გოგოს მამიკო უყვარს...

* * *

არბევენ სოროს თუ ჩიტის ბუდეს -
ვიღაც აგრძელებს ცოდვას გუშინდელს.
დედამიწაზე არ არის წუთი
სადღაც ვიღაცას რომ არ უჭირდეს.
კაცო, ცხოვრებას ნუ გალევ ფუჭად,
ვიღაცის მაინც იყავი მხსნელად,
სადღაც ვიღაცას ყოველთვის უჭირს,
სადღაც ვიღაცა მოითხოვს შველას.

* * *

ძლივს შემჩნვიე... და მტუქსავ თითით:
„არ შეიძლება... აკრძალულია"...
თურმე შეჩვევა ყველაზე დიდი,
ყველაზე სანდო სიყვარულია.

შენი ჩურჩული მე შევიყვარე,
როგორც ოჯახის დიდი ნუგეში,
შენი ჩურჩული არხევს ჭიჭვნარებს,
ბალახად წვება ჩიტის ბუდეში.

მე შენს ჩურჩულში ვარ შეყუჟული,
მთვრალი ვარ შენით და საღამოთი
და მეჩვენება, შენი ჩურჩული,
სადღაც, ბუხარში, კვამლად ამოდის.

მეხვევა ეგ ხმა, როგორც ვენახი
და რას აღმითქვამს, მინდა გავიგო.
მაგ ჩურჩულიდან ვიღაც მეძახის
გაუბედავად: „მამა... მამიკო..."

ძლივს შემჩნვიე... და მტუქსავ თითით.
„არ შეიძლება... აკრძალულია..."
თურმე შეჩვევა ყველაზე დიდი,
ყველაზე სანდო სიყვარულია.

* * *

აქ ოდესღაც ზეციური გზა გაყვანილა:
წყალწითელა... მოწამეთა... მწვანეყვავილა...
ეს ადგილი ქვეყნის ჭიპი, ქვეყნის ძირია,
წყალია თუ ჰაერია - სხვანაირია.
ამ ადგილას ფეხშიშველას
ბევრჯერ მივლია,
ამ ადგილას ცად აფრინდე -
სულ ადვილია.
ეს ყაყაჯვი, ეს სიცილი, ეს კილოკავი
სულ სამოთხის ჩიტებია სულში მგოგავი.
ამ ადგილას ცა იხსნება ყოველ კვირადღე,
ყველაფერი აგიხდება, რასაც ინატრებ.
ჩუ-ჩუ! გალობანი ესე საცნაურია,
ნუთუ „შენ ხარ ვენახია"?! სასწაულია.
. . . . . . .
ამ ადგილას ცა იხსნება ნათურინჯალი,
საქართველოს ეწერება უფლის პირჯვარი...

* * *

გაწვიმდება ისევ ერთ დროს,
კვირტებს შეხსნის მიკუნჭულებს,
ეს წვიმა და ეს ფოთოლი
ისევ ისე იჩურჩულებს.
ისევ მოვა ის გოგონა, დედას გამოეპარება,
ასე ძვირად რომ დაუჯდა ერთი ბიჭის
შეყვარება.
მოვა გოგო შენნაირი, იისთვალებდანამული,
მოვა ბიჭი ჩემნაირი, სიმღერა და სალამური.
შეაერთებს გულთაცემას
შეხვედრა და გარინდება,
მაგრამ მე ის არ ვიქნები
და ის გოგოც სხვა იქნება.

* * *

ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დავრჩით.
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.

მე, შენ და ბავშვი ოქროს სიზმრებად
და ოცნებებად დავიხარჯებით,
ჩვენ გავმრავლდებით და გავიზრდებით,
მოემატება სახლს კარ-ფანჯრებიც...

კარს სახელურად სტუმრის ხელი აქვს,
პატიოსნება ურდულად ადევს
და ჩვენს სუფრაზე თუ გვიმღერია,
მეზობლის ბანიც ასულა ცამდე.

ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დავრჩით.
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.

## მე და შენ
მე ასე მგონია, ლერწამი ვიყავი,
ვამბობდი სიმღერებს, ცის მადლით ცხებულს,
მე ვიყავ ლერწამი, შენ კიდევ ნიავი
და თბილი ღუღუნით მივსებდი სხეულს.

და როცა ჟამთასვლამ ცვლილება გვარგუნა
და მიწად ვიქეცით როცა,
მე ვიყავ ბალახი - შენ ჩემი შხაპუნა,
ცრემლებით, სიცილით გიყვარდა მოსვლა.

მე ასე მგონია, ჩიტებიც ვიყავით
და გზებზე ვფანტავდით ბარტყებს
და სიზმრებს.
ბევრჯერ გადავლახეთ სიკვდილის სიავე
და ჰა, ერთმანეთი მოვძებნეთ ისევ.

გიყურებ, გისმენ და მტეხს გულისფიცარი,
რაღაც მაგონდება, ვით შორი სიზმარი -

თითქოსდა ხილვებით ნათდება უკუნი,
ირღვევა ჟამი და ერთმანეთს ერწყმის:
წვიმების შხაპუნი, ჩიტების ჟღურტული,
ჩურჩული ქარის და ღუღუნი ლერწმის...

## ხვალე
რა დიდებული სიტყვა არსებობს
ეს დალოცვილი „ხვალე".
- დღეს გვიანაა, ხვალე, ბავშვებო,
ხვალეც მალეა, მალე!
ხვალიდან ვდგები დილა ადრიან,
ვარჯიშს დავიწყებ ხვალიდან.
ხვალიდან აღარ მოვწევ, ნაღდია,
წვეთსაც არ დავლევ ხვალიდან.
ხვალ გადავიხდი გადასახადებს,
ხვალ გავისტუმრებ ვალებს,
წერილს ხვალ დავწერ,
აღარ გადავდებ,
ხვალვე გავგზავნი ბარემ.
- ხვალ ბილეთები გეშოვა იქნებ,
ხვალ ანონსია „ღალატის"!
- ხვალ ფეხბურთია!..
ხვალ ნაღდად ვიგებთ,
ბიჭო, რა გაძლებს ხვალამდის!
იმ წიგნს უთუოდ ხვალ წავიკითხავ,
ხვალ დილიდანვე ვთარგმნი!
ხვალე ვისესხებ...
ხვალე გიყიდი...
კარგი... დაწყნარდი, კარგი!
ახლა თუ არა ხვალ გამიგებენ,
ეს დღეც დადგება მალე,
სახელოვანი ხვალ შევიქნები,
ხვალე,
ხვალე და
ხვალე!
შენც, ჩემო თავო, რა გეფიქრება,
რა გამოგილევს ხვალეს,
ეს ხვალე მუდამ შენთან იქნება,
მიდი, თვალე და თვალე!

* * *

ხეები ლექსებით იფარჩება,
ხეებზე აკრავენ ღვთის ბრალდებას,
ამდენი მგოსნის ძლივსმარჩენალს
ისევ მგოსნები გიმრავლდება.

ვის უნდა ეს გლოვის თეატრონი,
ხეები გოდებით გალექსილი!
ამდენი მტირალა იადონი,
ამდენი მგლის ლეკვი ალესილი!

გლადიატორებთან - ყვავილებით?
გლადიატორებთან - მგალობლებით?
ვაიმე, იღმერთოდ დავილებით!
ვაიმე, უღმერთოდ დავობლდებით!

- შენ საით, პატარაა ცოტნე-ბიჭო?
შენ სადღა, პაწია ამორძალო?
ამ გრიგალს როგორ გამოგგლიჯოთ,
ან სიკვდილს როგორ გამოგძალოთ!

ქუჩა-მოედნებზე დრტვინავთ რახანია,
ქრისტეს პერანგივით ცოდვაც დაიკვართა,
მე თუ დამიჯერებთ: ახლა აკვანია
თქვენი ტრიბუნა და თქვენი ბარიკადა.

თქვენ გინდათ, რომ მოკვდეთ
დიდ საქართველოსთვის,
თქვენ მართლა დიდ ამბავს,
დიდ საქმეს შემოწვდით,
მე ისე მომწონხართ,
მე ისე მიყვარხართ,
მე მინდა იცოცხლოთ
დიდ საქართველოსთვის!

თქვენს სისხლში ხვატი დუღს გაგანია,
თქვენს სულში ოცნებამ ითილისმა,
თქვენ ამბობთ: ბარიკადაც აკვანია!
კი-მეთქი, ოღონდ სიკვდილისა!
ამ მგალობლებს ბუნება არ გაუმგელო
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო.

ერო - ამაყო და უშიშარო,
ერო - წმინდანო და შემოქმედო,
იყავ უდრტვინველი თუნდ გიშარონ,
თუნდაც ავი თვალით შემოგხედონ.

ერო - სტუმრისაგან აკლებულო,
ერო - მტერ-მოყვარის მასპინძელო,
ერო - ფალავნების საკრებულო,
თუ გსურს ფალავნობა გაიგრძელო,

იყავ გუშინდელზე გონიერი,
რაკი უფლის ნება გამოვლინდა,
უფრო მრავალი და ღონიერი
აღსდეგ ანგელოსთა გალობიდან!
ამ მგალობლებს გუნება არ გაუმგელო,
სიკვილითა სიკვდილისა დამთრგუნველო

## უფალო, შეგვიწყალე
უფალო, შეგვიწყალე,
უფალო, შეგვიწყალე
ცოდვილნიც... უცოდველნიც...
დიდებიც, პატარებიც,
ვაიმე, ქართველები შევიცვალეთ -
ბევრი ვართ ტახტრევანით
და კისრით სატარები.
შინაურ-გარეულნი
ერთმანეთს თაკილობენ,
ჩქარობენ, ერთმანეთი გადათელონ.
უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის -
ვულკანზე შემდგარი საქართველო.
უფალო, შეაჩვენე სიმართლე მოსყიდული,
ამნაირ ერისკაცთა ჭერს მარიდე,
უფალო, შეაჩვენე ეშმაკის მოციქულნი,
ამრავლე, აძიერე გმირები ჭეშმარიტი.
უფალო, შეგვიწყალე,
რამეთუ ცოტანი ვართ,
ნუ დაგვსჯი სიმცირით, მწიროვნებით,
შვილები დაგვიზარდე
დემეტრე-ცოტნეებად,
ნინო და გიორგი მყავს
ნათლია-მირონები!

უფალო, შეგვიწყალე
და ბნელი ანათელე,
უფალო, შეგვიწყალე
დიდებიც... პატარებიც...
არც ისე საწყალია
ეს ჩვენი საქართველო,
არც ისე საწყალია და
ხელით სატარები

## მოდის ასული რუსთაველზე...
მიყვარს თბილისი,
მაგრამ ეს დღე სხვაა სრულიად,
მზეც მხატვარივით სულ სხვანაირ
ფერებს მომაშლის,
გოგო რომ მოდის -
ეს ფეხმძიმე გაზაფხულია,
გაზაფხულია გადასული შემოდგომაში.
ო, ცაო, ცაო,
შენ ამრავლე ეს ჭირნახული,
სახლებს აკვნები გაუმრავლე,
ვაზებს - ჭიგონი.
განი, ქალაქო,
მოფარფატებს ფრესკა ხახულის,
„ვეფხისტყაოსნის"
მოწანწკარებს ერთი სტრიქონი.
უფალო, პეშვი შეუშვირე ამ სილამაზეს
და დააპკურე,
დაასხურე ქართულ ოჯახებს.
მოდის ყველაზე დიდი ნიჭი ამ ქვეყანაზე,
მოდის სიკვდილთან და წარმავალ
დროსთან მოჯანყე.
ხოლო თბილისი კვარტალებით,
ქვის გალავნებით,
მიჯრილ ბანებით ერთ გიგანტურ
მოჰგავს ორღანოს,
თითქო მზად არი ეს უთქმელი
აღფრთოვანება
„შენ ხარ ვენახად" რომ გადმოღვაროს.
- განი, გამზირო,
- განი, ქუჩავ,
- განი, კვარტალო,
შეხეთ, ჩიტები უპირებენ
მხრებზე შესხდომას.
მე ეს ასული
რომ უბრალო ქალად ჩავთვალო,
ჩემო კეთილნო, ხომ იქნება
დიდი შეცდომა?!
და, ჰა, ქალაქი სუნთქვას იკრებს
როგორც ორღანო,
„ავე მარია" რომ გადმოღვაროს.
მოდის ძუ ვეფხვი სიამაყით,
იის სიმორცხვით,
მოდის და მოსდევს
მომავალიც, აწმყოც, წარსულიც,
მოაქვს პატარა საქართველოს
დიდი სიცოცხლე.
მოდის ასული...
რუსთაველზე
მოდის ასული...

## გული
როგორც ჩიტი გალიაში,
როგორც მუჭში პეპელა,
ფრთხიალებ და ჩუმად ფეთქავ,
სიცოცხლის სანთებელა,
რა ბედის ხარ, რა ვარსკვლავის,
სულ შენა ხარ სამიზნე,
ნურცერთ ისარს ნუ აიცდენ,
გულო, სანამ გამიძლებ.
თვითონ ღმერთი, წამებული,
შენ ერთს გწყალობს ისევე -
მხოლოდ გულში განისვენებს,
მხოლოდ გულში ისვენებს.
გულო, სანამ გული გქვია,
გულო, უნდა მტკიოდე.
გულო, უნდა მიერთგულო,
მიმყვე საიქიომდე.
ეს რამხელა, რა უძირო
და რა გამძლე გამოდექ,
ჯოჯოხეთის დამტევველო,
პაწაწინა სამოთხევ.

* * *

ჩემო საყვარელო ადგილებო,
ჩემო მოჭიხვინე რიონო,
როცა დავბერდები, სიბერესთან
უნდა შენებურად ვიომო.
შენა ხარ ბავშვური სიხარულის
ჯერაც აუხსნელი იგავი,
შენთან ბედნიერი, (უფრო მეტიც!)
შენთან უდარდელი ვიყავი
სიჭაბუკის ჭალა გაიჩეხა,
დარჩა მხოლოდღა ნაფოტი.
ბავშვობის შიშო და სიხარულო,
მუხის ფუღუროდან გამოდი.
ჭინკებმა გამტყვრალი მეწისქვილე
დაიჭირეს და გაპარსეს,
მისი წისქვილი და ყაბალახი
ცხენებს გამოაბეს ფაფარზე.
ნიკორა ბოსტნიდან მომაბლავლებს,
ჩემი წარღვნამდელი ღვთაება,
გუთანს ეწევა და მიბურღაობს
დევების წარმოთქმულ ტაეპად.
მისი გუშინდელი გუთნისდედა,
მისი გუშინდელი მეხრე ვარ
და ჩემი ბავშვობის ბილიკები
რქებზე ბაწარივით ეხვევა.
ქანაობს პატარა სამწყემსური
ნიკორას რქებზე და თხის კუდზე,
ალი ნაწნავებით აბრიალებს
წყალში მოჭყუმპალე ხის კუნძებს.
არღნიდან ჭირვეულ მაყარივით
გადმობარბაცდება სიმღერა,
გზაზე შემხვდება და გადამკოცნის,
სიყვარული იცის იმხელა.
ადგილის დედაო, შემიფარე
მომე ბედნიერი სიბერე,
ამ მხარეს წყალობას ნუ მოაკლებ,
ნურცა მშვიდობას და სიმღერებს.
ადგილის დედაო, დამიფარე,
გული დამიყენე საგულეს,
შენი ჭირნახული მიწილადე,
შენი მყუდროება მარგუნე,
ჩემო საყვარელო ადგილებო,
ჩემო მოჭიხვინე რიონო,
როცა დავბერდები — სიბერესთან
უნდა შენებურად ვიომო.

* * *

გუშინ გოდება გავიგონე
ეკლესიის თუ სამრეკლოსი,
ბეთანიასთან ჩამოვარდა
ფრთებმოტეხილი ანგელოსი.
უცხო სინათლემ დამაბრმავა -
მაცხოვრის მესმა ნაბიჯები,
დიდ საიდუმლოს შევესწარი...
ვაიმე, ალბათ, დავისჯები.
გაიხარებენ მოშურნენი,
ჩემზე იტყვიან შეიშალა,
მე ვუყვარდიო, - იჭორავებს
ვიღაც მკითხველი მეტიჩარა.
ჩემი ცხოვრება იმ წუთიდან
დამსხვრეულ ელვის შიშინსა ჰგავს,
სილამაზისგან შეშლილი ვარ
და არამარტო შიშისაგან.
მესმის ჩურჩული მეზობლების,
მესმის ახლოდან, შორიდანაც:
უცნაურია ეს პოეტი:
სახლში ღრუბელი მოიტანა.
ის განა მართლა ღრუბელია,
- სიზმარია და სასწაული,
დიდი ცოდნაა საიდუმლო -
მოკვდავისათვის აკრძალული.
. . . . . . . .
მიწაზე აღარ მედგომება,
იცვლება ბედის ამინდები,
მალე ღრუბელი მომაკითხავს,
ამიტატებს და... გავფრინდებით...

## როცა მე გარდავიცვალე
როცა მე გარდავიცვალე,
იდგა აღდგომის სწორი,
ზღაპარში ხარი ატირდა,
სახლში - შვილი და ცოლი,
შემიდგნენ არაგველები,
თავის მგალობლის ცხედარს,
ფარებზე გადამაწვინეს
და წამასვენეს მცხეთას.
- საით, ბიჭებო, - გავძახე...
მითხრეს: უფლისა ნებით,
იქ დიდი საქართველოა,
იქ აღარავინ ვკვდებით...
მე ჩავუარე ბავშვობას, -
ბურთს თამაშობდა მინდვრად,
ადგა და გამომეკიდა,
ღვარღვარა ცრემლებს ღვრიდა.
გადავუფრინე ციხეებს,
მთალად საქართველოს სერებს.
- ისე იყავით, კარგებო,
როგორც გხატეთ და გწერეთ...
რა კარგი იყავ, სიცოცხლევ,
ვერ მოგიყირჭე ქებით,
მტრებიც კი მყავდნენ კარგები,
არათუ მარტო ძმები.
მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ,
ვეღარ გიხილავ ხვალე,
ფალავნების და მგოსნების
სტუმართმოყვარე მხარე.
სულმა დავლოცე ცოლ-შვილი
და პატიებაც ვთხოვე
ჩემი ცხოვრების სიხარულთ,
ჩემს ჯვარს და სვეტიცხოველს.
როცა მე გარდავიცვალე,
იქ დავიბადე მყისვე,
ჩემი გვარის და სახელის
ვიღაც ატირდა ისევ.

იტირე, ჩემო პატარავ,
გამახარე და მტანჯე,
ტირილით უთხარ მადლობა
ჩვენს მარადიულ გამჩენს...

## ლეგენდა
თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა:
- როგორ დავბადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედურიც,
რა დავაწყევლოთ ან ისეთი
რა დავანათლოთ,
ათასჯერ ბედის თქვას მადლობაც
და საყვედურიც?

პირველად თეთრმა ანგელოსმა
წარსდგა ნაბიჯი:
დავბადოთ კაცი მდიდარიო,
მაგრამ მახინჯი.

წითელმა: ის სჯობს,
ყრმა ოცნებებს ნულარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს, მაგრამ ულარიბესიც.
ბოლოს კი შავი ანგელოსი წამოიმართა
და შავი სიტყვა განუცხადა ცათა ბინადართ:

სასჯელი გინდათ?
მაშინ დიდი კაცი დავბადოთ,
სახელ-დიდებით შესწვდებოდეს
ცათა კაბადონს.
ოღონდ დავბადოთ სულთა მედროშე,
უთუოდ მგოსნად
და უთუოდ -
საქართველოში...
. . .
იმ ღამეს ჭყვიშთან
ვერ დიოდა წყნარად რიონი,
სწორედ იმ ღამით დაიბადა გალაკტიონი.

* * *

ერო და ბერო,
შიში მაქვს და თხოვნაც მაქვს ერთი:
თუკი ოდესმე ჩამოივლის
გლახაკი კვერთხით,
ზურგს ნუ შეაქცევთ... გაიკითხეთ...
ბედი არ გვცდიდეს,
გლახის ძონძებში გადაცმული
არ იყოს ღმერთი.

## წვიმა და მეზობლის გოგონა
გაზაფხულის თქეში უშხაპუნებს ფანჯრებს,
ყველა აივანი გადმოკიდებს ჩანჩქერს
და მეზობლის გოგოც გაიხარებს მაშინ,
წვიმის ასაღებად გავარდება კარში,
რომ ხვალ უფრო კარგად
თმები ზიმზიმებდეს,
რომ ხვალ უფრო კარგად
მე ვერ ვიძინებდე.
გარეთ ჩიტუნები გაფანტულად წვიმით,
მე კი ფანჯარასთან ვერ ვიკავებ ღიმილს,
რომ მეზობლის გოგომ პატარა და ტყუპი
ორად ორი ჩიტი შეიფარა უბით.
გარეთ ნიაღვარი ქვებზე აქანავებს
ჩამოცვენილ ფოთლებს და ქაღალდის ნავებს.
მავთულებზე მიჯრით წვეთი წვეთზე ცოცავს
და მე შენსკენ ვატან გაუბედავ კოცნას...

## შეიბ მახვილი!
ჰაუ, რა ცაა! რა მიწაა! ჰაუ, რა მზეა!
რა მათრობელა სიცოცხლე და სილამაზეა!
მათრობელაა ჰაერი და მზეც მათრობელა,
მთვრალივით მღერის აქ უბრალო
ჭრიჭინობელა.
შენც არ დაგბანგოს...
არ ჩაგთვლიმოს...
სულ ამას ვშიშობ,
ჩემო მამაცო, მშვენიერო, ამაყო ჯიშო.
შეიბ მახვილი!
შეისმინე მგოსნის ძახილი,
ოღონდ ფუნჯი და ნამგალია
შენი მახვილი!
ეძინოს მტრობას, შუღლს ეძინოს...
ეძინოს მითებს,
ეძინოს წარსულს,
უფრო დიდი წარსულის კლიტეს, -
არა შენს სინდისს, არა შენს სულს,
არა შენს ხსოვნას,
არა შენს იმედს, შენს ჭრილობებს
- დიდებულს ყოვლად.
მხოლოდ ქართველმა კაცმა უწყის
ღმერთის წინაშე,
რა სილამაზე, რა განძი დევს
ქართულ სიტყვაში.
დღეა თუ ღამე - მე გიღვიძებ
სიხარულს, ტკივილს,
თავწასაგდები მამალივით ვყივი და ვყივი:
არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს,
შეიბ მახვილი,
შეიბ მახვილი!
შეისმინე მგოსნის ძახილი, -
დედაენაა შენი ფარი,
შენი მახვილი,
შეიბ მახვილი!
შეიბ მახვილი!

* * *

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს",
მზის და ვაზის მირონი.
ბებერ ქვებში ღაღადებენ
საქმენი საგმირონი.
ილაღადეთ, ფუძის ქვანო,
ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით,
კონსტანტინე ბატონო.
ბულბულს როგორ არ ესტვინა
იბერიის ბაღთათვის,
არ მოევლო პალესტინა,
კილიკია, ბაღდათი.
მოიარე საქართველო
მეროჭიკე ბერივით,
მოიძიე მონასტრები,
ჟამით გადაბერილი.
გაწოლილა ქვაში ხავსად
ჟამი - ნაალაპარი,
ხომ არ ამხელს ხვაშიადსა
ქვის გრძნეული ზღაპარი?..
მკათათვეში თრიალეთზე
ცაა უკაბადონო,
იქნებ ქვეტარს ესტუმრებით,
კონსტანტინე ბატონო!
ვის დაჭრილი მეციხოვნე
ჭირის ოფლგადასხმული,
შენი სიტყვის მალამოთი
გაამართლე წარსული.
გადმოდგება ქართულ მთებზე
დილა საიადონო
და ქუდს გიხდით საქართველო,
კონსტანტინე ბატონო.

აგვისტო, 2009, №53
WWW.MAMULI.COM
მამული

არ შეჩერდა იაზონი, მედეას ხელი უხეშად მოიცილა, მერე ხელი ჰკრა და გემის კიჩოს მიახეთქა. ,,ხმა ჩაიკმინდეო‘‘,- უყვირა. მივარდნენ გამხეცებული პირუტყვები ყმაწვილს, ხრმლებით აჩეხეს იგი, მერე დაკეპეს და ნაწილები ზღვაში გადაყარეს. მედეა საკუთარი თვალით უყურებდა ამ საშინელებას. უყურებდა ძმას, მის გაოგნებულ თვალებს ჩასჩერებოდა დაჟინებით, თვალებს, რომლებიც დაუბნელეს, მომაკვდავს ცრემლის კურცხალი გადმოუგორდა თვალიდან. მედეას უყურებდა სათნოებითა და სრული მინდობით, რომელსაც სიკვდილის სიცივე შეეპარა, ამ დროს კი ორმოცდაათი ნადირი კლავდა მას. რომ ადიოდა გემზე, აფსირტეს ვერ წარმოედგინა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, მამა კი აფრთხილებდა. აფსირტეს უკანასკნელი სიტყვები იყო - ,,ნეტა დამეჯერებინა მამისთვის‘‘. ეს მედეამ გაიგონა. არ უტირია მას.

კოლხთა გემში აიეტი იჯდა და ყველაფერს საკუთარი თვალით უყურებდა. იგი ბრძენი იყო და მოელოდა ელადელთაგან ასეთ მუხთლობას. მწუხარე სიმშვიდით შეხვდა მამა შვილის მოკვდინებას. კოლხებმა მეფეს უთხრეს გულგაცხარებულებმა

- ,,გვიბრძანე მეფევ, და ვერც ერთი ელადელი შინ ვერასდროს დაბრუნდება, მედეაზე თუ შიშობ, ისე გამოვიყვანთ მას ამ ბრძოლი- [illegible]

მას არც ელადაში ელოდა სასიყვარულო განცდები. იგი ხომ ღალატით იყო შემოფარგლული და მას გარკვეულ დრომდე სურდა კიდეც ღალატის გარემოცვაში ეცხოვრა. იცხოვრა, კარგა ხანი იცხოვრა ასე.

ღალატის ნაყოფებიც იგემა - ღალატში შობილი შვილები. როგორც დედას, უსაზღვროდ უყვარდა ისინი, მაგრამ როგორც ადამიანს ეზიზღებოდა ისინი, როგორც საძულველი იაზონის და მისი - მოღალატე ქალის გამრავლებული ნაყოფიერება. ვერ მოიკვეთა გულიდან შვილები - ყველაფერში უცოდვილები. სხვამ აღმართა მათზე ხელი და მედეას შვილები მოუკლა, მაგრამ ახლა მგლოვიარე დედის გონებაში ტრიალებდა სასტიკი ანგარიშსწორება - მან გადაწყვიტა ფესვებშივე მოეკვეთა ღალატი თავისი და დაესაჯა ღალატი იაზონის და საბოლოოდ გათავისუფლებულიყო საძულველი ქმრის წინაშე ვალდებულების ბორკილებისაგან, რომელიც შემოადნა სხეულზე ორთავეს და იგი ტვირთი და ღალა უფრო იყო ვიდრე ცოლ-ქმრული მოვალეობა. წერტილი უნდა დასმოდა უმტკიცობის სიმყარეს, აღარ იყო ეს ურთიერთობა მყარი, და მიტომ. რისთვის გაწირა მედეამ ყველაფერი - ამ ღალატის ნაყოფთათვის, რომლებიც განისვენებენ - ერთი მის ფერ- [illegible]

გრძელდებოდა,

ნიავ-ქარით შორს წაღებული მგრძნობიარე გაქანებასავით. სიამის კრუნჩხვები დაეწყო მედეას,- და გრძნობდა რაოდენ ძლიერი ხდებოდა იგი ამისგან. საიდან არ იყო, გამოეყო მას თავისი ორეული ისე, როგორც გველები იცვლიან ტყავს. სიზმარშივე ხედავს შიშველი ორეული შემოსილ ორეულს. შემოსილიც ხედავს შიშველს. ორთავეს თვალებით იმზირება მედეა და უყურებდა ჯერ ერთს, მერე მეორეს და არ იცოდა, რა უნდოდა ერთს მეორესთან. მივიდა შემოსილი ორეული შიშველთან და ეუბნება, რომ შენს გამო შვილები დამიხოცესო.



ისევ სიჩუმის ტრფიალებით იკითხა შიშველმა, რაც საუკეთესოდ გაიგონა შემოსილმა და განუმარტა, რომ შენმა ღალატმა მიწიაო.

ღვარძლიანად გაეღიმა შიშველს.

შემოსილმა კი მოულოდნელად გული წაართვა თავის ორეულს და მიწაზე დაანარცხა. გული დაიმსხვრა და მიწა გაიბზარა, თან ჩაიტანა გულის ნამსხვრევები მიწამ.

უგულო ორეული ჰაერში აორთქლდა.

დარჩა მხოლოდ მკვდარი ბავშვების მგლოვიარე დედა. მედეას გონებამ ამ დედის თვალებში გადაინაცვლა და საკუთარ თავში წაშალა მშვენიერება სიმარტოვის. მიმოიხედა ირგვლივ და შიშველ ორეულთან ერთად გამქრალიყო კოლხეთი და თავისი ბაღი. სამაგიეროდ იგი იდგა ელადის რომელიღაც პოლისის ქუჩაში, ერთგან რომ აღზიდულიყო დორიულ სვეტებზე დამდგარი ელადელების რომელიღაც სამლოცველო, მეორეგან - ამფითეატრი... და მედეა მიხვდა, რომ იგი იმყოფებოდა უცხოეთში - მიუსაფარი. ქუჩებში ადამიანის ნასახიც არ იყო. ცხელი ქარი სულს უხუთავდა მას. ბუნებაც საკმაოდ მკაცრი იყო, არ იყო ჩვეული ასეთ ატმოსფეროს. კოლხეთში ყველაფერი სხვანაირად იყო. ერთბაშად ეუცხოვა ყველაფერი. თვალები დაეძებდა თავშესაფარს. არც თავშესაფარი მოიძებნა მისთვის. სუნთქვა გაუჭირდა ჯერ სიზმარში, მერე კი ცხადში.

გაღვიძება სცადა,
ესეც გაუჭირდა.
წვალობდა,
ოფლმა დაასხა,
იკლაკნებოდა,
იხუთებოდა...

საბოლოოდ ცოტაც და დაიხრჩებოდა. თვალები გაახილა მედეამ... და რა დაინახა - მსხვილი უხსენებელი შემოხვეოდა მას, შეებოჭა იგი და ალერსში ახრჩობდა. მისი მსხვილი გრძელი ჭრელი სხეული შემოჭდობოდა ქალს და ტანისამოსი შემოეფლითა მისთვის. თავისი სრიალა ტყავით დასრიალობდა ახურვებისგან გაოფლიანებული ქალის სხეულზე, იფიქრებდი შესხეულება სურს ერთს მეორესთანო. ენით სინჯავდა გემოს მკერდისას და მოღერილი ყელისას. სუნთქვა გაუხშირდა მედეას და მიხვდა გველისაგან თავის დახსნის აუცილებლობას. თავს არ ანებებდა გველი. გაიბრძოლა ქალმა უხსენებლის მარწუხებში, უფრო მეტად შემოეჭდო მოძალადე. არც ქალი ეპუებოდა. გრძნობდა, როგორ ეწვოდა ძუძუს კერტები. ფეხების აშვება სცადა, ფეხებითაც დაბმული იყო. მერე დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და დამორჩილდა ბედს. გველი ჯერ ყელზე აცოცდა, მერე ტუჩებთან მიუსინსინა ენა, თვალებში ჩახედა თვალებმა, შუბლზე ასრიალდა და თმებში ჩაიმალა. თმებიდან ზურგს ჩაუყვა. შემოევლო გველი ქალს, სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ არ ახრჩობდა და არც კბენდა, თავს იოკებდა გველი, და მიტომ. მერე კუდს დაუწყო ძებნა, ისევ ფეხებში გაძვრა, საშო ეტკინა მედეას. გველი კი შიშველ ფეხებს ჩაუყვა და იპოვა თავისი კუდი. იგი დაუბრუნდა თავის საწყისს და ჩაიდო კუდი პირში, ჩაიდო და საკუთარ თავს უკბინა, უკბინა და გადაიხსნა ერთიანად გველის პერანგი და მან გამოიცვალა თავისი სამოსი, ახლით შეიმოსა, ბუნიაობამ შეიფერა უხსენებლის შეფარდებული ფერის ცვლა. ამის შემდეგ გველი გაეცალა მედეას. ქალმა შეხედა, რომ შემოსილი იყო გველის პერანგით.

იქვე მკვდარი ბავშვები დაინახა და გაისიგრძეგანა იმავ წუთს თავისი მწუხარე მდგომარეობის მთელი სიმძიმე. ისევ ცრემლმა იდინა წვეთ-წვეთად. მედეა გრძნობდა, განიცდიდა გაზაფხულს და იგი გაზაფხულის ნაწილი იყო ბუნების მშვენიერებაში. ხელი შეავლო ჯერ ერთ, მერე მეორე ცხედარს. გაცივებულიყო ორივე. წამოჯდა, ტანზე მოტმასნილი გველის პერანგი შეისწორა, რათა თავისუფლად ემოძრავა. შემოხეული სამოსი მოიცილა და შემლების ფარგლებში გველის პერანგით დაიფარა სხეულის შიშველი ადგილები.

## მეორე ამბავი: შიშით ნასწავლი შურისძიება

### მეშვიდე სათქმელი: ჩანასახში განვითარებული შურისძიების ნიაღვარი

გაკვირვებული დარჩა მედეა და განცდილმა ერთბაშად შეცვალა ქალი. იგი ფიქრობდა, თუ რა იყო ყველაფერი ეს და რას უნდა მოასწავებდეს გველის ესოდენ უცნაური ქმედება. გრძნობებს ურევდა მკვდარი ბავშვები და თავს ატკივებდა ერთობ. ერთმანეთთან ვერ დაეკავშირებინა უცნაური და მწუხარე ამბები, არადა სურდა რაიმეთი ყოფილიყო კავშირში ეს აუხსნელი შემთხვევა წინა დღის სიმხეცესთან. დააბნია ამ საფიქრალებმა და ისევ მგლოვიარე დედის სიზმრით შობილი უდრეკელობა მიიღო და ამოთქვა ხმამაღლა თავისი გულისწუხილი:

- ბედკრულო, მიტოვებულო, დარდისგან დაცლილო გულო! მაინც რად მიიწევ გადასარჩენად? რად ფიქრობ ნავსაყუდელზე? რად იყურებით თვალებო, როცა შვილების თვალებში ჩამქრალია სინათლის ჩინი. სად ვეძებო თავშესაფარი, გონს რომ მოვეგო და საზღაური მივუზღო ყველას, უკლებლივ ყველას!!!

ჯერ არ შებინდებულიყო, მაგრამ მზეს ზენიტში ყოფნის ძალა გამოცლოდა. მიუხედავად დღისწულისა, საღამო შედიოდა გარემოში და ცაზე მთვარე შემოპარულიყო, ნიავი ლეგა ღრუბლებში მალავდა ნაადრევად გამოჩენილს. ვარსკვლავებს გამოასწრო მთვარემ სინათლე-სიბნელის გზის გასაყარზე.

ბუნების წიაღში განაგრძობდა მედეა თავის გრძნობების ხმამაღლა გამოთქმას, თითქოს ესაუბრებოდა თვით გაზაფხულს, შესჩიოდა რა თავის უმწეობას და ელოდა მისგან ნუგეშს:

- ვაი, სიცოცხლეო, ჩემ ხელის გაწვდენაზე ჩემი სავალი თითქოს მძიმე ლოდებით ჩახერგე, თითქოს გზას არ მიტოვებ და სამუდამოდ გსურს ჩემი აქ დარჩენა. არადა, არავისთვის არა ვარ საჭირო აქ, იქ კი... ამაზე ფიქრიც არ მინდა. მე თვითონ ჩავჭერი ყველა მისასვლელი შინისაკენ. სად ვიარო მკვდარი შვილებით, ამიხსნას ვინმემ. თანაც როგორ დამძიმდა სული მათ გარეშე, სისასტიკეში რომ გადაიზარდა ჩემი დედობა და მკვდრები მოვკალი, არათუ ჩემი შვილები მხოლოდ, არამედ ღალატის ნაყოფნი. მსურს ვიპოვო ახსნა ჩემი ნამოქმედარის და ვპოულობ კიდეც, მაგრამ სხვა თუ იპოვის ამას. სინდისიც მქენჯნის, მაგრამ ისინი - ცოცხლადყოფილნი - მე ხომ არ მომიკლავს! მე მათი გაუკვდავება მსურდა. ახლა რაღა ვქნა, დღემდე ვზრდიდი მათ და მათთან ერთად იზრდებოდა ჩემი დედობრივი სიყვარული. სიკვდილის იქეთაც სიყვარული გაიზრდება, მაგრამ ბავშვები?!

მედეას სული ძრწოდა და გაშმაგება ებრძოდა დამთრგუნველ აზრებს. გრძნობა აზროვნების ყველა სარქველს უკეტავდა მომხდურს და თავიდან იცილებდა იმ ფრინველთა ჯგუფივით, დაჭრილ ცხოველს რომ ნაჭრილობებს უკორტნიან და ის კიდევ თავისი სიცოცხლისთვის, აგონიაში ჩავარდნილი, ებრძვის უკანასკნელი ძალის გამოცლამდე მტანჯველებს. ცაზე სიგრძეზე გამწკრივებული ქულა ღრუბლები მიცოცავდნენ. ნიავი აღარ ქროდა, ჰაერიც ავისმომასწავებლად გარინდულიყო. აღარც ფრინველთა ჟრიამული ისმოდა. მხოლოდ ყრუ ძახილმა მოიყვანა მედეა სააქაოს, -

- მე-დე-ააა...

- რომელი ხარ?- სწრაფად იკითხა და მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, იქნებ დავინახო, ვინ მეძახისო. ხმამ ისევ განაგრძო ძახილი:

- მე-დე-ააა...

მედეას ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა გაუცნობიერებლობის გამო. მერე ხმამ განაგრძო ისევ ყრუდ საუბარი, -

- ჩემი მსჯავრი უკვე ველარაფერს განსჯის, სასწორი თანაბრად დგასო.

- ეს როგორ? ან ვინ გთხოვა რაიმეს განსჯაო? - იკითხა მედეამ.

- მიწის შვილო, ჩემი მახვილი მხოლოდ მათ ხვდება, ვისაც ძალადობა ცხოვრების გზად გაუხდია! ამიტომ მე არ მჭირდება შუამავლობა რაიმეს განსასჯელადო.

- ნუთუ მე ამდენ სისხლ და ღალატ-გამოვლილს არაფერი მაქვს განსაკითხველი?

- მე არ გიბრალებო,- უთხრა ხმამ,- მე შენდა წილი სასჯელი დაგადე მხოლოდ და ეს სასჯელი შურისძიებაა და ამით შეიძლებ სისხლის და ღალატის ჩამორეცხვას შენგან.

- ვერ გავიგე რას ნიშნავს ეს ყველაფერიო?- იკითხა მედეამ.

- ტყისპირა ველზე დიდი ბრძოლა მომხდარა. იქ ბევრი ცხედარია უპატრონოდ დაყრილი საბრძოლო აღჭურვილობაში, შეიკაზმე და დაბრუნდი ქალაქში, აზღვევინე შენი შვილების მკვლელებს ბავშვების უდანაშაულო სისხლი. ქვა ქვაზე აღარ დატოვო იმათი სახლეულიდან. შენ ამას შეიძლებ. დედის გრძნობა მოგცემს ძალას, შენი მტრები რომ დაჩოქო შენს ფერხთით. გახსოვდეს - სისხლი სისხლის წილ. კოლხეთშიც ეს სამართალია, ამ სამართალზე გაიზარდე შენც.

- ვინა ხარ შენო?- იკითხა მედეამ.

- შენი გულის ხმა და სულის ყვირილიო, - უპასუხა მან.

- გულს რომ არა აქვს ხმა და სულს არ შეუძლია ყვირილიო? - გამომცდელად ჰკითხა მედეამ თავის ხმას.

- ეს ისეთი ტკივილია, რომ გულმა ხმა ამოიღო და სულმა იყვირა. ასე არ არის? - დაუბრუნა კითხვა ხმამ.

- არ დაგვანება თავი ცხოვრებამ, მე კი სხვანაირად მინდოდა მეცხოვრა - თავისუფლად, ყოველგვარი მოვალეობის გარეშე ბუნების სილამაზეში შერწყმული. არავისი მფარველობა არ მინდოდა, მე თვითონ გავიკვლევდი გზას - არა ღმერთი და არა გმირი, არა ქურუმი და არა სეფე-ქალი. ცუდ დროს დავიბადე და ცუდ გარემოში. ყველასთვის უკეთესი იქნებოდა საერთოდ არ გავჩენილიყავი, ან გავჩენილიყავი აიადან მოშორებით, სადღაც მიკარგულ ტყეში, სადაც ვერ მომძებნიდა ვერც კოლხი და ვერც ელადელი და ჩემი მამა ყოფილიყო არა აიეტი, არამედ ვიღაც სხვა და კლდე-ქალიდან არ ვშობილიყავი. ბუნება იქნებოდა ჩემი მკვებავი და ხვადს ხვადზე უხვად გამომიგზავნიდა. არ დაღონდებოდა აიეტი,ვერ მოიპარავდნენ საწმისს, ვერ მოკლავდნენ ჩემს ძმას და თუ სიკვდილი ეწერა უდღეურად, ჩემს გამო აღარ მოხდებოდა ეს და მას სუფთა სინდისით ვიგლოვებდი. ასე იაფად არ ჩაუვარდებოდა ხელში საწმისი ქურდებს, თვით ქურდები ჩაუვარდებოდა ხელში პატრონს ჩემი ჩარევის გარეშე, ამდენად ჩემი შვილები ხელში აღარ ჩაუვარდებოდა გავეშებულ პირუტყვებს და ახლა ისინი ჩემს ფერხთით არ იქნებოდნენ ყელგამოღადრულები. ისინი დატკბებოდნენ გაზაფხულით და ჩიტებთან ჩიტებივით ითამაშებდნენ. არ დავტოვებდი კოლხეთს და ყველა გზა ხსნილი მექნებოდა, რადგან ყველგან მექნებოდა მისასვლელი.

- სწორედ ყველგან მისასვლელი რომ გექნეს, ამიტომ შეიარაღდი და სისხლი ადინე შენს მტრებს. ყველას გაუმკლავდები.

- არა, მე უფრო სასტიკი სასჯელი უნდა მოვიფიქრო მათთვის. წაიკითხე ჩემი გულისთქმა და მიხვდი ჩემი შურისძიების სიმძაფრეს.

ცოტა ხნის შემდეგ შეშფოთებულმა ხმამ უთხრა პასუხი:

- მებრალები ასეთი გულითო. შენ თუ ვინმემ არ გაგაჩერა, შეიძლება მთელი სამყარო შენსავე ბოღმაში დაახრჩო და დაწვა. თუ ვინმემ არ გააჩერა შენი მისწრაფება, ბევრ უდანაშაულო თაობას იმსხვერპლებ და ამას აღარ დაერქმევა შურისძიება. ეს ანგარიშსწორება იქნება უმწეო ადამიანებზე, რომლებიც შენი შვილების სისხლის ცოდვას თაობიდან თაობაში დამღად გადაატარებენ და ისინი ამისი ღირსნი არ იქნებიან. შენ მხოლოდ შენი შვილების მკვლელებზე უნდა იძიო შური.

- ეს ძალიან მსუბუქი სასჯელი იქნება მათთვის, - უპასუხა მედეამ.

- უშვილ-ძიროდ რომ გადაეგო იაზონი ამ ქვეყნიდან, ხომ წაუხდინე მას მომავალი, თვითონ ელადელებმა მისი ჯიშის განშტოება გადაამტვრიეს. მისი სიცოცხლე წამებად გადაიქცა, რაც დარჩენია სიცოცხლე, ის. იმ სიცოცხლის მერეც მისი სახსენებელი შენი სახელის გარეშე არასოდეს წარმოითქმება, მეტს რაღას უპირებ ამ უსახურობას?!

- თავისი ნამოქმედარის ნაყოფიერება სახალხოდ უნდა იგემოს. უნდა გაძლეს თავისი შვილების ყურებით, რადგან თუ რამე გააკეთა მან ამ ქვეყანაზე, არათუ საწმისი მოიპარა, არამედ ბავშვების სისხლში ჩააზრჩო თავისი მომავალი. ელადელებმა მე მომიკლეს მისი შვილები, იმდენად უგნურები არიან, და ესეც ბედისწერამ აფსირტეს უმანკო სისხლის სანაცვლოდ აგემა მას. ბოლომდე უნდა გამოლეს სისხლით და სიკვდილის გემოთი.

- რას აპირებ, მედეაო?- ჰკითხა ხმამ.

- იმაზე მეტს და იმაზე საზარელს, რასაც შენ მთავაზობდიო და ამაში ხელს ვერავინ შემიშლის.

- ნუთუ არ შეგაშინა შენმა განზრახვამ?

- არაო, მე ამ შურისძიებით ვისულდგმულებ და ამ შურისძიებისათვის ვიცოცხლებ. მე არავინ მელის შინ და არც არსად მეჩქარება. ამაზე მეტი რა უნდა გაეკეთებინა ელადელ ქურდებსა და მკვლელებს ჩემთვის. ამიტომ მედეას წყევა თავზე უნდა დაატყდეს ყველა ელადელს, დამნაშავეა თუ არა იგი ჩემი ცხოვრების გამრუდებაში. ელადელი რომაა, სწორედ ეს იქნება მისი დანაშაული‘‘.

- რა მეხი დაგცა ბედმა თავზე ასე ულმობლად, რად დაგატეხა ქარიშხალი ბუნების ძალამ. განა შენთვის მოიცალა ყველა ჯურის ბოროტებამ, ასეთი ულმობელი რომ გაგხადა ცისქვეშეთში. ასე უგულოდ როგორ იცხოვრე აქამდე. მებრალები მედეა, არ იყავი ასეთი ღვარძლიანი, შენ კეთილი და თავისუფალი ბავშვი იყავი, სად დაიკარგა ეს ბავშვი?

არაფერი უპასუხა მედეამ. დუმილი უფრო მრავლისმეტყველი გამოდგა, ვიდრე რაიმეს თქმა ამ წუთში, ბევრი რამ თქვა დუმილმა პასუხად, და მიტომ. ამის შემდეგ დადუმდა ხმა და დაემორჩილა თავის პირველად საწყისს.

უცებ მედეამ მკვეთრი მოძრაობა გააკეთა, მოძებნა თავისი ცხენი და ტყის სიღრმეში შეიყვანა. თავისთვის ამბობდა, -

- აქ უნდა იყოს ნაომარი ადგილები და უნდა მოვძებნო. საბრძოლო ეტლი იქნება ამ ბრძოლის ველზე და ბავშვებს ზედ დავასვენებო.

ტყეში ბნელოდა, მაგრამ მედეა მტკიცედ მიიკვლევდა გზას. საყნოსებელით გრძნობდა ლეშის სუნს, ასევე სვავებისა და ყვავყორნების ხმა უკვლევდა გზას. ცხენი ნაბიჯებით ჩამორჩა პატრონს. ალბათ შიშმა დაძლია ცხოველი, თუკი იციან ცხოველებმა შიში. ცხენისთვის ეს წინათმგრძნობელი შიში იქნებოდა უთუოდ. კარგა ხანს იარეს, სიბნელეს თვალი შეაჩვიეს. ცხენმა დათრგუნა შიში, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მედეას, შეეგუა გაუთვალისწინებლობას, და მიტომ. მედეა არ ფიქრობდა, თუ როგორ გამოეკვლია უკან გზა ისე, რომ შვილებამდე დაბრუნებულიყო. მას აკვიატებული ჰქონდა აზრი საბრძოლო ეტლის პოვნისა და სხვას არაფერს ფიქრობდა იმ წუთებში. შემდეგ რაც მოხდებოდა, ეს ჯერ კიდევ გადაწყვეტილად არ მოეფიქრებინა, მას უნდოდა ეტლი. ეს იყო და ეს. არ იყო დარწმუნებული, თუ დახვდებოდა ის, რასაც ეძებდა, იქ, სადაც ეძებდა, მაგრამ ამისი ფიქრიც ნაკლებად აწუხებდა. მას რაღაც ჰქონდა მოფიქრებული. იმ წუთში რომ გეკითხა, ვერ გიპასუხებდა,რადგან ეს ნაფიქრი ჩამოყალიბებულ ქმედების განხორციელებაში არ იყო გადაზრდილი. იგი მხოლოდ დარწმუნებული იყო შედეგის მისეულ გარდუვალობაში და ეს ასულდგმულებდა მას. ამიტომ მიატოვა ცხედრები ტყის პირას და გაუცნობიერებლობაში გადმოინაცვლა. რაც უფრო ღრმად შედიოდა ტყეში, მით უფრო გახშირდა ისრები ხეებში გარჭობილი, აქა-იქ ხრმლები, ზოგი ვადაში გადატეხილი, ზოგიც მთლიანი, დაუზიანებელი. აი, პირველი ლეშიც გამოჩნდა, ჩონჩხად რომ იყო ქცეული და თმებიღა შერჩენოდა სააქაოდან. გახუნებული ფერისა იყო ეს თმები, თუ შეიძლება ითქვას, სიკვდილის ფერისა.

მედეა გახარებული ჩანდა. მან არ იცოდა, თუ რა დიდი გზა გამოიარა ტყით, აქამდე რომ მოსულიყო. არ იცოდა იმიტომ, რომ ამისი ფიქრი არ ჰქონდა, იმდენად იყო გართული შურისძიების ჩასახული ნიაღვრის ამოფეთქების ცხოველი წადილით. თანდათან მომრავლდნენ ცხედრები. მზე ჯერ არ იყო გადასული, ნიავიც საამოდ უბერავდა, თუმცაღა მედეას აღარ სცემდა მძაფრ სუნი, ქარის მიმართულება აკავებდა სიმყრალეს. თუმცაღა მედეა სუნთქავდა სიკვდილის სურნელებას და მისთვის ეს უცხო აღარ იყო. ღამის კოშმარი ბრძოლის ველის აუტანელი სუნისაგან გათავისუფლებულიყო. მას თავისი სიმძიმე და ოხშივარი ასდიოდა, ესეც რომ არ დამატებოდა ზედ. ეს გაიფიქრა მედეამ და დაბეჯითებით გადაავლო თვალი მის წინ გადაშლილ ველს და ეძებდა ეტლს. იქ ყველაფერი უწესრიგოდ ეყარა - საღიც და დამტვრეულიც. მხოლოდ მკვდრები იყვნენ ერთგვაროვანნი და ერთფეროვანნი. ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, იპოვა მარხილი. ტვირთისგან გაათავისუფლა, გადაწმინდა მტვერი, შეაბა ცხენს და უკან გამობრუნდა. თანამგზავრის გონებას მიანდო სამშვიდობოს გასვლა. წვალებ-წვალებით იკვლევდა ცხენი გზას უღრან ტყეში, არ დააღალატა პატრონი. მედეამ იცოდა,რომ თუ იპოვიდა მარხილს, ან ეტლს, აუცილებლად ააწყობდა თავისი შურისძიების გეგმას, სხვა შემთხვევაში მის შურისძიებას განხორციელება არ ეწერა. თუ რატომ, ეს არ იცოდა. დიდი დრო დასჭირდა მარხილს უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ცხენის ალღომ გაამართლა - საიდანაც წავიდნენ, იქვე დაბრუნდნენ. საბედნიეროდ, ბავშვების ცხედრები არც ერთ ნადირს არ წაუბილწავს, თითქოსდა უკაცრიელი იყო იქაურობა. ახლა კი მედეას გულმა ცემას მოუმატა.

,,ეს როგორ გავბედე, უპატრონოდ როგორ მივატოვე შვილებიო,- გაიფიქრა,- მეც რომ დავკარგულიყავი, ან არ მეპოვნა მარხილი, ან სულაც მოვეტყუებინე გულის-თქმას, მაშინ რა მოხდებოდა?‘‘

გამოერკვა საშიში განცდისგან და ჩაილაპარაკა:

- მადლობა დამბადებელს, რომ მშვიდობიანად მოვიარე ტყე და ვიპოვე ის,რასაც ვეძებდიო.



გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული“ №48,49,50, 51,52.

ქართველი გამოცდილი ადვოკატის თანაშემწე -Paralegal

**გთავაზობთ საემიგრაციო მომსახურებას**

მოგემსახურებით სახლიდან გაუსვლელად 7 დღის განმავლობაში ნიუ იორკის, პენსილვანიისა და ნიუ ჯერსის მაშტაბით. ასევე შესაძლებელია ფოსტის, კომპიუტერის საშუალებით ან ოფისში სტუმრობით (სამხრ. ნიუ-ჯერსში)

- ☒ ქორწინებაზე დაფუძნებული GREEN CARD-ისთვის საჭირო საბუთების მომზადება;
- ☒ ქორწინებაზე დაფუძნებული 2-წლიანი პირობითი GREEN CARD-ის 10-წლიანით შეცვლა განქორწინებამდე ან განქორწინების შემდეგ;
- ☒ მოქალაქეობის მისაღებად საჭირო საბუთების მომზადება;
- ☒ მომავალ ან კანონით რეგისტრირებულ მეუღლეთათვის ვიზების მისაღებად საჭირო საბუთების მომზადება (K-1; K-3);
- ☒ მოქალაქეობის ან GREEN CARD-ის მფლობელთათვის საქართველოდან ოჯახის წევრების ჩამოსაყვანად საჭირო საბუთების მომზადება;
- ☒ სავიზო დოკუმენტაციები;
- ☒ დახმარება ტურისტულ B1-B2 და სტუდენტურ F1-F2 ვიზების მიღებასა და გაგრძელებაში;
- ☒ სტატუსის შეცვლა სტუდენტური ვიზის F-1 ფორმიდან ან პირიქით; F-1 ვიზის აღდგენა;
- ☒ J-1 გაცვლითი პროგრამის ვიზის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ☒ თანამშრომლობა EESL-ის კურსებთან, კოლეჯებთან და ინსტიტუტებთან.

ეთი სალაძე



(848) 448-9290

esaladze@yahoo.com



გამოსაცემად მზად არის მანუჩარ კაჭახიძის პუბლიკაციური წერილებისა და ესსეების 620-გვერდიანი წიგნი „წაშლილი სამშობლო", რომლის დაბეჭდვაც ფერხდება მეცენატის არყოლის გამო.

სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი თქვენგანისათვის შეიძლება გახდეს ამ კეთილი საქმის თანამონაწილე.

კონკრეტული ინფორმაციისათვის დარეკეთ „მამულის" რედაქციაში.



ნინო იმედაძეს
გიორგი კაკაურიძეს

ტარიელიც ხარ, ფრიდონიც,
ქალს ცხრა მთას იქეთ იპოვი,
შენთან ვინ არის თუ ძმა ხარ,
მაგელანი და ტიტოვი.
ქორწილს შტატებში ატარებთ,
ჩახუტებულხართ მათ გვერდში,
ზანგები რომ დაპატიჟე,
ამ ქუთაისლებს რას გვერჩი?!
ღმერთმა დაგლოცოთ შვილებო,
ჩვენო ნინო და გიორგი,
გფარავდეთ ღვთისმშობლის ხატი,
„გულიყოს" წმიდა გიორგი.
ღელავს, რა სიტყვებს არ ამბობს,
თქვენი ქომაგთა ნაკრები,
რადგან შტატები შორს არის,
ეკრანზე ნახეთ მაყრები.




MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

**შემოწირულობა „მამულის" გადარჩენისათვის**

სურვილი მაქვს „მამულის" არსებობისათვის გავიღო ——$

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

სიკეთითა და სითბოთი აღსავსე ქალბატონს, მუდამ მეგობრის გვერდით მდგომს, ჩვენს **ნაზი ჩხიკვაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ და იბედნიერეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად, მალე დაბრუნებას გისურვებთ მშვიდობიან და აყვავებულ საქართველოში.

**დალი ხოფერია, ნინო ხარაბაძე**

* * *

ყველასათვის საყვარელ ქალბატონ **იამზე გოგუაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, გამძლეობას, მისი ოჯახის წევრების კარგად ყოფნას, მალე დაბრუნებას აყვავებულ საქართველოში.

გულში ჩაეკრას მისი მონატრებული შვილები და შვილიშვილები, მისი დედიკო და მამიკო. იხარე და იბედნიერე მარადჟამს.

**დალი ხოფერია, ცირა ცქიფურიშვილი, ნინო ხარაბაძე**

* * *

ჩვენს უსაყვარლეს ქალბატონს, მუდამ სილაღითა და მხიარულებით გამორჩეულ **მაია სულაქველიძეს** ვულოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ჩვენო მაიკო, მუდამ ბედნიერი და გახარებული გევლოს ამ ქვეყნად, მალე დაბრუნებოდე შენს მშობლიურ ქუთაისს და ჩახუტებოდე მონატრებულ, საყვარელ ადამიანებს, ასეთი ლამაზი და მშვენიერი გვენახო მუდამ.

**ნინო ხარაბაძე, ნარგიზა ბიბიჩაძე, მანუჩარ კაჭახიძე**




## ვითხოვთ გულისხმიერებას

წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყიდულობს ახალ საეკლესიო შენობას ნიუ იორკში. ამ პროცესის სრულყოფილად დასასრულებლად დამატებით საჭირო შეიქნა 50 ათასი დოლარი. გთხოვთ დაგვეხმაროთ თქვენი შესაძლებლებობის ფარგლებში. შეგიძლიათ თანხა პირდაპირ გადმორიცხოთ ქვემოთ მოცემული ბანკის ანგარიშზე:

Chase Bank, routing # 021000021, Account # 907-225-332-065

ან გამოაგზავნოთ ჩეკი ან მანი ორდერი საფოსტო მისამართზე:

St. Nino Georgian Orthodox Church,
P.O. Box 351160, Brooklyn, NY 11235

შეკითხვებისათვის დაურეკეთ მამა ალექსანდრეს: 973-601-7098

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება"

**საღამოს 10 საათიდან!***

ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.ertsulovneba.ge; www.sstv.ge
ელექტრონული ფოსტა: tv@ertsulovneba.ge ტელეფონი: 47-51-96



* აღმოსავლეთ ამერიკის დროით

## სამძიმარი

ნარგიზა ბიბიჩიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას უცხადებს დალი ჩიქოვანს უდიდეს მწუხარებაში დედის **ქალბატონი ნაზიკოს** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობს გიული წერეთელს მწუხარებაში დედამთილის **გოგონა მანჯგალაძის** გარდაცვალების გამო.

გაიხსნა

კაფე „ამირანი"

გემრიელი ქართული კერძები, თონის პური,
შეკვეთები სადღესასწაულო სუფრისათვის, ქართული სული!!!
შეკვეთის უფასო მიტანა ბრუკლინში.
ღიაა დილის 8 საათიდან - საღამოს 11 საათამდე.
1871 86th street, (Between 19th ave & Bay 20th street),
Brooklyn, NY 11214 (Tel: 347-492-3808)

მაია ნინოშვილის სააგენტო

**GEORGIA-USA TRAVEL**

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214




Discount plus - YOUR STORE!

2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn



# პოლიტიკური თავშესაფარი უკვე შესაძლებელია ქართველებისათვის!*



## რჩევები თქვენთვის

### ათი ძირითადი საფრთხე:

არც ერთ ემიგრანტს არ შეუძლია იცოდეს საემიგრაციო კანონის ყველა დეტალი, თუმცა ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ საფრთხეების სიას, რომელზეც ყველა ემიგრანტს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, რათა ვითარება არ გაურთულდეს:

1. ყველა ახალი კანონის ან ახალ კანონზე საუბრის დროს ჩნდებიან თაღლითები, რომლებიც ცდილობენ სარგებელი ნახონ ემიგრანტებისაგან. ეს ზუსტად ის დროა, როდესაც თქვენ უნდა მიმართოთ გამოცდილ საემიგრაციო იურისტს. დაიმახსოვრეთ, კანონი, სანამ იგი ძალაში შევა, უნდა დაამტკიცოს სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ, ხოლო შემდგომ ხელი მოაწეროს პრეზიდენტმა;

2. სანამ თქვენ ხელს მოაწერთ რაიმე საემიგრაციო დოკუმენტს, უნდა გქონდეთ ზუსტი წარმოდგენა, თუ რა ინფორმაცია შეგაქვთ ამ დოკუმენტში. არასწორი ფაქტების ჩაწერამ საემიგრაციო აპლიკაციაში შესაძლოა სამუდამოდ დაგაკარგვინოთ საემიგრაციო სარგებლების მიღების შანსი;

3. თუ ვინმე გეტყვით დამატებითი განმარტებების გარეშე, რომ მას შეუძლია თქვენთვის უზრუნველყოს სოციალური უსაფრთხოების ან სამუშაო უფლების ბარათი, დიდია ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული პიროვნება შეავსებს ყალბ საემიგრაციო დოკუმენტს, რამაც ასევე შესაძლოა სამუდამოდ დაგაკარგვინოთ საემიგრაციო სარგებლების მიღების შანსი;

4. ნებისმიერი საემიგრაციო ფორმის ბოლოს აპლიკანტმაც და შემდგენმაც ხელი უნდა მოაწერონ. თუ ადამიანი, რომელიც გეხმარებათ ფორმის შევსებაში, უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, არ მისცეთ მსვლელობა ამ აპლიკაციას;

5. მოერიდეთ იურისტებს, რომლებიც გპასუხობენ: „ნუ სწუხართ, ამას მე მოვაგვარებ", ან „ნუ სწუხართ, მე ვიცნობ ხალხს საემიგრაციო სამსახურში", ან „მე გაძლევთ მწვანე ბარათის მიღების გარანტიას" (საემიგრაციო კანონში გარანტიები არ არსებობს);

6. მოერიდეთ იურისტებს (ადვოკატებს), რომლებიც არ წარმოგიდგენენ გადასახადების წერილობით ხელშეკრულებას და გარკვევით არ აგიხსნიან თქვენს საემიგრაციო ვითარებას, არ გაგიმარტავენ შესაძლო ალტერნატივებს. თუ თქვენ დატოვებთ ადვოკატის ოფისს იმ შეგრძნებით, რომ წარმოდგენა არ გაქვთ თქვენი საემიგრაციო საქმის სპეციფიკასა და შესაძლო ალტერნატივებზე, მაშინ სჯობს ახალი ადვოკატი მოძებნოთ;

7. პირველ რიგში დარწმუნდით, რომ ადვოკატი რეალური და კვალიფიციურია. თუ მავანი ამტკიცებს, რომ იგი ადვოკატია, დაუსვით მას დამატებითი შეკითხვები (ნამდვილი ადვოკატისათვის ეს შეურაცხმყოფელი არ იქნება).

შეკითხვების მაგალითებია:

- რომელი შტატის ლიცენზიას ფლობთ? (ადამიანები, რომელთაც ხარისხი მიღებული აქვთ აშშ-ს ფარგლებს გარეთ, არ არიან უფლებამოსილნი აწარმოონ საქმიანობა აშშ-ში).

- კიდევ სხვა რომელი ტიპის სამართალში საქმიანობთ? (საემიგრაციო სამართალი ძალზედ რთული სფეროა და თუ ადვოკატს აქვს ბევრი სხვადასხვა არასაემიგრაციო ქეისები, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მან ღრმად არ იცის საემიგრაციო კანონმდებლობა).

- რამდენად ხშირად გიწევთ ყოფნა საემიგრაციო სასამართლოში და რამდენი წელიწადია რაც საემიგრაციო სამართლის კუთხით მოღვაწეობთ? (ეს, როგორც წესი, კარგი ინდიკატორია პიროვნების კომპეტენტურობის საემიგრაციო სისტემასთან მიმართებაში);

8. თუ თქვენი საქმე საემიგრაციო სასამართლოშია და თქვენ არ გეგმავთ, რომ მომავალი 3 თვის განმავლობაში გახვიდეთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ნუ გამოიყენებთ შესაძლებლობას „ნებაყოფლობითი გამგზავრება", რადგან ეს ხელს შეგიშლით საემიგრაციო სარგებლის მიღებაში მომავალი 10 წლის განმავლობაში (თუ თქვენი ადვოკატი გთავაზობთ „ნებაყოფლობითი გამგზავრების" ალტერნატივას, ეს მისი არაკომპეტენტურობის ნიშანია);

9. თუ სასამართლომ მიიღო თქვენი დეპორტაციის გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში არ გამოცხადდეთ არცერთ საემიგრაციო ინტერვიუზე, სანამ თქვენი ქეისი არ იქნება მიღებული ხელმეორედ განსახილველად სასამართლოს მიერ;

10. თუ თქვენ ლეგალურად შემოხვედით აშშ-ში, მაგრამ დარჩით ქვეყანაში ნებადართულზე მეტხანს, მაშინ თქვენ გაქვთ მხოლოდ ორი ალტერნატივა - იქორწინოთ ამერიკის მოქალაქესთან ან მოითხოვოთ თავშესაფარი, და დეპორტაციის გაუქმება (რომელიც ძალზედ რთულია, რომ მოიგოთ და გამოიყენება მხოლოდ დეპორტაციის პროცედურის არსებობის შემთხვევაში).

ასე რომ, თუ თქვენ აღმოჩნდით ლეგალური სტატუსის ფარგლებს გარეთ, ნუ გამოიყენებთ სხვა ოფციებს გარდა ზემოთაღნიშნულისა. ყველა სხვა ალტერნატივა სავარაუდოდ იქნება აფიორა.

დაიმახსოვრეთ, რაც უფრო მეტ შეკითხვას დაუსვამთ თქვენს ადვოკატს, მით უფრო უკეთ იქნებით ინფორმირებული და გაცილებით ნაკლები იქნება შანსი იმისა, რომ თქვენ მისცეთ მსვლელობა რაიმე ყალბ დოკუმენტს ან გადაიხადოთ თანხა არაფრისმომცემ აპლიკაციაში.

გისურვებთ წარმატებას.

ANDREW P. JOHNSON, ESQ.

## ანდრიუ ჯონსონი

(ყოფილი სახელმწიფო ადვოკატი, რომელიც ახლა ემიგრანტთა უფლებებს იცავს აშშ-ს მთავრობის წინააღმდეგ ბოლო 10 წელი)

**1-212-693-3355**



- უფასო კონსულტაცია;
- ადვოკატის ასისტენტი ყაზახეთიდან, რომელიც საუბრობს რუსულად;
- ჩვენ წარვმართავთ თქვენს ემიგრაციულ საქმეს, დეპორტაციას, Asylum-ის გასაჩივრებას და ოჯახურ პეტიციებს

* რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების საქართველოში შემოჭრისა და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს უჩნდებათ სამართლიანი საბაბი და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება შეერთებულ შტატებში, განპირობებული იმ საფრთხეებთან, რაც სამშობლოში დაბრუნებულებს ემუქრებათ!


ასავალ დასავალის პარტნიორობით

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

გაზეთის ეს ნომერი ხელმოწერილია დასაბეჭდად 2009 წლის 14 აგვისტოს, პარასკევს, ალმ. ამერიკის დროით 11 სთ-ზე